ლელო

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№163 (12842) 14 ივლისი სამშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრე გაფრენის წინ





» გვერდი 12 ახალგაზრდები საკვალიფიკაციოს იწყებენ

# ტევესი გადაწყდა



## პირლო წყდება...



გუშინ **კარლოს ტევესმა** „მანჩესტერ სიტისთან" პერსონალური კონტრაქტი შეათანხმა. მას მერე, რაც არგენტინელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის, „მოქალაქეებთან" 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ეს ამ კვირაში მოხდება. კარლოსს თურმე ერთი სული აქვს, როდის მოირგებს „სიტის" მაისურას, იმ გუნდისას, რომლის მოქიშპე „იუნაიტედში" ორი წელი გაატარა და 99 მატჩში (სათასო შეხვედრების ჩათვლით) 34 გოლი გაიტანა. სხვათა შორის, ტევესი ის კაცია, ვისაც ჩემპიონის ტიტული ყველა ქვეყანაში (არგენტინა, ბრაზილია, ინგლისი) აქვს მოგებული, სადაც კი უთამაშია...

„სიტიმ" თავზე ხელი აიღო და ახლა „არსენალს" მიმართა წინადადებით, **ემანუელ ადებაიორი** მომყიდეო. ბოლო ინფორმაციით, ლაპარაკია 5-წლიან კონტრაქტზე. მოგეხსენებათ, „სიტის" თავკაცი **მარკ ჰიუზი** „ჩელსის" კაპიტან **ჯონ ტერისთვისაც** იბრძვის...

ახლა **ანდრეა პირლოზეც** ვთქვათ. ესპანური „მარკა", რომელიც ტყუილებში შემჩნეული არ არის, დაჟინებით ამტკიცებს, „მილანის" ნახევარმცველი „ჩელსისგან" ერთ ნაბიჯზეაო. ერთი თვეა, პირლოს ტრანსფერზე განსაკუთრებული აქტივობით ლაპარაკობენ. თითქოს გადაწყვეტილიც იყო, რომ ანდრეა „როსონერიში" დარჩებოდა, მაგრამ აი, ახალი ტალღა...

ცხადია, ეს ამბავი **კარლო ანჩელოტის** გარეშე ვერ მოხდება. სწორედ მან ჩააგონა **რომან აბრამოვიჩს**, რომ ახალი კამპანიისთვის პირლო აუცილებელი „კომპონენტია". ბოლო დღეებში ანჩელოტისა და ფეხბურთელს ტელეფონით რამდენჯერმე უსაუბრიათ და, ეტყობა, შედეგიც არ დააყოვნებს...

თუმცა ეს ყველაფერი ჯერ მაინც ვარაუდად რჩება მანამ, სანამ კლუბები დუმან, ან თავად მოთამაშე არ მოჰფენს ნათელს იმას, თუ რას აპირებს...

ამასობაში კი „კორიერე დელო სპორტმა" გვაუწყა, „იუვენტუსმა" ბრაზილიელი ნახევარმცველი, კონფედერაციათა თასზე თავგამოჩენილი **ფელიპე მელო** იყიდაო...

» გვერდი 6-10 მსოფლიო ფეხბურთი

## ლევან კობიაშვილი

## ამიტომაც დავრჩი უკმაყოფილო...

» გვერდი 3 ინტერვიუ



## ყენია დუბლებში?

» გვერდი 2



## თარგამაძემ, „არა" ჯერ არაო



» გვერდი 2 ლეგიონერი

ახალგაზრდული ნაკრები

# გაბელიას 18+2

გუშინდელ „ლელოშიც“ გამცნეთ, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ბულგარეთშია მიწვეული, სადაც 20-დან 26 ივლისამდე სამ შეხვედრას ჩაატარებს - მასპინძლებთან, განასა და სამხრეთ აფრიკასთან. ცნობილი გახდა ის სიაც, რომელიც ახალგაზრდულის თავკაცმა **ოთარ გაბელიამ** საბულგარეთოდ შეადგინა:

მეკარეები - **რევაზ თევდორაძე** (გაგრა), **თორნიკე ზარქუა** (მგლები/ბაია);

მცველები - **გურამ ადამაძე, ლაშა კასრაძე, ილია გამრეკლიძე** (ყველა ვიტ ჯორჯია), **ლაშა თოთაძე** (დინამო, უკრაინა), **გიორგი ხატიაშვილი** (ლოკომოტივი), **ივანე კილაძე** (გურია);

ნახევარმცველები - **ირაკლი ხუციძე** (მგლები/ბაია), **თორნიკე თარხნიშვილი, გიორგი კბილცეცხლაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, თემურ შონია** (ყველა სპარტაკი ცხინვალი), **ვალერი ბოლქვაძე** (დინამო), **გელა გოგიტიძე** (ბათუმი);

თავდამსხმელები - **გიორგი ჭედია** (მგლები/ბაია), **ბესიკ ჩიმაკაძე** (ამერი), **ილია პაველიაშვილი** (გაგრა).

გაბელია ბულგარეთში 18 ფეხბურთელს წაიყვანს. გამოცდილმა მწვრთნელმა კიდევ ორ მოთამაშეს უხმო - **ჯემალ გოგიაშვილსა და გივი იოსელიანს** (ორივე ვიტ ჯორჯია), რომლებიც, ასე ვთქვათ, სარეზერვო სიაში არიან, ბულგარეთში წასვლამდე გუნდთან ერთად ივარჯიშებენ და თუ 18-კაციანი სიიდან რომელიმე ფეხბურთელი (ან ფეხბურთელები) რაიმე მიზეზით ამოვარდება, მის ადგილს შეავსებენ.

გაბელიამ საუკეთესო შემადგენლობას ვერ მოუყარა თავი, რადგან ნაკრებს თამაშები ფიფას მიერ დადგენილ დღეებში არ უწევს, თუმცა მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის ბულგარული ვოიაჟი მაინც სასარგებლო უნდა იყოს - გაბელია უფრო კარგად გაიცნობს ამ ფეხბურთელებს, რომელთაც ძალიან კარგი შანსი ეძლევათ, მწვრთნელს თავი მოაწონონ და იმ მოთამაშეებს გაუწიონ კონკურენცია, ნაკრების ბირთვად რომ მოიაზრებიან. ამას გარდა, სიაში ისეთი ფეხბურთელებიც არიან, ახალგაზრდულ თუ სხვა ასაკობრივ ნაკრებში თამაშის გამოცდილება რომ გააჩნიათ, მაგალითად, **თევდორაძე, თარხნიშვილი, შონია, ჩიმაკაძე**...

მოკლედ, ახალგაზრდულს სასარგებლო თამაშები ელოდება.



ოთარ გაბელია

**დავით თავართქილაძე**

U 17

# ჭაბუკებს ბარსელონელი მეგოლე დაუშავდათ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები კვლავ შეკრებაზეა. **გიორგი დევდარიანის** შეგირდები ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ ვარჯიშობენ და ოქტომბერში გასამართი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ემზადებიან.

შეკრებაზე ყოფნისას 17-წლამდელებმა ორი საკონტროლო შეხვედრაც გამართეს - ჯერ „დინამო 2-ს“ გაეჯიბრნენ და 3:2 (გოლები **ლევან კოშაძემ, დავით ხოჭოლავამ** და **გიორგი ხარლამოვმა** გაიტანეს) დაამარცხეს, ხოლო შემდეგ დევდარიანის სამწყსო **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდს (რომელშიც თავმოყრილნი არიან ფეხბურთელები, ამ დროისთვის არც ერთ კლუბს რომ არ ეკუთვნიან და ფორმის შესანარჩუნებლად ჟორჟიკაშვილთან ვარჯიშობენ) ეთამაშა და მასაც მოუგო - 3:1. გოლები **ლევან კოშაძემ, გიორგი ჭანტურიამ** და **ბექა სულაბერიძემ** გაიტანეს.

„ბარსელონადან“ შეკრებაზე ჩამოსულ ჭანტურიას არ გაუმართლა. ჟორჟიკაშვილის გუნდთან მატჩში მან არც თუ მსუბუქი ტრავმა მიიღო - ფეხის კუნთი ნაწილობრივი ჩაუწყდა. თუ მკურნალობამ უპრობლემოდ ჩაიარა, ჭანტურია სავარაუდოდ ორ კვირაში გამოკეთდება.

17-წლამდელთა ნაკრები მომდევნო საკონტროლო შეხვედრას 18 ივლისს, თბილისის „ლოკომოტივთან“ გამართავს, მერე კი ხელმეორედ გაეჯიბრება „დინამო 2-ს“. რაც შეეხება უახლოეს საერთაშორისო შეხვედრებს, 26 და 28 ივლისს ჩვენი ჭაბუკები ესტონელ თანატოლებს ამხანაგურად უმასპინძლებენ.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

# ყენია: ჯერაც შალკეს პირველ გუნდში ვარ

რაც კი გელზენკირხენის „შალკე“ ავსტრიაში ჩავიდა შეკრებაზე და საკონტროლო მატჩებს მართავს, **ფელიქს მაგათი** ჩვენებურთაგან ჯერ მხოლოდ **ლევან კობიაშვილს** ათამაშებს, **ლევან ყენია** კი არ ჩანს. ერთ-ერთმა გერმანულმა წყარომ დაწერა, მაგათი ყენიას „შალკეს“ მეორე გუნდში უპირებს გაშვებასო. ვერსიები გაჩნდა ქართულ პრესაშიც და რა თქმა უნდა, დავინტერესდით, რა ხდება ყენიას თავს.

*„ჩემთვის ჯერ არაფერი უთქვამთ, კვლავაც „შალკეს“ პირველ გუნდთან ვარ და ვვარჯიშობ. რამე რომ იყოს, ალბათ, მეც ჩამაყენებდნენ საქმის კურსში. მოკლედ, ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურადაა და იმედია, მალე მომიწევს თამაში“*, - გვითხრა გუშინ ყენიამ.

**დავით თავართქილაძე**



დავით თარგამაძე

მოსალოდნელი ტრანსფერი

# თარგამაძე და არაუ ჯერ არ გადაწყვეტილა

**დავით თარგამაძის** „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგაში კი ალზევდა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ჩვენებურის ბუნდესლიგური დებიუტი დამდეგ სეზონში არ შედგება - თარგამაძე, ალბათ, შვეიცარიის ჩემპიონატში ითამაშებს.

ის 19 წლისაა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია. განვლილ სეზონში „ფრაიბურგის“ სამატჩო განაცხადში ხშირად კი ხვდებოდა, მაგრამ მწვრთნელი **რობინ დუტი** მოედანზე მის შეშვებას ერიდებოდა. ახლა კი...

*„ხვალ შვეიცარიაში ჩავდივარ, იქაურ „არაუში“ უნდა მივიდე. ჯერ საბოლოოდ არ არის გარკვეული, დავრჩები თუ არა ამ გუნდში, სავარაუდოდ, ერთ საკონტროლო მატჩს რომ ვითამაშებ, მერე გადაწყდება ყველაფერი. „ფრაიბურგს“ უნდა, რომ „არაუში“ გამანათხოვროს, ეს ვარიანტი ჩემმა აგენტმა და „ფრაიბურგმა“, ფაქტობრივად, ერთობლივად გაჩარხეს. მეც, „ფრაიბურგის“ სათადარიგოებში ყოფნას, დროებით, შვეიცარიის ჩემპიონატში სისტემატურად თამაში მირჩევნია, „არაუც“ საკმაოდ კარგი გუნდი უნდა იყოს“*, - გვითხრა გუშინ თარგამაძემ.

მართლაც, მის ასაკში ძალიან ძნელია, ბუნდესლიგურ გუნდში უწყვეტი სათამაშო პრაქტიკა გქონდეს...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

## ლევან ნოდია

# ზესტაფონის გამარჯვება არ გამიკვირდება

## სჯობს თუ არა სომხური ფეხბურთი ქართულს?

**თითოეულ ჩვენგანს ხშირად სმენია - აზერბაიჯანზე ლაპარაკი აღარ არის, ფეხბურთში უკვე სომხეთმაც გაგვასწროო... განწყობის გამოსაკეთებლად გულშემატკივარი ხშირად იხსენებს თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ ოდინდელ დაპირისპირებებს... უკანასკნელ პერიოდში კი ამ თემამ ერთგვარად მოდერნიზებული სახეც მიიღო - სომხური „მიკა“ „ჰელსინგბორგს“ ეომა და წესით, „ზესტაფონიც“ არ უნდა იყოს უშანსოდ, მით უმეტეს, გია გეგუჩაძის გუნდი „მიკას“ სჯობსო... ისე, მართლა საინტერესოა, სჯობს თუ არა „ზესტაფონი“ ერევნის „მიკას“, მართლა გაუსწრო თუ არა სომხურმა ფეხბურთმა ქართულს? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „მიკას“ სპორტულ დირექტორს, ქართული ფეხბურთის ვეტერან ლევან ნოდიას გავესაუბრეთ...**



**- ბატონო ლევან, მას მერე რაც შვედურმა „ჰელსინგბორგმა“ „მიკას“ ბარიერი გადალახა, „ზესტაფონის“ მეტოქედ იქცა. ჩვენში ხშირად გვესმის, გია გეგუჩაძის გუნდი „მიკას“ სჯობს და სკანდინავიელებთან „მიკაზე“ მეტი შანსი გვაქვსო. ამ საკითხზე თქვენ რა აზრის ხართ?**

- მართალი გითხრათ, ასე ხელაღებით თქმა „ზესტაფონი“ სჯობს „მიკას“ ან ვერ სჯობს-თქო გამიჭირდება. ჯერ ერთი ზესტაფონელების მხოლოდ ერთი თამაში ვნახე და ერთი მატჩით რაიმე დასკვნის გაკეთება, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ არაპროფესიული იქნება. ამასთან, „ზესტაფონი“ „ლისბერნს“ ეთამაშა, ისეთ სუსტ მეტოქეს, რომ ამ მატჩში თითქმის შეუძლებელი იყო დაგენახა და შეგეფასებინა იმერული გუნდის რეალური სახე და ძალა. „მიკა“ ვიცი რას წარმოადგენს, ჩვენ ერევანში საპასუხო შეხვედრაში 4 საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ ერთზე მეტი ვერ გავიტანეთ. მეტსაც გეტყვით, შვედეთში, 1:1 იყო ანგარიში 88-ე წუთამდე. მეორე ნახევარში ჩვენმა თავდამსხმელმა 3 მეტრიდან ვერ შეძლო გოლის გატანა. ჩვენს ფეხბურთელებს მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდათ და კარში სოსო გრიშიკაშვილი გვყოლოდა... გადაჭრით ძნელია იმისი თქმა „ჰელსინგბორგს“ გავაგდებდით-თქო, მაგრამ მინიმუმ, შვედების გასვლა ძალზედ სათუო იქნებოდა...

**- „ჰელსინგბორგზე“ ივო შუშაკმა ბევრი რამ გვითხრა. თქვენ რას დაამატებდით?**

- ტიპიური სკანდინავიური გუნდია, კლასიკური 4-4-2 სქემით თამაშობს. ერევანში, შვედებს ჰენრიკ ლარსონის გარდა ერიკ სუნდინი და გამთამაშებელი მარკუს ლანტცი აკლდათ. ეს სამი ფეხბურთელი ამ გუნდისთვის დიდი ძალაა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სამეული შვედებისთვის ნახევარი გუნდია.

**- მოდით პირდაპირ გკითხავთ, შეძლებს „ზესტაფონი“ ამ ბარიერის გადალახვას?**

- გადაჭრით აბა რა გითხრათ... თუ შვედებს ზემოთ ნახსენები სამეული კიდევ არ ეყოლებათ, მაშინ „ზესტაფონის“ შანსები საგრძნობლად იზრდება. თუმცა ბევრი რამ მაინც ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. მწვრთნელი დავალების შესრულება მოედანზე მოთამაშეებს უწევთ. თუ ისინი თავს ვერ გაართმევენ ფუნქციას, შესაძლოა მეტოქე დაჯაბნო, მოგებაც გეკუთვნოდეს, მაგრამ შედეგში პირიქით აისახოს. ერთი სიტყვით, „ზესტაფონის“ ბარიერის იოლად დაძლევა შვედებს ნამდვილად გაუჭირდებათ. სულაც არაა გამორიცხული მომდევნო ეტაპზე იმერლები გავიდნენ. ეს სულაც არ გამიკვირდება...

**- სოსო გრიშიკაშვილზე ირაკლი ცანავასთან ერთად, ივო შუშაკმაც ბევრი რამ გვითხრა. როგორც ჩანს „მიკაში“ ჩვენებურები გამორჩეულები არიან. თქვენს გუნდში ქართველების რიცხვის გაზრდას ხომ არ უნდა ველოდეთ?**

- გრიშიკაშვილი რომ გვყოლოდა „ჰელსინგბორგთან“ მატჩზებზე შვედეთში ნამდვილად არ წავაგებდით. ხომ გაგიგიათ მეკარე ნახევარი გუნდიაო, სწორედ ასეა ჩვენთვის გრიშიკაშვილი. მისი საიმედო თამაში მთლიანად გუნდს თავდაჯერებულობას მატებს. ასევე წამყვანი ფიგურაა ირაკლი ცანავა. როცა ცანავა არ თამაშობს, ესეც ეტყობა ჩვენს გუნდს... რაც შეეხება ქართველების დამატებას, სურვილი ბევრს აქვს, მაგრამ ვნახოთ. ევროტურნირებს ახლა გამოვეთიშეთ. ახლა ვგეგმავთ მოსამზადებელ შეკრებას და სელექციის საკითხებსაც ვიხილავთ. ვნახოთ, თუ სად, რომელ პოზიციებზე დაგვჭირდება გაძლიერება.

**- ბატონო ლევან, ივო შუშაკთან საუბრისას არ ვიცოდი, მერე გავიგე- ერევანში ოფიციალური ვიზიტით ჩასულმა ხორვატიის პრეზიდენტმა ივო შუშაკი მოიკითხაო, მართალია?**

» მე-3 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## ლევან კობიაშვილი

# ამიტომაც დავრჩი უკმაყოფილო...

## კობი: ალბათ, ფეხბურთელების ნახვა რუსეთშიც და კიდევ სხვაგანაა საჭირო

**ლევან კობიაშვილმა** სეზონისთვის მზადება დაგვიანებით დაიწყო. ის „შალკეს" მხოლოდ ერთი კვირის წინ შეუერთდა, მაგრამ გელზენკირხენელთა ახალი მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგათი ქართველი ლეგიონერისადმი კეთილგანწყობილია და ჩასვლის შემდეგ ლევანს მუდამ ძირითად შემადგენლობაში აყენებს...

**- ლევან, „შალკესთან" მომზადება გვიან რატომ დაიწყე?**

- სანაკრებო შეხვედრების გამო, კლუბმა შვებულება გამიხანგრძლივა და ერთი კვირის დაგვიანებით ჩავედი. ისე გუნდი 25 ივნისიდან ემზადება, მე კი მხოლოდ 2 ივლისს შევუერთდი. თუმცა, შვებულების დროსაც არ ვჩერდებოდი, ვვარჯიშობდი და მინდოდა შეკრებაზე ნორმალურ მდგომარეობაში ჩავსულიყავი.

**- ფიზიკური მომზადების რამდენიმე მეთოდია ცნობილი. შენთვის კარგად ცნობილი სპეციალისტია ვალერი გაზაევი, კიევის „დინამოში" ვალერი ლობანოვსკის მეთოდებზეც გექნება წარმოდგენა. როგორც შევიტყვეთ, ფელიქს მაგათი ფეხბურთელებს კიდევ უფრო საშინლად ტვირთავს. გაზაევის ვარჯიშები უფრო მძიმე ასატანი იყო თუ მაგათის?**

- სავარჯიშო მეთოდები ყველგან სხვადასხვაგვარია. რუსულსაც თავისი დადებითი მხარე გააჩნია და გერმანულსაც. ასე ცალსახად ვერ ვილაპარაკებ, რომელი მეთოდია უკეთესი. გაზაევის „ალანიაში", საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, წარმოუდგენელი დატვირთვებით ვვარჯიშობდი. ფეხბურთელები ცუდად ხვდებოდნენ, ოცი თუ ვიწყებდით, თხუთმეტი ვამთავრებდით და ა.შ. ვერ ვიტყვი, რომ გერმანიაში გაზაევზე მეტი, ან ნაკლები დატვირთვებით მავარჯიშებდნენ. გაზაევს ჰქონდა პრინციპი, შეეძლო თუ არა, ყველას ერთი ტემპით უნდა ერბინა. გერმანიაში სხვაგვარადაა, ყველა მოთამაშეს ინდივიდუალური გრაფიკი აქვს. ჯერ გვისინჯავენ პულსს და დატვირთვას აქედან გამომდინარე გვინიშნავენ, ვის რამდენი სჭირდება, რამდენი მოუხდება და ა.შ.

**- 10 ივლისს 32 წელი შეგისრულდა. ამ ასაკში ფიზიკურად კიდევ შეგიძლია ისეთი დატვირთვების ატანა, როგორც ათი წლის წინ?**

- რა თქმა უნდა, 22-23 წლის ბიჭივით ველარ ვირბენ. თუმცა, ფიზიკური მომზადების პრობლემა არასდროს მქონია და იმედია, არც უახლოეს წლებში შემაწუხებს. ჩემი პლუსი კარგი ფიზიკური მომზადება იყო - ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ და მეც ასე ვთვლი, რომ სირბილის პრობლემა არასდროს მქონია. მთელი თამაშის მაღალ ტემპში ჩატარება ყოველთვის შემეძლო - გამძლეობაც ხელს მიწყობდა. ნახევარმცველმა ხომ მცველზე და თავდამსხმელზე მეტი უნდა ირბინოს.

**- ნაკრებშიც და კლუბებშიც სხვადასხვა პოზიციაზე გითამაშია - მარცხენა მცველად და ნახევარმცველად, საყრდენად, „ალანიაში" გაზაევმა ფლეიმეიკერადაც გამოგიყენა და მოსკოვის „სპარტაკის" დამარცხებაში (2:0) დიდი წვლილი შეიტანე. შენთვის, ასაკის გათვალისწინებითაც, რომელ პოზიციაზე თამაშია სასურველი?**

- ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ჩემია ადგილი მარცხენა ნახევარდაცვაში იყო. ბევრ პოზიციაზე თამაში შემეძლო და ეს ძალიანაც მსიამოვნებდა. ბოლო დროს პრობლემას განსაკუთრებით ის მიქმნიდა, რომ ბევრი ვერ გაერკვა, სად ვთამაშობდი. გერმანიის წინა ჩემპიონატში, „შალკეს" ძირითადში ოცდაათიდან 26 შეხვედრა ჩავატარე, მათგან ოცდაერთში მარცხენა მცველად დამაყენეს და საკუთარი თავით კმაყოფილი არ ვიყავი. ეს იმიტომ, რომ არაა ჩემი ადგილი. მცველისა და ნახევარმცველის თამაში სხვადასხვა რამაა. ჩემში ნახევარმცველი უფრო „ჯდება", ამ პოზიციაზე გამოსვლა მსიამოვნებს.

**- გულწრფელად თქვი, თემურ ქეცბაია „ანორთოსისში" გადასვლას მართლა გთავაზობდა?**

- თემურთან ამ თემაზე არათუ არ მილაპარაკია, მინიშნებაც არ გაუკეთებია. სხვათა შორის, ჟურნალისტებმა საბერძნეთიდანაც დამიკავშირდნენ, მაგრამ ეს უსაფუძვლო აჟიოტაჟი გახლდათ.

**- „შალკეში" როდემდე ითამაშებ?**

- ჯერ არ ვიცი. კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ მიმთავრდება და რეალური ახლის გაფორმებაც, მაგრამ ჯერ ზუსტად ვერაფერს გეტყვით.

**- კონტრაქტის გაგრძელება ფელიქს მაგათმა შემოგთავაზა?**

- მაგათმა არა, სეზონის დამთავრების შემდეგ, კლუბის პრეზიდენტი და მენეჯერი მესაუბრნენ.

**- კონტრაქტის გაგრძელება რა ვადით შეგთავაზეს?**

- კიდევ ორი წლით და სხვათა შორის, თანამშრომლობის გაგრძელების დიდი სურვილი გამოხატეს.

**- თუ დარჩენა გსურს, დასაფიქრებელი რაღაა?**

- მე არ ვიცი, როგორი დამოკიდებულება ექნება ფელიქს მაგათს. ახალი მწვრთნელის პოზიციაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

**- უსიამოვნო თემას, საქართველოს ნაკრებს ვერ ავცდებით.**

- სასიამოვნო არაა, მაგრამ ფეხბურთელებიც ვართ ამ მძიმე კითხვის მიზეზები და ამ ფაქტს მარლა ვერსად გავექცევით. სამწუხაროდ, ჩვენ გულშემატკივარს ვერაფრით ვახარებთ.

**- საქართველოს ნაკრებში ყველა საუკეთესო მოთამაშეს არასდროს იძახებდნენ. სულ იყო გაუთავებელი გაახალგაზრდავების პროცესი, ექსპერიმენტები და ბევრი მოთამაშე განზე დარჩა. თუნდაც, ზაზა ჯანაშიას გამოუყენებლობა ავიღოთ. ახლაც იგივე გრძელდება და ისედაც მწირი რესურსით რას მივაღწევდით? მოკლედ, რესურსი არ გვყოფნის თუ მას რაციონალურად ვერ ვიყენებთ?**

- ალბათ, ყველა მიზეზი ერთად დაგროვდა. ჩემზე ძალიან არავის გაუხარდება, ნაკრებში რომ მოიწვიონ ასათიანი, მუჯირი და ყველა ის მოთამაშე, რომლებზეც ბოლო დროს საუბრობენ. მე ვარ ნაკრებში და ვიცი, ვის რა შეუძლია და ვინ არ ადამიანია. შესაძლოა, ვილაცამ როდესაც შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ადამიანი ნაკრებიდან მოკვეთო - ეს ფეხბურთელები გვჭირდება. რაც შეეხება ფეხბურთელები გვყავს თუ არა - შესაძლოა, დღევანდელი ვითარებიდან ასეც ჩანდეს, მაგრამ ვერ წარმოვიდგენ, რომ საქართველოში მოთამაშეები არ იზრდებიან. ნიჭიერი ბავშვების მეტი რა არის, მაგრამ მათ მოვლა, გაზრდა და გაფრთხილება სჭირდებათ. ალბათ, რუსეთში და კიდევ სხვაგანაც არიან ფეხბურთელები, რომელთა ნახვაც საჭიროა.

**- უცნაურია, რომ ექტორ რაულ კუპერმა რომ არ იცის, ვინ არიან ლევან გვაზავა და გოჩა ხოჯავა, იკითხა კიდეც, ასაკოვანი მოთამაშეები არიანო? ძალიან უცნაური ინფორმაციებს აწვდიან ამ ადამიანს და არაა გამორიცხული, ზოგიერთ ფეხბურთელს ამიტომაც არ იწვევს.**

- მუჯირი და ასათიანი ჩემი ბავშვობის მეგობრები არიან, ოცდაოთხი საათი ტელეფონზე ვლაპარაკობთ და ნაკრებში მათი მიწვევა ჩემზე მეტად არავის გაუხარდება, მაგრამ მე ვარ ფეხბურთელი და ვერ დავიწყებ, ესა და ეს მოიწვიოს-მეთქი. ეს არაა ჩემი საქმე. შესაძლოა, ბევრზე გამოცდილი ვარ, შეიძლება, რაღაც მეთქმის, მაგრამ მისაწვევთა სიას მწვრთნელი ადგენს და არა ფეხბურთელი. მწვრთნელის გაკრიტიკება კი ჩემი საქმე არაა.

**- გერმანული სპორტული მედიცინის მიღწევები ცნობილია. ამის გამო იწვევს გაოცებას ლევან ყენიას გახშირებული ტრავმიანობა.**

- მედიცინა მართლა მაღალ დონეზეა, მაგრამ სხვა საქმეა, ლევანის ტრავმები რისი შედეგია. კარგად მახსოვს, იაშვილს „ფრაიბურგში" ზედიზედ სამჯერ კუნთი გაუწყდა, ანუ ასეთი რამ ხდება. ეს არ ნიშნავს, რომ გერმანიაში მკურნალობა არ აციან. ლევანი ახლა ჯანმრთელადაა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს და იმედია, მისი კარიერა კარგად აეწყობა.

**- ყენიას შესაძლებლობებს კარგად იცნობ. შენი აზრით, შეუძლია მისნაირ ტექნიკურ ფეხბურთელს გერმანულ ფეხბურთთან ადაპტირება?**

- რატომაც არ შეუძლია. გერმანიაში ბევრი ტექნიკური ფეხბურთელია. ყველა გიჟივით კი არ დარბის და იჩეხება, ფეხბურთს ბუნდესლიგაშიც თამაშობენ. მთავარია, თავად ლევანი როგორ მოემზადება და მოეკიდება საქმეს. თორემ, 18 წლის ფეხბურთელისთვის იმაზე მეტი შანსი რა უნდა იყოს, გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ კლუბში თამაშობს. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. მთავარია, ჯანმრთელად იყოს და ყველაფერი ისე გააკეთოს, საქმეს რომ სჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ლევან კობიაშვილი (№17)

ლეგიონი

## იაშვილის გუნდი ფავორიტია

გუშინ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულმა „კარლსრუემ" ტესტმატჩში 4:1 გაანადგურა „ოფენბახი". **ალექსანდრე იაშვილმა** გამარჯვებულთა რიგებში 71 წუთი ითამაშა, შემდეგ მის ნაცვლად **ადინ დრაფიჩი** შემოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ფორვარდს გოლი არ გაუტანია, ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო „კარლსრუეს" შემადგენლობაში. სპეციალისტთა მტკიცებით, „კარლსრუე" მეორე ბუნდესლიგის მოგების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია.

## აკუასაგა: რომ არა საქართველო...

ერთი კვირაა, რაც საფრანგეთის რანგით მეორე დივიზიონში გავარდნილ „ნანტში" საქართველოდან წასული გაბონელი ლეგიონერი **ერნესტ აკუასაგა** ვარჯიშობს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ იგი ნანტელი გახდება. ფრანგულ „პრეს ოკეანს" რუსთავის „ოლიმპის" ყოფილმა ფეხბურთელმა ვრცელი ინტერვიუ მისცა, რომელშიც საგანგებოდ შეეხო საქართველოში გატარებულ დროს:

*„საქართველოში გატარებულ ორ სეზონს ყოველთვის სიამოვნებით გავიხსენებ. იქ თამაში იმანაც გამიმარტივა, რომ ერთადერთი გაბონელი არ ვიყავი, თბილისის „დინამოში" თამაშობდნენ ჩემი თანამემამულეები, ერთ-ერთი კი „ლე მანის" გოლკიპერი დიდიე ოვონო იყო. საქართველოში სიტუაცია ყოველთვის სტაბილური არ იყო, რადგან ამ ქვეყანას დიდი პრობლემები აქვს რუსეთთან. არასტაბილური იყო იქაური ამინდიც, ზამთარში ხელთათმანების გარეშე მოედანზე ვერ გავხიოდი. დარწმუნებული ვარ, რომ არა საქართველოს ჩემპიონატში თამაში ნაკრებში არავინ ამიყვანდა, ნაკრებში თუ ვერ მოვხვდებოდი, არც „ნანტი" დამიძახებდა".*

## მახვილაძე სიმურგიდან გაუშვეს

ევროპის ლიგის გათამაშებას ზაქათალის „სიმურგი" ხუთი ქართველით შეხვდა, დღეისათვის კი გუნდში სამი ჩვენებურილაა. ჯერ ნახევარმცველი **გრიგოლ დოლიძე** გაუშვეს გუნდიდან, მიზეზად კი მისი ტრავმიანობა დაასახელეს. გუშინ კი გუნდიდან კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაითხოვეს და მათ შორისაა **მიხეილ მახვილაძე**. აი, რა თქვა „სიმურგის" პრეზიდენტმა **ზაურ მამედოვმა**: *„მახვილაძე მხოლოდ ართმევით იყო დაკავებული, შეტევებში საერთოდ არ ერთვებოდა, არ ასრულებდა მწვრთნელის დავალებას"*. შეგახსენებთ, რომ „სიმურგი" ებრაულ „ბნეი იეჰუდასთან" ორი მატჩის ჯამში 0:4 დამარცხდა. „სიმურგში" კიდევ სამი ქართველი ლეგიონერია: **კახა ჩხეტიანი, დავით ბოლქვაძე** და **რომან ახალკაცი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ზესტაფონის გამარჯვება არ გამიკვირდება

« მეორე გვერდიდან

- დიახ, ეს მართალია. ხორვატიის პრეზიდენტი ერევანში რომ ჩამოვიდა, ერთ-ერთ შეხვედრაზე სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარქისიანს ჰკითხა - თქვენს ქვეყანაში ხორვატიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელები მუშაობენ და მინდა ისინიც ვნახოო. იმ პერიოდში ივო შუშაკი სამშობლოში იყო. ერევანში მხოლოდ მისი თანამემამულე, ფიზიკური მომზადების სპეციალისტი გორდონ ციფრიჩი იყო და მას ესაუბრა ხორატიის პრეზიდენტი. ციფრიჩს, რომელიც ადრე ხორვატიის ნაკრებში, მერე კი ერთ-ერთ ინგლისურ კლუბში მუშაობდა, თავისი ქვეყნის პრეზიდენტმა უთხრა, ივო შუშაკი თბილად მომიკითხეო... ასეა, ხორვატიაში ფეხბურთი მაღალ რანგში, სახელმწიფო დონეზე განიხილება. კარგი იქნება, თუ ჩვენთანაც ასე იქნება... გარდა ამისა, შუშაკი არა მარტო სამშობლოში, არამედ ყოფილ იუგოსლავიაში, ბალკანეთზე, ცნობილი ფიგურაა. მას მერე, რაც შუშაკის მიერ გაწვრთნილმა „დინამომ" დსთ-ის თასი მოიგო, მას ყოფილ საბჭოთა კავშირშიც იცნობენ და არაერთი წინადადებაც ჰქონდა რუსეთიდან და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან.

**- საქართველოში ხშირად გვსმენია, სომხურმა ფეხბურთმა ქართულს გაუსწროო. მართლა ასეა?**

- ფინანსებით კი უკეთესობაა, მაგრამ დონითა და კლასით საქართველოს ჩემპიონატი სჯობს. თუმცა სომხურ ფეხბურთში დიდი ფულია ჩადებული და ეს თავის შედეგს აუცილებლად გამოიღებს. ჩვენი კლუბი მაგალითზე გეტყვით, ორი ესპანელი, თითო კი ბრაზილიელი, პორტუგალიელი და კოტდივუარელი ფეხბურთელი ჩამოვიყვანეთ. ორი ქართველი გვყავს, სხვა ლეგიონერებიც არიან ჩვენს კლუბში. უცხოელი ფეხბურთელები არც სხვა გუნდებს აკლიათ, საქართველოში კი ლეგიონერები ასე მრავლად ნამდვილად არ არიან. უცხოელი ყოველთვის ადგილობრივზე უკეთესია და ადგილობრივები ამ გამოცდილი ლეგიონერებისგან ბევრს სწავლობენ. ეს ნასწავლი მალე კლასში და ჩემპიონატის დონეშიც აისახება. ასე რომ, თუ ქართულ ფეხბურთში ვითარება არ გამოვასწორეთ...

**- ვინ აფინანსებს თქვენს კლუბს?**

- პრეზიდენტი მიხეილ ბაღდასაროვია, კონცერნს ფლობს, რომელშიც, რამდენიმე კომპანიაა გაერთიანებული. მათ შორის ბენზინგასამართი სადგურების ქსელი აქვს. ჩვენი კლუბის პარტნიორია, ავიაკომპანია „სომხეთის ავიახაზები".

**- სომხეთის ჩემპიონატში მოასპარეზე ადგილობრივ ფეხბურთელები საბჭოური პერიოდის ერევნის „არარატში" თუ მოხვდებოდნენ?**

- ასეთად მხოლოდ ორს დავასახელებდი, საფრანგეთში დაბადებული ფორვარდი მხითარიანი, რომელიც ნაკრების წევრია, „პიუნიკში" იყო და ახლა სინჯებზეა დონეცკის „მეტალურგში". ის ძალიან კარგი ფეხბურთელია. კიდევ ერთი, ჩვენს გუნდშია მცველი ალიკ პატეოსიანი, ის თბილისში დაბადებულ-გაზრდილია, ფეხბურთს 35-ე საფეხბურთო სკოლაში ეზიარა, ეროვნული ნაკრების წევრია. მას სურს ერევანში „აიაქსის" ტიპის კლუბი ჰყავდეს, დაწყებული მთავარი გუნდით, ბავშვთა გუნდებით, აკადემიით და სრულყოფილი ინფრასტრუქტურით.

**დავით ცაბაძე**

მწვრთნელი

## ქეცბაიას მორიგი 3:0

**თემურ ქეცბაიას** „ოლიმპიაკოსი" ჰოლანდიაში მოსამზადებელ შეკრებას განაგრძობს. ელადის ჩემპიონები კიდევ ერთ ჰოლანდიურ გუნდს, ამჯერად „ზვოლეს" (მეორე ლიგა) შეხვდნენ და 3:0 მოუგეს (ასეთივე ანგარიშით „ოლიმპიაკოსმა" ცოტა ხნის წინათ ავსტრიული „შვარცი" დაამარცხა). გოლები **მიტროლლუმ, დუდუმ** და **დიოგომ** გაიტანეს. ქეცბაიამ „ზვოლესთან" ის ფეხბურთელები ათამაშა, რომელთაც „ჰეერენვეენთან" წინა სპარინგში (1:0) არ უთამაშიათ, ან მცირე ხნით მოუწიათ მოედანზე გასვლამ.

გუშინვე, ბერძნულმა პრესამ ქეცბაიას მოკლე კომენტარი გამოაქვეყნა: *„ჰეერენვეენის" შემდეგ შედარებით სუსტი მეტოქე გვყავდა და შესაბამისად, იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებს მივეცი თავის გამოჩენის შესაძლებლობა, რომელთაც აქამდე ნაკლები შანსი ჰქონდათ. „ჰეერენვეენთან" ახალგაზრდების თამაშით კმაყოფილი დავრჩი. იმედი მაქვს, ისინი პროგრესს გააგრძელებენ".*

**დავით ცაბაძე**

მეტალურგსი–დინამო

რას წერენ ჩვენზე

სამ დღეში საქართველოს თასის მფლობელი თბილისის „დინამო“ ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლით მატჩს ჩაატარებს. კახა კაჭარავას გუნდს ლატვიურმა „მეტალურგსმა“ უნდა უმასპინძლოს. ლიეპაიას „მეტალურგსზე“ ვრცელი წერილი მაშინ შემოგთავაზეთ, ევროტურნირების კენჭისყრის შედეგები რომ გახდა ცნობილი. რალა თქმა უნდა, აღარ გავიმეორებთ და მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ „მეტალურგსი“ ლატვიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და მიმდინარე ჩემპიონატშიც პირველ-მეორე ადგილებს იყოფს ბოლო წლების უპირველეს კონკურენტ „ვენტსპილსთან“ ერთად (ორივე გუნდს 19 მატჩის შემდეგ 45-45 ქულა აქვს).

„მეტალურგსი“, წესითა და რიგით, „დინამოს“ საკუთარი ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის რანგში უნდა შეხვედროდა; თუმცა, გერმანელი სპეციალისტის, რიუდიგერ აბრამჩიკის გუნდმა უკანასკნელ ტურში, მართალია ადგილობრივი „მასშტაბის“, მაგრამ მაინც ხმაურიანი სენსაცია მოახდინა - გასვლით შეხვედრაში დამარცხდა უიმედო აუტსაიდერ „ტრანზიტთან“. აღსანიშნავია, რომ მანამდე „ტრანზიტი“ ცხრილის ბოლო საფეხურზე იყო და 17 მატჩში მხოლოდ 7 ქულა ჰქონდა. ეგ კი არა, ამ გუნდს ჩემპიონატში მოგებაც არ ჰქონდა და აი, ყველასათვის მოულოდნელად, სეზონში პირველ გამარჯვებას... იმ დროისათვის ერთპიროვნულ ლიდერთან, „მეტალურგსთან“ მიაღწია! სხვათა შორის, ლიეპაიელი ქომაგისთვის საყვარელი გუნდის მარცხი ერთობ მტკივნეული იყო. თანაც, „დინამოს“ მომავალი მეტოქის წაგება იმითაც იყო მოულოდნელი, რომ „მეტალურგსი“ ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდა: სპოლე, ზირნისი (78, რაკელი), ემელინი, ტამოშაუსკასი, კლიავა - პროხორენკოვსი, რაფალსკი, კასტნერი (38, კოჟოკარი; 78, გოლოვინსი), კირხნერი - კარსლონი, გრებისი. ეს მარცხი ზოგმა მოედნის ხელოვნურ საფარს დააბრალა. თუმცა ფაქტია, რომ ამ წაგების მერე „მეტალურგსის“ ქომაგები „დინამოსთან“ ორრაუნდიან პაექრობას, ცოტა არ იყოს, შიშითაც ელოდებიან. ამის დასტურია „მეტალურგსის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგებიც. რა თქმა უნდა, თამაშის დღემდე (ანუ, 6 ივლისამდე), ეს მონაცემები შესაძლოა, შეიცვალოს, მაგრამ სადღეისოდ ძალიან ნაკლებს თუ სჯერა ლატვიური გუნდის წარმატების. კითხვა კი ასეთია: როგორ დასრულდება „მეტალურგსსა“ და „დინამოს“ შორის დაპირისპირება? დღეისათვის გამოკითხულთა 7,32 პროცენტს მიაჩნია, რომ მომდევნო ეტაპზე „მეტალურგსი“ გავა; 90,16 პროცენტი უპირატესობას „დინამოს“ ანიჭებს; 1,86 პროცენტი შანსებს თანაბრად აფასებს, ხოლო 0,66 პროცენტი ფიქრობს, რომ წყვილში გამარჯვებულის ვინაობას პენალტების სერია გამოავლენს.

# ფავორიტი დინამოა!

რაც მთავარია, წინა კვირაში „მეტალურგსის“ ვებგვერდზე მომავალ მეტოქეზე - თბილისის „დინამოზე“ საკმაოდ ვრცელი სტატია გამოქვეყნდა. წინდაწინ ვიტყვით, რომ საკმაოდ კეთილგანწყობილი წერილია და გვინდა, ყოველგვარი შესწორება-კომენტარის გარეშე ქართველმა მკითხველმაც იხილოს...

გვარები. ამ მზიური ქვეყნის უმთავრესი გუნდი კი ყოველთვის იყო და დღესაც არის თბილისის „დინამო“ - ლიეპაიას „მეტალურგსის“ ახლანდელი მოწინააღმდეგე ევროპის ლიგის გათამაშებაში. თბილისის „დინამომ“ და საერთოდ, ქართულმა ფეხბურთმა ყველაზე დიდ წარმატებას საბჭოურ პერიოდში მიაღწია. დინამოელები ორჯერ გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები (1964 და 1978 წლებში), ხუთჯერ ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ, ხოლო ცამეტჯერ - ბრინჯაოს. ამას გარდა, თბილისის „დინამომ“ ორჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი. 1981 წელს კი გუნდმა საერთაშორისო ასპარეზზე ყველაზე დიდ გამარჯვებას მიაღწია - ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა!

1990 წლიდან ქართულმა კლუბებმა სსრკ-ის ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი თქვეს და საკუთარი ჩემპიონატის დამოუკიდებლად ჩატარება გადაწყვიტეს. თავდაპირველად, „დინამოს“ სახელი შეეცვალა და „იბერიას“ სახელით ასპარეზობდა, მაგრამ მერე ისევ ძველი სახელწოდება დაიბრუნა. საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატების ისტორიაში თბილისის „დინამო“ ცამეტჯერ დაეუფლა ოქროს მედლებს, თანაც გუნდმა ეს ათჯერ ზედიზედ მოახერხა (1990-დან 1999 წლის ჩათვლით). 2000 წლიდან დღემდე „დინამო“ მხოლოდ სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი (უკანასკნელად - 2008 წელს). ახლახან დასრულებულ სეზონში „დინამომ“ მეორე ადგილი დაიკავა და ექვსი ქულით ჩამორჩა ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“. თუმცა, ლეგენდარული გუნდის ქომაგები უტიტულოდ მაინც არ დარჩენილან - „დინამომ“ მეცხრედ მოიპოვა საქართველოს თასი, როცა პენალტების სერიაში რუსთავის „ოლიმპი“ დაამარცხა. ამ შეხვედრაში, კერძოდ, პენალტების სერიაში გაიბრწყინა „დინამოს“ მეკარემ **გიორგი ლორიამ**, ვინც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ საქართველოს ნაკრების ძირითადი მეკარე გახლდათ. თუმცა, ამ ბოლო დროს, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ექტორ რაულ კუპერი** ეროვნულ გუნდში აღარ იძახებს. სხვათა შორის, სეზონის ბოლოს, ლორიამ ღირსეულად შეცვალა ძირითადი მეკარე **დიდიე ოვონო**. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ „დინამომ“ გაბონის ნაკრების 26 წლის მეკარე ფრანგულ „ლე მანში“ 700 000 ევროდ გაყიდა. სხვათა შორის, 2008 წლის დეკემბერში თბილისის „დინამოდან“ იმავე „ლე მანში“ კიდევ ერთი მეკარე გაიყიდა - 19 წლის **გიორგი მაკარიძე**. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „დინამოს“ სამენეჯერო სამსახური ერთობ პროდუქტიულად მუშაობს.

საერთოდაც, ქართულ ფეხბურთში ნიჭიერი მოთამაშეების ნაკლებობა არასდროს იგრძნობოდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ის გავიხსენოთ, უკანასკნელ წლებში ლატვიის ჩემპიონატში რამდენი ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა.

თუმცა, ისევ „დინამოს“ დავუბრუნდეთ, ამა წლის აპრილიდან **კახა კაჭარავა** რომ ხელმძღვანელობს. ამ პოსტზე მან გერმანელი **რაინერ ცობელი** შეცვალა, თუმცა ჩემპიონატის მოგება მაინც ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუნდთან ერთად პირველ ტიტულს მაინც დაეუფლა - საქართველოს თასს. მაისის ფინალში (1:1, 2:0 - პენალტებში), ლორიას გარდა, თავი გამოიჩინა გუნდის ვიცე-კაპიტანმა, ნახევარმცველმა **გიორგი ნერგაძემ** - უშუალოდ თამაშიდანაც გაიტანა გოლი და პენალტიც ზუსტად შეასრულა.

„დინამოს“ დაცვის ხაზში უნდა აღვნიშნოთ სლოვაკი **მილოშ კრშკო**, მარჯვენა მცველი **გულვერდ თომაშვილი** და 22 წლის **გურამ კაშია**. ამ უკანასკნელს აპრილში საქართველოს ნაკრებში ჰქონდა დებიუტი. მის გარდა ქვეყნის პირველ გუნდში სისტემატურად იწვევენ „დინამოს“ სამ ნახევარმცველს - **დავით ოდიკაძეს, გიორგი მერებაშვილსა** და **ლევან ხმალაძეს**. ეს უკანასკნელი „დინამოს“ კაპიტანი გახლავთ.

გასულ სეზონში „დინამო“ ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი გუნდი იყო - 30 შეხვედრაში 70 გოლი გაიტანა. ამას გარდა, გუნდმა საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ახალი რეკორდიც დაამყარა ერთ მატჩში გატანილი გოლების რაოდენობით - როდესაც აუტსაიდერ „ბორჯომს“ 12:0 მოუგო. იმ შეხვედრაში პოკერი შეასრულა „დინამოს“ ჩერნოგორიელმა ლეგიონერმა **ილია სპასოევიჩმა**. სხვათა შორის, ნახევარდაცვაში თამაშობს მისი თანამემამულე **დანილო ტომიჩი**. გასულ სეზონში თბილისური გუნდის თავდასხმის ხაზში სერიოზული კონკურენცია იყო - ზემოთ ნახსენები სპასოევიჩის გარდა თამაშობდნენ **მათე ვაწაძე** და **ირაკლი სიხარულიძე**; აგრეთვე, ორი ლეგიონერი - გაბონელი **ჯორჯ აკირემი** და კამერუნელი **დონალდ ჯუისი**. სხვათა შორის, ჯუისმა ძალიან მალე გამონახა საერთო ენა პარტნიორებთან.

აი, ასეთი არაერთგვაროვანი მოწინააღმდეგე ეყოლება ლიეპაიას „მეტალურგს“ ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი 16 ივლისს ლიეპაიაში ჩატარდება, განმეორებითი კი - 23 ივლისს, თბილისში“.

**გია ტუხაშვილი**



## დინამო ხვალ მიემგზავრება

თბილისის „დინამო“ ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო მატჩისათვის ჩვეულ რეჟიმში ემზადება. დღეს საღამოს, დინამოელები დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშებენ და ღამის 2 საათზე, თბილისი-რიგას ავიარეისით ლატვიაში გაემგზავრებიან. გუნდი ლიეპაიაში, სასტუმრო „ამრიტაში“ დაბინავდება და ოთხშაბათს, ადგილობრივი დროით 19 საათზე „დაუგავას“ სტადიონზე ივარჯიშებს. მატჩის დღეს, 16 ივლისს, გუნდის მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა თავის შეგირდებს დილის 11 საათზე ავარჯიშებს და გუნდი უეფას ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრისთვის მოემზადება. „მეტალურგსისა“ და „დინამოს“ შეხვედრა „დაუგავას“ სტადიონზე 19 საათზე (თბილისის დროით - 20 საათზე) დაიწყება. მატჩს მოემსახურება დანიელ მსაჯთა ბრიგადა **ანდერს ჰერმანსენის** „მეთაურობით“. უეფას დელეგატი **რუდოლფ ზავრლი** (სლოვენია) იქნება, მსაჯთა დამკვირვებელი კი - სტირბერნ ოსკარსონი (ფინეთი).

მატჩის მეორე დღეს, პარასკევს, დინამოელები დილით ივარჯიშებენ და სამშობლოში დაბრუნდებიან. გამეორებითი შეხვედრისთვის (რომელიც 23 ივლისს თბილისში ეროვნულ სტადიონზე 18 საათზე ჩატარდება) „დინამო“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მოემზადება. ახლა კი გთავაზობთ „დინამოს“ უეფას ევროპის ლიგის გათამაშების განაცხადს:

მეკარეები - **გიორგი ლორია, გიორგი სომხიშვილი, გიორგი ნადირაძე;**

მცველები - **გურამ კაშია, გიორგი ნერგაძე, მილოშ კრშკო, გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა, მარკოს ჩარასი, ლაშა ჩადუნელი;**

ნახევარმცველები - **ლევან ხმალაძე, დავით დიღმელაშვილი, გიორგი მერებაშვილი, ალექსანდრე კოშკაძე, შოთა კაშია, ვაჟა ნემსაძე, შოთა ლომია, ნიკოლოზ ფირცხალავა, ნიკოლოზ ჯიშკარიანი, გიორგი მამუჩაშვილი.**

თავდამსხმელები - **მათე ვაწაძე, დონალ ჯუისი, ჯორჯ აკირემი, ირაკლი სიხარულიძე.**

www.sport.metalurgs.lv

**წარმოგიდგენთ მოწინააღმდეგეს**

დინამო (თბილისი)

**„მომდევნო კვირაში ჩვენს გუნდს ევროტურნირების ახალ გათამაშებაში - ევროპის ლიგაზე სტარტი ელოდება. კენჭისყრის შედეგად ლიეპაიას „მეტალურგსის“ მეტოქე საყოველთაოდ ცნობილი კლუბი, თბილისის „დინამო“ იქნება. დღეს, შევეცდებით ამ გუნდის შესანიშნავი ისტორიაზე მოგითხროთ...**

...ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი სხვადასხვა თაობის ქართველ მოთამაშეთა სახელი და

კაპიტანი

# იტალიასთან თუ მალტაზე?

## როდის დაბრუნდება ნაკრებში კალაძე...

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **კახა კალაძემ** კვირას „მილანის“ რიგებში ითამაშა. ახალი სეზონისთვის მზადების პროგრამით „როსონერიმ“ პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა და ახალი მთავარი მწვრთნელის **ლეონარდოს** ხელმძღვანელობით ქვედალიგოსანი (Lega Pro 1, ანუ სერია C) „ვარეზე“ 2:0 დაამარცხეს. კალაძე სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა. ის 73-ე წუთზე, **ტიაგო სილვას** ნაცვლად გამოჩნდა მოედანზე, მაშინ, როცა ანგარიში უკვე 2:0 იყო (**ფილიპო ინძაგის** დუბლი).

„უკვე ოთხი თვე გავიდა, რაც ტრავმა მივიღე და ბედნიერი ვარ, რომ ამხელა პაუზის შემდეგ კვლავ გავედი მოედანზე. ჯერ კიდევ სრულად არ ვარ გამოჯანმრთელებული. „ვარეზესთან“ თამაშის შემდეგ ტკივილმა მცირედით, მაგრამ მაინც შემაწუხა. ბუნებრივია, ექიმებმა კარგად იციან ჩემი ახლანდელი მდგომარეობა და ამიტომაც იყო, 17 წუთზე მეტი დრო რომ არ მომცეს სათამაშოდ. არც მე მინდა, რომ გავრისკო, დავილალე... მსურს, ერთხელ და სამუდამოდ ბოლომდე გამოვჯანმრთელდე. სარეაბილიტაციო კურსს კვლავაც ვაგრძელებ და ყველაფერს ვაკეთებ, რათა მალე საბოლოოდ ჩავდგე მწყობრში“, - თქვა კალაძემ „ლელოსთან“ საუბარში.

„მილანის“ ახალი თავკაცი იტალიურ პრესასთან კომენტარში ამბობს, რომ კალაძის შესაძლებლობები კარგად იცის და რომ დაცვის საიმედოობის კუთხით, მასზე დიდ იმედებსაც ამყარებს.

„ლეონარდოსთან, როგორც ჩემს სხვა თანაგუნდელებს, მეც მქონდა ჩვეულებრივი საუბარი, - ამბობს ნაკრების კაპიტანი, - ისეთი, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო გუნდის ახალ მწვრთნელსა და ამავე გუნდის ფეხბურთელს შორის. აშკარად ვიგრძენი, რომ „მილანის“ თავკაცმა კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები, დიდ იმედებსაც ამყარებს ჩემზე და მოუთმენლად ელის, როდის გამოვჯანმრთელდები ბოლომდე. ახლა, ჩემი უმთავრესი მიზანიც ისაა, რომ 3-4 კვირაში სრულ მზადყოფნაში ვიყო“.

კალაძეს ვკითხეთ 3 ივლისს, ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ულტრათანამედროვე სტადიონის გახსნასთან დაკავშირებით გამართული მატჩის თაობაზეც. მოგეხსენებათ, „კაჟიმუკანის“ ახალთახალ არენაზე **ჰასან შაშის, ჰაქან შუქურის, ანდრეი შევჩენკოსა** და სხვა ცნობილ საფეხბურთო სახეებთან ერთად, კალაძემაც გააგორა ბურთი.

„ასტანაში დიდი ზეიმი იყო. მართლაც ჩინებული სტადიონია. ყაზახეთში ფეხბურთის განვითარებისთვის დიდი ინვესტიციები ჩაიდო და ეს მალე გამოიღებს შედეგს. კარგი იქნება, თუ უახლოეს წლებში ასეთი სტადიონი საქართველოშიც გვექნება. ქართულ ფეხბურთში მეტი ინვესტიციაა საჭირო და მერე შედეგი ჩვენც გვექნება“, - ასე სჯერა კალაძეს.

იმ დროს, როცა კახამ ასტანაში, ახალი სტადიონის გახსნისადმი მიძღვნილ საფეხბურთო შოუში მხოლოდ ბოლო 14 წუთს ითამაშა, ვივარაუდეთ, რომ კაპიტანი 12 აგვისტოს, მალტაზე გასამართ ამხანაგურ შეხვედრაში დაუბრუნდებოდა ეროვნულ გუნდს. თუმცა, შესაძლოა, კაპიტნის დაბრუნება არა აგვისტოში, არამედ 6 სექტემბერს, იტალიასთან მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში შედგეს. ჩვენი ინფორმაციით კალაძე, ჯერჯერობით, არ ფიგურირებს **ექტორ კუპერის** სამალტო ჩამონათვალში.

„ახლა ნაკრების თემაზე ვერაფერს გეტყვით. როგორც გითხარით, „ვარეზესთან“ თამაშის შემდეგ ცოტათი ტკივილმა შემაწუხა. მალტასთან მატჩამდე ერთი თვეა დარჩენილი და ვნახოთ, როგორ ვიქნები ამ თვის ბოლოს“, - აღნიშნა კალაძემ.



კახა კალაძე

დაბოლოს, კახა კალაძე ყველაზე ელეგანტური მამაკაცია საქართველოში - ასეთია „კვირის პალიტრის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები...

**დავით ცაბაძე**

## ქართული ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა

ვიტ ჯორჯია-მარიბორი

# მუმლაძემ ჩანაწერებში მარიბორის ტექნიკა დაინახა

ხვალ საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში სლოვენიის პირველადგილოსან „მარიბორს“ მასპინძლობს. სტუმრები დღეს ჩარტერული რეისით ჩამოფრინდებიან და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ვარჯიშს 20 საათიდან შეუდგებიან. ვარჯიშამდე კი პრესკონფერენციაა დაგეგმილი.

„ვიტ ჯორჯია“ კი ამავე სტადიონზე ვარჯიშს საათნახევრით ადრე დაიწყებს და სტუმრებისგან განსხვავებით, პრესისთვის ვარჯიშის შემდეგლა მოიცლის. **რამაზ მუმლაძეს** ყველა ჯანზე ჰყავს. მთავარია ჯანმრთელობა! - თუ ამ შეგონებით ვიმსჯელებთ, „ვიტ ჯორჯიას“ საქმე ურიგოდ ნამდვილად არ აქვს. როგორც ჩემპიონთა ბანაკში ამბობენ, ყირიმში ერთობ კარგი შეკრება ჰქონდათ და ცხადია, ჯანის ნაკლებობაზე ვერ დაიჩივლებენ.

„ვიტ ჯორჯია“ უშანსოდ ნამდვილად არ არის. შეიძლება ითქვას, „მარიბორის“ დამარცხება მუმლაძის გუნდს მართლაც ხელეწიფება.

...და მაყურებელი. მასპინძელმა კლუბმა ბილეთს 2 ლარი დაადო. ზოგი ამ ფასის ბილეთებს საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ჰყიდის, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთავარი - ბილეთის ფასი გულშემატკივარს ალბათ ვერც დააბრკოლებს და ვერც გულს აუნთებს საქართველოს ჩემპიონის საქომაგოდ.

„მარიბორის“ მწვრთნელმა **დარკო მილანიჩმა** გუშინ შინ გამართა პრესკონფერენცია: *„გასულ სეზონში ჩემპიონები გავხდით და ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სწორ გზას ვადგავართ. ჩვენ კვლავაც წარმატებულები ვიქნებით, თუმცა კარგად გვესმის, რომ ამისთვის მძიმე შრომა მოგვიწევს. საქართველოში საკმაოდ მოტივირებულები მივდივართ, ასე ვთქვათ, კარგ ტალღაზე ვართ, რაც გვაიმედებს, რომ მომდევნო ეტაპზე გავალთ“*, - უთქვამს მილანიჩს, ვინც სლოვენიის ნაკრების ფეხბურთელი გახლდათ და თბილისში ჩვენი ეროვნული გუნდის წინაალმდეგაც უთამაშია ევრო 2000-ის შესარჩევ ეტაპზე.

„ვიტ ჯორჯია“ კარგად შეიარაღებული დაუხვდება მეტოქეს. *„მოვიპოვეთ „მარიბორის“ თამაშის რამდენიმე ჩანაწერი. სლოვენიელებმა მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ტექნიკური გუნდია, დანარჩენს 15 ივლისის მატჩი გამოაჩენს“*, - მოკლედ მოგვიჭრა მუმლაძემ.

ერთი სიტყვით, დღეს ვაკეში მიხეილ მესხის სახელობის არენაზე გუნდებს გენერალური რეპეტიცია ექნებათ. „ვიტ ჯორჯია“-“მარიბორი“ არ უნდა გამოვიდეს უნიათო შეხლა...

**დავით თავართქილაძე**



გია ლეჟავა

# SOS!




# ნუ წაართმევთ ბავშვებს სტადიონს!

## რა ბედი ეწევათ ისტორიული 35-ე საფეხბურთო სკოლის მემკვიდრეებს?

**თბილისი, ჩუბინიშვილის 52. გაუბედურებული და გაპარტახებული ორსართულიანი შენობა, სადაც ამჟამად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დევნილები ცხოვრობენ. ადრე აქ მძლეოსნობის მანეჟი იყო; ეგ კი არა, შენობის წინ სტანდარტული ზომის სტადიონი რომ არის, ქართული ფეხბურთის ლეგენდები აღზრდილან! მოკლედ, ვინც ვერ მიხვდა, შევახსენებთ - ოქროსუბნელთა და, საერთოდ, ნებისმიერი თბილისელის საყვარელ, ძველ „35-ე საფეხბურთო სკოლაზე“ ვსაუბრობთ...**

დაახლოებით ათი წელიწადია, სკოლას სახელი შეეცვალა და ახლა **„ნოდარ ახალკაცის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა XXI საუკუნე“** ჰქვია. ამ უნიკალური საფეხბურთო სკოლის უცვლელი დირექტორი **გია ლეჟავა** გახლავთ, ვისი უდიდესი დამსახურებაა, რომ დიდ ფეხბურთს ეზიარენ **გოგიტა გოგუა, კახა ალადაშვილი, გიორგი ციმაკურიძე, თენგიზ ჩიკვილაძე, დავით ნაკანი** და სხვები. სკოლის უნიკალურობა კი ისაა, რომ - ფეხბურთის სწავლის მსურველი არც ერთი აღსაზრდელი... გადასახადს არ იხდის! ასეა სკოლის დაარსების დღიდან და ასეა - ახლაც! „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სკოლა განათლების სამინისტროდან ფინანსდებოდა, დირექტორიც და მწვრთნელებიც ხელფასს სწორედ იქიდან იღებდნენ. ეგ კი არა, როგორც გია ლეჟავა იხსენებს, „XXI საუკუნის“ აღსაზრდელები წელიწადის განმავლობაში რამდენიმე უცხოურ შეკრებაზეც მიდიოდნენ და ყველაფერი ეს განათლების მაშინდელი მინისტრის, **კახა ლომაიას** დიდი დამსახურება იყო. აი, მერე კი...

**გია ლეჟავა:** „მითხარით, დღესდღეობით ასეთი რამ სადმე თუ ხდება? 2003 წლიდან დღემდე, ვინ მოთვლის, ამ სკოლაში რამდენ ბავშვს უვარჯიშია და არავისგან ერთი თეთრიც არ აგვიღია. ეგ კი არა, 2008 წლიდან დაფინანსება რომ შეგვიწყვიტეს და განათლების სამინისტროდან თბილისის სპორტის სამსახურს „გადაგვაბარეს“, არც ამის მერე შეცვლილა რამე: მეც და საფეხბურთო სკოლაში დასაქმებული ყველა მწვრთნელი, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე ვმუშაობთ! რა ვქნათ, გვიყვარს ჩვენი საქმე და, რაც მთავარია, ამ სკოლის უდიდეს ისტორიასა და ტრადიციას ვუფრთხილდებით. სწორედ აქ დაიწყეს თავის დროზე ფეხბურთის თამაში ქართული სპორტის ლეგენდებმა - **მიხეილ მესხმა, ზაურ კალოევმა, შოთა იამანიძემ, კახი ასათიანმა, ავთანდილ ჭკუასელმა,** ძმებმა **კოტრიკაძეებმა** და ძმებმა **მაჩაიძეებმა**. ახლა კი რა ხდება - ეტყობა, ეს ადგილი ბევრს მოსწონს; რაღა ხერხს აღარ იყენებენ, ტერიტორია რომ დაიკანონონ და მერე, საკუთარი ბიზნესსაქმიანობაც წამოიწყონ. სხვათა შორის, ადრეც იყო მსგავსი შემთხვევა, როცა „ცენტრ-პოინტის“ წარმომადგენლები მოვიდნენ და ტერიტორიის შესყიდვა მოინდომეს. ოღონდ, ცივილური ფორმით ცდილობდნენ ყველაფრის გაკეთებას: აქ მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი აშენდებოდა, ხელოვნურ მოედანსაც გააკეთებდნენ; თანაც, ჩვენი საფეხბურთო სკოლისთვის ქალაქის გარეუბანში შესაბამის ტერიტორიას გამოგვიყოფდნენ. თუმცა, მერე რომ გაიგეს, აქ ლტოლვილები ცხოვრობდნენ, ამ განზრახვაზე ხელი აიღეს. შემდეგ, დროდადრო, ვილაცებს ხან სამხერხაოს გახსნა უნდოდათ, ხან - სხვა რამის. ამ ბოლო დროს კი (განსაკუთრებით იმ საათებში, მეც და სკოლის მწვრთნელები ტერიტორიაზე რომ არ ვიმყოფებით), ჩემთვის უცნობი პიროვნება ხშირად მოდის და აქ მაცხოვრებლებს ეუბნება, თითქოსდა, მან ეს ადგილი შეიძინა და... საფეხბურთო მოედნის ნაცვლად დიდი ბაზარი უნდა გააკეთოს; ამას გარდა, ლტოლვილების საცხოვრებელი შენობისთვისაც თვალი დაუდგამს და თურმე, საწყობებად წარმოუდგენია! ეტყობა, საკუთარ თავს ბევრის უფლებას აძლევს - სახელად კახა მქვიაო, ტელეფონის ნომერიც დაუტოვებია და ერთობ თავდაჯერებული წასულა აქედან. მინდა, „ლელოს“ საშუალებით ყველას მივმართო - არ დაუშვან ამ საფეხბურთო სკოლის გაყიდვა-გასხვისება; რას ეუბნებიან 200-მდე ნორჩ ფეხბურთელს, ან, საკუთარი კერიდან იძულებით წამოსულ ამდენ ხალხს?..

**სანდრო ტატიშვილი** (საფეხბურთო სკოლა „XXI საუკუნის“ მთავარი მწვრთნელი): „ჩვენთან ყველაზე უფროსი ასაკის, 1993 წელს დაბადებული ბავშვები ვარჯიშობენ, ყველაზე უმცროსი კი - 2001 წელს დაბადებულნი არიან. ხაზი მინდა გავუსვა - აქ გადასახადს არავინ იხდის და ამიტომაც ახლომახლო მაცხოვრებელი ბავშვების გარდა სხვადასხვა რეგიონებიდან მოდიან. აი, ამჟამად რომ ჯგუფი ვარჯიშობს, ოთხი ბიჭი რუსთავიდან დადის. მეტსაც გეტყვით - ხონიდან, აბაშიდან თუ სხვა რაიონებიდან ჩამოსულებიც არიან; ურჩევნიათ, თბილისში ბინა იქირაონ, ოღონდ ჩვენთან უფასოდ იარონ. მით უმეტეს, რომ ბურთების თუ ეკიპირების პრობლემა არ ექნებათ. ჩვენი ასაკობრივი გუნდები თბილისის პირველობაზე თამაშობენ, მეც და ჩემნაირ ენთუზიასტ მწვრთნელებს კი, - ყველას შესაბამისი ლიცენზია გვაქვს. ამ სკოლას, მართლაც დიდი ტრადიცია გააჩნია და ძველი თაობის ლეგენდების გარდა კიდევ ბევრ ცნობილ ფეხბურთელსაც აქ დაუწყია თამაში: **მერაბ ჟორდანიას, ნუკრი კაკილაშვილს, ვაჟა ჟვანიას, ოთარ კორღალიძეს, გია ჯიშკარიანს, ალექსანდრე რეხვიაშვილს, დავით ჭიჭვეიშვილს, სულიკო დავითაშვილს.** ამ უკანასკნელმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა და, როგორც ვიცი, ჩვენთან აპირებს მწვრთნელად მუშაობას. აღარაფერს ვამბობ აქ მაცხოვრებელ ლტოლვილებზეც - ერთი მეორეზე ნიჭიერი ბიჭები არიან. ახლა კი, ვილაცას ეს ტერიტორი მოსწონებია და ბაზრის გაკეთება მონდომებია...“

ვერაფერს ვიტყვით - მართლაც, უცნაური სიტუაციაა. არანაკლებ უცნაურად მოგვეჩვენა ის ფაქტიც, რომ შენობა, სადაც დევნილები ცხოვრობენ, ოფიციალურად გაყიდული არ არის! იქ მყოფ რამდენიმე მაცხოვრებელს გავესაუბრეთ და საჯარო რეესტრიდან სხვადასხვა დროს ამოღებული ამონაწერიც გვიჩვენეს; უკანასკნელი კი 2009 წლის 8 ივნისით თარიღდება და იმას ადასტურებს, რომ ეს შენობა სახელმწიფო საკუთრებაშია და არავის შეუძენია. თუმცა, „ვინმე“ კახა, თავისი ყოველი ვიზიტის დროს ერთობ დარწმუნებით ამტკიცებს თურმე, რომ მისთვის მიუღწეველი არაფერია. რედაქციაში მოსულებმა, რაღა თქმა უნდა, რამდენჯერმე ვცადეთ „მითიურ“ კახასთან დაკავშირება, თუმცა - უშედეგოდ.

დაბოლოს, მთავარიც - საფეხბურთო სკოლის ტერიტორიაზე მცხოვრებმა დევნილებმა, რომ გაიგეს ჟურნალისტები იყვნენ მისულნი, დიდმა თუ პატარამ, ყველამ დახმარება გვთხოვა: ჩვენ ხელი რომც არ გვახლონ, ბაზარი არ გვინდა - საფეხბურთო მოედანი დაგვიტოვონო...



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**გია ტუხაშვილი**

ბავშვთა ფეხბურთი

# სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები პირველია

მსოფლიოში 250-ზე მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია სპორტის სოციალური მნიშვნელობის გლობალიზაცია მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეთნოკონფლიქტების შედეგად წარმოქმნილ ანტაგონისტურ ჯგუფებს შორის მშვიდობიან თანაარსებობას, თანამშრომლობასა და სოციალურ ინტეგრაციას „სახალისო ფეხბურთის კონცეფციისა“ და „სპორტი ყველასათვის“ ძირითადი პრინციპების საფუძველზე.

2003 წლიდან ამიერკავკასიაში წარმატებით ხორციელდება კულტურათა გადაკვეთის საპროექტო ასოციაციის (CCPA) პროექტი „სახალხო ფეხბურთის ღია სკოლები“ (OFFS). ასოციაციის შტაბბინა კოპენჰაგენშია, ფილიალი - თბილისში. პროგრამის ამოცანა არაა ნიჭიერი ფეხბურთელების მოძიება, იგი პოლიტიკურ ასპექტში სტრატეგიული ინსტრუმენტია კონფლიქტურ ზონებში (პროექტი დანერგილია 11 ქვეყანაში).

განვლილ 6 წელიწადში პროგრამით საქართველოში ორგანიზებული იყო 78 სკოლა. მასში მონაწილეობდა 16 ათასამდე მოზარდი, ათასზე მეტი ლიდერი და მწვრთნელი, აგრეთვე მშობლები, მუნიციპალიტეტები, საფეხბურთო კლუბები და სპორტსკოლები. მოსწავლეებს გადაეცათ სათანადო ინვენტარი. რაც მთავარია, პროგრამით მომზადებული მწვრთნელები მუშაობას განაგრძობენ საფეხბურთო კლუბებსა და სპორტსკოლებში.

„ლელოს“ არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება სათაო ოფისის ამიერკავკასია-მოლდოვის რეგიონული ორგანიზაციის (კოორდინატორი **ვალერი ჩოლარია**, საქართველოს ფილიალის კოორდინატორი **ბადრი ქარქაშაძე**) აქტიურ საქმიანობაზე.




ზემოხსენებული 250-ზე მეტი პროექტიდან, განვლილი მუშაობის შედეგების გათვალისწინებით საკონკურსოდ შეირჩა 3 საუკეთესო: „ვითამაშოთ ფეხბურთი მშვიდობისათვის“ - სამხრეთ აფრიკა; „სპორტული სკოლები მშვიდობისათვის“ - ისრაელი და პალესტინა; „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები“ - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა. ჟიურიმ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ტონი ბლერი**, შეაჯამა კონკურსის შედეგები და გამარჯვებულად სცნო პროექტი - „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები“. სპეციალური ჯილდო „სპორტი მშვიდობისათვის“ ტონი ბლერმა საზეიმოდ გადასცა ამ პროექტის სათაო ორგანიზაციის პრეზიდენტს **ანდერს ლევინსონს.** გამარჯვებული და პრიზიორები მიიღებენ სოლიდურ ფინანსურ მხარდაჭერას და გრძელვადიან საორგანიზაციო დახმარებას.

„ჩვენი გამარჯვება საერთო მონაპოვარია. დიდი მადლობა თანადგომისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, სპონსორებს, მოხალისეებს, სასტუმრო „ოაზისს“, „სპორტმშენსერვისს,“ გაზეთ „ლელოს“ რედაქციას“, - თქვა ვალერი ჩოლარიამ.

**თენგიზ სომაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

ჩელსი


პეტრ ჩეხის თავის ქალას უკეთესობა არ ეტყობა

# ანჩელოტის პრინციპები და ისევ ქუდიანი კაცი

**კარლო ანჩელოტი** ფეხბურთელობის დროს გლადიატორივით მებრძოლი ნახევარმცველი გახლდათ, რომელმაც ორჯერ ჩემპიონთა თასი მოიგო და დღეს, „ჩელსის" სათავეში მწვრთნელად მისული იმედოვნებს, რომ საკუთარი წარსული ფეხბურთელებში ავტორიტეტს აუმაღლებს.

*„ფეხბურთელობისას მშვიდი არასდროს ვყოფილვარ, - თქვა ანჩელოტიმ, - მებრძოლი ბუნება მქონდა და ვერ ვიტანდი, როდესაც მოწინააღმდეგე ჩემს ტერიტორიაზე შემოსვლას ბედავდა. ახლა, მნიშვნელოვანია ფეხბურთელებმა როგორც მწვრთნელს პატივი მცენ. ჩემი მდგომარეობა განსაკუთრებულია, რადგან მე ერთი მხრივ გადაწყვეტილებების მიღება მევალება და მეორე მხრივ ფეხბურთელების თამაშზე ვარ პასუხისმგებელი. სწორედ ეს გახლავთ გუნდში ურთიერთობათა აწყობის ჩემეული სისტემა".*

როგორც ჩანს, ლონდონელი ფეხბურთელები იძულებულნი შეიქნებიან, ახალი ბოსის სტილს ანგარიში გაუწიონ, სტილი კი, როგორც თავად იტალიელი აზუსტებს, ასეთია:

*„ჩემი მოთხოვნა მუშაობაა - ყოველდღიური, დაუღალავი მუშაობა, როგორც ვარჯიშზე ასევე თამაშის დროს. ჩემი გუნდი აუცილებლად უნდა შედგებოდეს ფეხბურთელებისგან, რომლებიც ერთად კარგად თამაშობენ და ცხოვრებაშიც კარგად ეგუებიან ერთმანეთს".*

მოგეხსენებათ, ჩემპიონთა თასის ახალ გათამაშებაში ანჩელოტის ოთხ თამაშზე არ ეყოლება **დიდიე დროგბა**, რომელიც „ბარსელონასთან" საპასუხო ნახევარფინალური მატჩის შემდეგ მსაჯის შეურაცხყოფის გამო დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ამაზე ანჩელოტი ბრძანებს, რომ მას, როგორც ყოფილ ფეხბურთელს, თავდამსხმელის კარგად ესმის.

*„მე ფეხბურთი მითამაშია და ვიცი, რომ ასეთი რამ ხდება. როდესაც ემოცია ჭარბობს, ადამიანი თავს ველარ აკონტროლებ და ალელვება იტაცებს" - ბრძანა ანჩელოტიმ.*

ხოლო მისი გუნდის გოლკიპერი **პეტრ ჩეხი** ექიმებმა მკაცრად გააფრთხილეს, რომ დამცავი შლემი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიხსნას, ასე რომ, „ჩელსის" კარში მომავალ სეზონშიც ქუდიანი კაცის ცქერა მოგვიწევს. მოგეხსენებათ, ჩეხმა 2007 წელს თავის ქალის მძიმე ტრავმა მიიღო.

*„ექიმებმა გამსინჯეს და მითხრეს, რომ ჩემს თავის ქალას არანაირი უკეთესობა არ ეტყობა, ასე რომ, შლემით თამაშის გაგრძელება მომიწევს", -* უთხრა ჩეხმა ჟურნალისტებს.

**ილია ბაბუნაშვილი**

ტრანსფერი

# ჰელოუ, მელო!

## ფელიპე მელო ტურინშია

გუშინ, „კორიერე დელო სპორტში" გამოქვეყნებული ინფორმაცია ფაქტობრივად ადასტურებს **ფელიპე მელოს** „იუვენტუსში" გადასვლის ამბავს. ბრაზილიელი რომ „იუვესთან" ძალიან ახლოს იყო, ამის შესახებ ტურინული კლუბის მესვეურებმა ადრეც არაერთხელ განაცხადეს. გუშინ კი ყველაფერი ნათელი გახდა. ზაფხულის შვებულების დასრულებისთანავე მელომ იტალიისკენ აილო გეზი, თუმცა არა ფლორენციაში, არამედ ტურინში ჩაფრინდა. დიახ, ტურინში და იმავე დღეს „იუვენტუსის" საწვრთნელ ბაზას ესტუმრა. ხვალ მელო სამედიცინო შემოწმებას გაივლის და შემდეგ ხელშეკრულებასაც გააფორმებს. ჯერჯერობით, კონტრაქტის პირობები არ ხმაურდება, თუმცა სავარაუდოდ, ხუთწლიან თანამშრომლობაზეა ლაპარაკი.

„იუვენტუსის" სპორტულმა დირექტორმა **ალესიო სეკომ** ჟურნალისტებთან საუბარში კმაყოფილება ვერ დამალა: *„მუშაობამ შედეგი გამოიღო და როგორც ხედავთ, მელო ჩვენთან*



*არის. მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ და ვნახოთ, დანარჩენს უკვე დრო გვიჩვენებს. შუა ხაზში გაძლიერება გვჭირდებოდა და ჩვენი ფავორიტი სწორედ ფელიპე იყო. კონფედერაციათა თასზე მან ბრწყინვალედ იასპარეზა, თუმცა მასზე დაკვირვება ჯერ კიდევ გასული სეზონის სტარტზე დავიწყეთ. გავაგრძელებთ თუ არა სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას? - მთავარი ტრანსფერები უკვე სახეზე გვაქვს, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ კიდევ რამდენიმე მოთამაშე დავიმატოთ".*

**ლაშა ნიკლაური**

# ადებაიორს ისტლენდისკენ ექაჩებიან




„არსენალი" და „მანჩესტერ სიტი" თურმე, ტოგოელი ფორვარდის, **ემანუელ ადებაიორის** ტრანსფერზე მსჯელობენ - ეს ამბავი მსოფლიოს Sky Sports News-მა აცნობა. ადებაიორი, რომლის „ემირიტს სტედიუმიდან" წაყვანა ამ ზაფხულს რამდენიმე ევროპულ გუნდს უნდოდა, შესაძლოა ისტლენდერი გახდეს. ხსენებულ ევროპულ გუნდებს შორის იყვნენ, არც მეტი, არც ნაკლები, „ბარსელონა" და „მილანი".

არცთუ დიდი ხნის წინ, ადებაიორის აგენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ მისი კლიენტი „მეთოფეთა" რაზმიდან არსად წავიდოდა, მაგრამ არაბთა ფულით ძლიერმა „სიტიმ" ჯიბიდან 20 მილიონი ფუნტი ამოიღო და თითქოსდა დალაგებული სიტუაცია ისევ აიმღვრა.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ მანჩესტერელთა მწვრთნელი, **მარკ ჰიუზი**, მიმდინარე სატრანსფერო სეზონში ყველა ღონეს ხმარობს, რათა გუნდში ცნობილი სახელები მიიწვიოს. ამის ნათელი მაგალითი გახლდათ მისი ბრძოლა „ჩელსის" კაპიტნის, **ჯონ ტერის** შესაძენად.

25 წლის ადებაიორი „არსენალში" „მონაკოდან" 2006 წელს გადავიდა და ჩრდილოლონდონური კლუბის მაისურით 142 შეხვედრაში 62 გოლი შეაგდო.

ამ ზაფხულს „მანჩესტერ სიტიმ" უკვე შეიძინა **გარეთ ბერი** „ასტონ ვილადან" და **როკე სანტა კრუსი** „ბლექბერნ როვერსიდან", რასაც, წესითა და რიგით, ხვალ „მანჩესტერ სიტიდან" წამოსული **კარლოს ტევესი** უნდა დაემატოს.

**ილია ბაბუნაშვილი**

# ფერგი: ბენზემა? რეალმა მაჯობა

„მანჩესტერ იუნაიტედი" მიმდინარე სატრანსფერო სეზონზე ახალ ფეხბურთელს აღარ იყიდის. ინგლისის ჩემპიონს ფრანგი ფორვარდის, **ქარიმ ბენზემას** შეძენა სურდა, მაგრამ ვაჭრობაში „რეალმა" აჯობა და ამით მორჩა. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, „იუნაიტედის" თავკაც სერ **ალექს ფერგიუსონის** სიტყვებია.

ის, რაც ახლა წაიკითხეთ, მანჩესტერელთა მწვრთნელმა ახალშეძენილი ტრიოს პრეზენტაციაზე წარმოთქვა. შეგახსენებთ ტრიოს: ვეტერანი ინგლისელი ფორვარდი **მაიკლ ოუენი**, ფრანგი ნახევარმცველ-თავდამსხმელი **გაბრიელ ობერტანი** და ეკვადორელი გარემარბი **ანტონიო ვალენსია**. ფერგიუსონის თქმით, სამივე ფეხბურთელი **კრისტიანო რონალდოში** აღებული 80 მილიონი ფუნტის ერთი ნაწილითაა ნაყიდი.

*„ვფიქრობ, ამით ჩვენი ბიზნესი დასრულებულია, -* უთხრა ფერგიუსონმა ჟურნალისტებს კერინგტონის საწვრთნელ ცენტრში, *- ჩვენ რთული ზაფხულის შუა წელში ვიმყოფებით. თანამედროვე ფეხბურთში ყიდვა-გაყიდვის უშეცდომოდ შეფასება ძნელია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამჯერად არაფერში შევმცდარვართ".*

ზემოთ მეტისმეტად ზოგადად ვთქვით, რომ სამივე ახალწვეული 80 მილიონის ნაწილითაა ნაყიდი. იმ თანხას, რაც ფერგიუსონმა ვალენსიაში, ობერტანსა და ოუენში გადაიხადა, კაცმა რომ თქვას, 80 მილიონის ნაწილი არც ჰქვია, რადგან ვალენსიაში „უიგან ატლეტიკმა" 16 მილიონი გამოართვა, ობერტანში „ბორდომ" 3 მილიონი, ოუენი კი თავისუფალი აგენტი გახლდათ და „ოლდ ტრეფორდზე" „თავისი ფეხით" მივიდა.

მაგრამ, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, „მანჩესტერ იუნაიტედს" ძალიან სურდა „ლიონის" თავდამსხმელის ქარიმ ბენზემას გადაბირება, რაც ვერ მოახერხა, „რეალმა" აჯობა.

**ილია ბაბუნაშვილი**

არშემდგარი გარიგება

# ზლატანი მშვიდად ყოფილა


ზლატან იბრაჰიმოვიჩი
ინტერშიც ბედნიერია

„მანჩესტერ იუნაიტედს" შემოუთვალეს, რომ მილანის „ინტერის" შვედ თავდამსხმელ **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** „ოლდ ტრეფორდზე" გადასვლა გულშიც არ გაუვლია. მოგეხსენებათ, მას მერე, რაც **კარლოს ტევესი** და **კრისტიანო რონალდო** გაუშვა, მანჩესტერელთა თავკაცს, **სერ ალექს ფერგიუსონს** თავდასხმის გაძლიერება სურს და ამ მიმართულებით აქტიურობას ცდილობს. მაგრამ იბრაჰიმოვიჩმა, რომელსაც „ჩელსისთანაც" აკავშირებდნენ, განაცხადა, ინგლისში რატომ წავიდე, თავს იტალიაშიც კარგად ვგრძნობო.

*„ზლატანი მშვიდად არის, მას „ინტერთან" ოთხწლიანი კონტრაქტი უდევს ჯიბეში, „სან სიროზე" თავს საუკეთესოდ გრძნობს და წასვლაზე საერთოდ არ უფიქრია. აბსოლუტური ტყუილია ისიც, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" მის შესახებ „ინტერს" ოფიციალური წინადადებით მიმართა".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ცნობები ჰოსპიტლიდან

# ჰართსონს მძიმე სენი სჭირს

უელსის ნაკრების, „არსენალისა" და „სელტიკის" ყოფილ თავდამსხმელს, 34 წლის **ჯონ ჰართსონს**, რომელსაც თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 51 შეხვედრა აქვს ჩატარებული და რომელმაც ფეხბურთის თამაშს თავი შარშან დაანება, სიმსივნე აღმოაჩნდა. ეს საშინელი დიაგნოზი ფორვარდს ქალაქ სუონსის საავადმყოფოში დაუსვეს.

ჰართსონს ჩამოთვლილი კლუბების გარდა ნათამაშები აქვს „ვესტ ჰემში", „უიმბლდონში", „ქოვენთრი სიტიში", „ვესტ ბრომვიჩში", „ნორვიჩსა" და „ლუტონში". „სელტიკში" მან ხუთი წელიწადი გაატარა. როგორც საავადმყოფოს პერსონალმა განაცხადა, ვეტერანმა სხივური თერაპიის და ქიმიური თერაპიის ხანგრძლივი კურსი უნდა ჩაიტაროს. ამ პროცედურებს „ბევრი თვე" დასჭირდება.

Abertawe Bro Morgannwg University NHS Trust-ის ონკოლოგი კონსულტანტი, დოქტორი **ჯანფილიპო ბერტელი**: *„მისტერ ჰართსონმა საავადმყოფოს პარასკევს მიაკითხა. ეჭვი სათესლე ჯირკვლების სიმსივნეზე ჰქონდათ. რიგმა კლინიკურმა ტესტებმა ეჭვი დაადასტურა მაგრამ შემდგომმა შემოწმებამ უარესი შედეგი აჩვენა, სამწუხაროდ, მეტასტაზები თავის ტვინშია ასული. დიაგნოზის საბოლოო სურათისთვის კიდევ ველოდებით რამდენიმე ტესტის პასუხს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ მისტერ ჰართსონი უამრავი ადამიანის საყვარელი ფიგურაა და მისი ჯანმრთელობის ამბავს ყოველდღიურად ათასები დაელოდებიან, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც საავადმყოფო და ექიმები პაციენტის ინტერესებს და მთელი რიგი საკითხების კონფიდენციალურობას უპირველეს მნიშვნელობას მიანიჭებენ და საჯაროობას მოერიდებიან".*

საგანგებო განცხადება გააკეთა ჯონ ჰართსონის ოჯახმაც. განცხადებაში წერია, რომ ჯონის ოჯახის წევრები და მთელი სამეგობრო უკვე ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მათთვის საყვარელი ადამიანის სრულ გამოჯანმრთელებას მიაღწიოს. ოჯახი აგრეთვე მადლობას უხდის იმ უამრავ ადამიანს, რომლებმაც უკვე გამოხატეს თავისი მხარდაჭერა ვეტერანი ფეხბურთელისადმი.

რად უნდა ლაპარაკი, რომ მხარდაჭერის წერილი გამოაქვეყნა „სელტიკმაც", სადაც ჯო ჰართსონი **მარტინ ონილმა** 2001 წელს 6 მილიონ ფუნტად გადაიყვანა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თავდამსხმელმა „პარკჰედზე" 5 წელიწადი გაატარა და 89 გოლი გაიტანა.

ფეხბურთის თამაშისთვის თავის დანებების შემდეგ ჰართსონი მწვრთნელობას აპირებდა. მის სახელს „ფალკირკს", „სუონსის" და „ისტ სტირლინგშირს" უკავშირებდნენ.

**ილია ბაბუნაშვილი**


ჯონ ჰართსონი სიმსივნეს ებრძვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი



# ლეოს პირველი გასროლა

## ჭიპოს დუბლი და გაუჩოს ფრენა

ორიოდე დღის წინ, თავისი პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა „მილანმა". „როსონერი" ქვედალიგელ „ვარეზეს" ესტუმრა და მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა, 2:0. პაექრობამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, რადგან ეს იყო „მილანის" პირველი მატჩი **ლეონარდოს** თავკაცობით. თანაც, გასული სეზონის დასრულებისთანავე გუნდი რამდენიმე მეგა-ფიგურამ დატოვა. ყველას აინტერესებს, როგორი იქნება „როსონერი" ამ ხალხის გარეშე. ალბათ ხვდებით, რომ ლაპარაკია: **კარლო ანჩელოტიზე, პაოლო მალდინიზე, კაკაზე**. ვგონებ, ამ სახელების ჩამოთვლა სრულიად საკმარისია იმის გასააზრებლად, რომ ჩვენ ახალ „მილანს" ველოდებით. ძნელი სათქმელია, რა იქნება მომავალში, მაგრამ ფაქტია, რომ „ვარეზესთან" ლომბარდიულმა გრანდმა დიდებულად ითამაშა. გასაგებია, რომ მეტოქე არ იყო მთლად საპირწონე, მაგრამ მილანელთა კარგი გარჯა მაინც თვალში საცემი გახლდათ.

პირველი, რაც უნდა აღვნიშნოთ, ლეონარდოს შეგირდთა მაღალი მოტივაცია გახლდათ. გამოცდილმა მილანელებმა ისეთი შემართებით ითამაშეს, თითქოს პირველად გადიოდნენ საფეხბურთო მოედანზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით **კლარენს ზეედორფის** გამორჩევა შეიძლება, თუმცა მას არც **ჯენარო გატუზო** ჩამორჩა. ბრწყინვალე იყო **რონალდინიო**, თუმცა მას კიდევ მივუბრუნდებით. იქამდე კი იმ შემადგენლობას გავეცნოთ, რომლითაც „როსონერი" „ვარეზეს" დაუპირისპირდა: **კალაჩი (46. სტორარი), ანტონინი (46. ოდო), ნესტა (46. ფავალი), ტიაგო სილვა (73. კალაძე), იანკულოვსკი (60. ალბერტაცი), გატუზო (60. შტრასერი), ფლამინი (81. კარდასიო), ზეედორფი (63. იკანდე), ბორიელო (73. ოდუამანდი), ინძაგი (60. ძიგონი), რონალდინიო.**

როგორც ხედავთ, ძირითადი ბირთვი სახეზეა, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელი მაინც გამოაკლდა ვარეზეში გამართულ პაექრობას, მაგალითად, **ჯანლუკა ძამბროტა, ანდრეა პირლო** და ახალგამომცხვარი კაპიტანი **მასიმო ამბროზინი**. სამაგიეროდ, გულშემატკივრებმა კვლავ იხილეს „მილანის" ამუნიციით **მასიმო ოდო** და **ალესანდრო ნესტა**. პირველმა გასული სეზონი იჯარის წესით „ბაიერნში" გაატარა და სეზონის დასრულებისთანავე, უკან, მილანში დაბრუნდა. როგორც ჟურნალისტები ამბობენ, მასიმოს დაბრუნების უშუალო ინიციატორი თავად ლეონარდო იყო, რომელსაც თურმე ძალიან მოსწონს ოდოს თამაშის მანერა. სხვა გუნდში არ გადასულა ალესანდრო ნესტა, თუმცა მძიმე ტრავმა გადაიტანა და მთელი სეზონის განმავლობაში გუნდს არ დახმარებია. ერთი პერიოდი, ნესტა ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებასაც აპირებდა, თუმცა შემდეგ გადაიფიქრა და როგორც ჩანს, სწორადაც მოიქცა. შეამჩნევდით, რომ სანდრო „ვარეზესთან" პაექრიბისას სასტარტოში იყო და თუ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა. ითამაშა **კახა კალაძემაც**, თუმცა მხოლოდ 17-18 წუთის განმავლობაში. ქართველმა უკანახაზელმა „მილანის" ახალწვეული და დიდი იმედი, **ტიაგო სილვა** შეცვალა. უნდა აღვნიშნოთ **მარკო ბორიელოს** გამოჩენაც. ნესტას მსგავსად, გასული სეზონი ამ ფეხბურთელსაც გაუცდა და ბევრს ეგონა, რომ საერთოდ გუნდის დატოვება მოუხდებოდა. მარკომ მთლიანობაში ნორმალურად იასპარეზა, თუმცა ციდან ვარსკვლავები ნამდვილად არ მოუწყვეტია.

სამაგიეროდ, **ფილიპი ინძაგი** გამოირჩა დუბლით და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ფეხბურთის თამაში ჯერ არ მოჰბეზრებია. პიპო ისეთივე ბედნიერი იყო „ვარეზეს" კარში გატანილი გოლების შემდეგ, როგორც ჩემპიონთა ლიგის ფინალში შესრულებული დუბლისას. თუმცა, შეხვედრის გმირი მაინც რონალდინიო გახდა. ჟურნალისტები იუწყებიან, რომ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, პირველად იხილეს მოედანზე ძველებური გაუჩო. ბრაზილიელი მთელ მოედანზე იყო, გუნდის თამაშს დირიჟორობდა და მოედნის ცენტრის სრული ბატონ-პატრონი გახლდათ. რაც მთავარია, ჩვეულ ფინტებს უხვად აკეთებდა და მეტოქე მცველებს არაერთხელ დაახვია თავბრუ. თანაც, ამ ყველაფერს არა ადგილზე, არამედ მოძრაობაში, სწრაფ ტემპში აკეთებდა, ისე, როგორც ძველ, კეთილ დროს. მოკლედ, რონი გამოჩნდა და ამან მილანელები ყველაზე მეტად გაახარა. ინძაგის მეორე გოლი მთლიანად გაუჩოს დამსახურება გახლდათ. მარცხენა ფრთიდან წამოილო ბურთი, გზად ოთხი ფეხბურთელი ჩამოიცილა და დაუცველი კარის წინ მდგარ პიპოს საგოლედ უპასა.

ჟურნალისტები და ექსპერტები უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ რონალდინიოს დაბრუნების შანსი საკმაოდ დიდია. ამას წინათ, თავად რონიმ განაცხადა, ბოლო წლებში პირველად გრძნობს, რომ გუნდში მასზე ბევრი რამეა დამოკიდებული. იქნებ სწორედ ეს აკლდა მას ძველებურად ასათამაშებლად? - ალბათ ასეც არის და ვნახოთ, როგორ ფეხბურთს ითამაშებს რონალდინიოზე აწყობილი „როსონერი".

შეხვედრის დასრულებისთანავე გაუჩო ჟურნალისტთა გარემოცვაში აღმოჩნდა. მოვუსმინოთ მას: *„თქვენც ნახეთ, რომ ურიგოდ არ გვითამაშია და დამაჯერებლადაც გავიმარჯვეთ. თითოეული მილანელი მონდომებულია, რომ გუნდისთვის მაქსიმუმი გაილოს. ასეთი შემართებით ჩვენ ბევრს მივაღწევთ, ყველა იმ ტურნირის მოსაგებად ვიბრძოლებთ, რომლებშიც მონაწილეობა უნდა მივიღოთ. კარგად მესმის რამხელა იმედებს ამყარებენ ჩემზე და მზად ვარ, გაცემული ავანსები გავამართლო. „მილანში" თავს იდეალურად ვგრძნობ და მსურს, ამ გუნდისთვის ყველაფერი გავაკეთო".*

შეხვედრას დაესწრო **სილვიო ბერლუსკონი**. იტალიის პრემიერის ვარეზეს მოკრძალებულ სტადიონზე გამოჩენა ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, თუმცა სილვიომ ეს არ შეიმჩნია და გუნდის ფეხბურთელებს გასახდელში კარგა ხანს ებაასა. აი, რა განაცხადა „მილანის" მეპატრონემ: *„დარწმუნებული ვარ, რომ ეს სეზონი განსაკუთრებული იქნება. ამ „მილანს" არათუ იტალიაში, ევროპაშიც ცოტა თუ შეედრება. ჩვენი გულშემატკივრები იმედგაცრუებულნი არიან კაკას გაყიდვის გამო და ეს კარგად მესმის. თუმცა, მინდა მათ საყვარელი გუნდის მხარდაჭერისკენ მოვუწოდო. ჯერჯერობით, მხოლოდ სამი ათასამდე სეზონური აბონემენტია გაყიდული, რაც კატასტროფულად ცოტაა. შარშან ამ დროს, თხუთმეტი ათასი გვქონდა გაყიდული. „მილანი" ერთი ფეხბურთელით არც დაწყებულა და არც დამთავრდება. ჩვენ გამარჯვებულის მენტალიტეტი გვაქვს და მუდამ პირველობისთვის ვიბრძოლებთ".*

ექსპერტების ვარაუდით, ბერლუსკონის ვარეზეში ჩასვლა სწორედ აბონემენტების კატასტროფულად მცირე რაოდენობით გაყიდვამ განაპირობა. სილვიომ მხარდაჭერა გამოუცხადა თავის გუნდს და ტიფოზებს აქტიურობისკენ შემოუძახა. ცნობისთვის, „ინტერს" ამ დროისთვის დაახლოებით ოცი ათასი სეზონური აბონემენტი აქვს გაყიდული. არადა, ბოლო წლებში, როგორც წესი, „მილანის" საშინაო თამაშებზე უფრო მეტი გულშემატკივარი იყრიდა თავს, ვიდრე „ინტერის" პაექრობებზე. ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს ბერლუსკონის ამგვარი აქტიურობა, იქამდე კი სიტყვა ლეონარდოს გადავცეთ, ვისი თავკაცობითაც „მილანმა" თავისი პირველი შეხვედრა წარმატებით დაასრულა: *„მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან შეგირდებმა თავი კარგად წარმოაჩინეს. მომეწონა ფეხბურთელების შემართება და ძალიან კარგია, რომ ამ მხრივ, ვეტერანები ახალგაზრდებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ. ამის ნათელი მაგალითი ფილიპო ინძაგის ორი გოლია. ძალიან კარგად წარმოჩნდნენ ახალგაზრდები და მათ თავის გამოჩენის საშუალება მომავალშიც მიეცემათ. შესანიშნავი იყო რონალდინიო, რომელმაც დაგვაჯერა, რომ ლიდერის ფუნქციების საკუთარ თავზე აღება შეუძლია. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სამუშაო და დასახვეწი ჯერ კიდევ ბევრია. დრო საკმაოდ გვაქვს, უნდა ვიშრომოთ და სეზონის სტარტს მომზადებულნი შევხვდეთ. ყოველდღიურად ვრწმუნდები, რომ „მილანის" ჩაბარება სწორი გადაწყვეტილება იყო. ვგრძნობ გუნდის გაძლოლის ძალას და ვიცი, რომ უბრძოლველად არავის არაფერს დავუთმობთ".*

**ლაშა ნიკლაური**

შალკე

# არის საბჭო!

## მაგათს ოთხი ხელი აქვს: ბორდონი, ნოიერი, ვესტერმანი და ჯონსი

„შალკეს" ფეხბურთელებმა ოთხი მოთამაშისგან შემდგარი საბჭო აირჩიეს. გუნდის მთავარ მწვრთნელთან და მენეჯერ **ფელიქს მაგათთან** ყველაზე მეტად ეს ოთხეული იქნება დაახლოებული: **მარსელო ბორდონი, ჯერმეინ ჯონსი, ჰაიკო ვესტერმანი** და **მანუელ ნოიერი**. რაც შეეხება გუნდის კაპიტანს, მისი ვინაობა აგვისტოს დასაწყისში გაირკვევა და კაპიტანს თვითონ მაგათი დაასახელებს.

*„კაპიტნის რანგში ისეთი ფეხბურთელი მჭირდება, რომელიც კარგად გამიგებს და თამაშის დროს, მოედანზე ჩემი აზრების გამტარებელი იქნება. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კაპიტანი მე უნდა დავასახელო,"* - უთხრა მაგათმა „კიკერს".

გასულ სეზონში „შალკეს" კაპიტანი ბორდონი იყო, მაგრამ სეზონის მიწურულს, იმჟამინდელ მწვრთნელ **ფრედ რუტენზე** გაბრაზებულმა, სამკლავური თვითნებურად დათმო, რის შემდეგაც გუნდის თავი **მლადენ კრსტაიჩი** გახდა. დღეს ეს უკანასკნელი „შალკეს" ფეხბურთელი აღარ არის (ბელგრადის „პარტიზანში" გადავიდა) და სწორედ ამიტომ სჭირდებათ „ხუმარებს" ახალი კაპიტანი.

**გოტფრიდ ლენცი**



პაიკო ვესტერმანი და მარსელო ბორდონი

ჰერტა

# დარჩი, ლუსიენ!



ლუსიენ ფავრი

ბერლინის „ჰერტას" თავკაც **ლუსიენ ფავრს**, რომელმაც გერმანიის დედაქალაქში საფეხბურთო ეიფორია დააბრუნა, გუნდთან კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელებს მისთვის ახლავე ახალი ხელშეკრულების გაფორმება სურთ. „ჰერტას" პრეზიდენტ **ვერნერ გეგენბაუერს** რომ ჰკითხოთ, ფავრი გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე, რაც შეიძლება, დიდხანს უნდა დარჩეს.

*„ჩვენ მას ასი პროცენტით ვენდობით და ძალიან გვინდა, რომ ახალი კონტრაქტი გააფორმოს,"* - განაცხადა გეგენბაუერმა.

ფავრის „ჰერტამ" გასულ სეზონში, ყველასათვის მოულოდნელად, გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლა და საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდა, რაც ბერლინული კლუბისთვის დიდ წარმატებად ჩაითვალა. სეზონის დასრულებისთანავე „ჰერტამ" **იოზიპ შიმუნიჩის, ანდრეი ვორონინისა** და **მარკო პანტელიჩის** სახით სამი წამყვანი ფეხბურთელი დაკარგა, სანაცვლოდ ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელებს ვერ ყიდულობს და შესაბამისად, გეგენბაუერი ფავრს არ სთხოვს იმას, რომ გუნდმა გაისადაც ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. ასეა: „ჰერტა" მოკრძალებული გუნდი იყო და ასეთად დარჩა.

**გოტფრიდ ლენცი**

სანაკრებო იმედი

# ალმუნიას ახალი სამშობლო

„არსენალის" ესპანელი მეკარე **მანუელ ალმუნია** სრულად კი **მანუელ ალმუნია რივერო** ამბობს, თუ ინგლისის ნაკრებში მათამაშებენ, დედამიწის ზურგზე ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებაო. საიდან მოუვიდა 32 წლის პამპლონელს ასეთი რამ აზრად? იქიდან, რომ დიდ ბრიტანეთში ხუთწლიანი ცხოვრების შედეგად მას ამ ქვეყნის მოქალაქეობა უბოძეს. აქამდე, ალმუნიას **ფაბიო კაპელოს** გუნდში აყვანის შესახებ სულ ჭორაობდნენ და ეს ჭორაობა არაერთგვაროვან რეაქციას იწვევდა, ახლა კი სულ მცირე, იურიდიულად, ყველაფერი დალაგებულია.

გოლკიპერი, რომელსაც „არსენალამდე", „ოსასუნაში", „კარტახენაში", „საბადელში", „სელტაში", „ეიბარში", „რეკრეატივოსა" და „ალბასეტეში" უთამაშია, არ მალავს, რომ იმედი აქვს, ერთ მშვენიერ დღეს, სადმე ბრედფორდში ან ბარნსლიში დაბადებულივით მკერდზე სამი ლომი ეხატება და ინგლისის ეროვნული გუნდის სახელით გამოვა დიდ შეჯიბრებაში.

*„დარწმუნებული ვარ, რომ ესპანეთის ნაკრებში არასდროს არავინ გამომიძახებს, აი, ინგლისის ნაკრებში გამოძახება კი უდიდესი ბედნიერება იქნებოდა".*

სადღეისოდ, ერთმანეთს, ინგლისის ნაკრების კარში ადგილს ეცილებიან **დევიდ ჯეიმსი, რობ გრინი, ბენ ფოსტერი, სკოტ კარსონი და პოლ რობინსონი.**

**ილია ბაბუნაშვილი**



მანუელ ალმუნია

ხელმოწერის წინა დღეს

# როგორ დავეხსნათ ფუერტე აპაჩეს





უბანი და მოედანი, რომელზეც ფეხბურთის თამაშს სწავლობენ



თანხმობის ნიშნად თავის ოდნავ შესამჩნევი დაქნევა იყო საჭირო და საკვირაო გაზეთ The news of the world-ის ჟურნალისტმა, **ნილ ეშტონმა** ფუერტე აპაჩეს ყველა ბნელ კუნჭულში შეხედვის უფლება მიიღო. ბინძური ბინები, სადაც ნარკოტიკებს ყიდიან, სოროები, სადაც ადამიანები ცხოვრობენ... აი, საიდან გააღწია ადამიანმა, რომელიც ხვალ, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ კლუბთან აფორმებს კონტრაქტს. დიახ, **კარლოს ტევესზე** მოგითხრობთ, არგენტინელ თავდამსხმელზე, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „მანჩესტერ სიტისკენ“ აილო გეზი.

ფუერტე აპაჩე... ბუენოს აირესის ეს უბანი ჩეშირიდან, სადაც კარლოსი დღეს ცხოვრობს, ცხრა სამყაროს გადაღმაა. ჩეშირში, უფრო ზუსტად კი მაკლესფილდში დგას მისი ვილა, რომელიც 150 ათას ფუნტად არის შეფასებული. ვილის შესასვლელში, სათანადო ადგილას დაყენებული თეთრი „ბენტლი“, GT Continental-ისთვის ხელი არავის უხლია. ისევე დგას, როგორც შევიბულებაში, უფრო სწორად კი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წასვლის წინ, ანუ აგერ უკვე თითქმის ორი თვეა, პატრონმა დატოვა.

მაგრამ, დავუბრუნდეთ ფუერტე აპაჩესა და ჟურნალისტ ნილ ეშტონს, რომელსაც უბანში მეგზურობას ტევესის ბავშვობის ძმაკაცები, **დანიელ „პიპა“ როსეტი** და **ხავიერ დურე** უწევენ. ამ ბიჭების ცხოვრება კარლოსისგან განსხვავებული გზით წავიდა, ისინი ბანდებში მოხვდნენ, იმ ბანდებში, რომლებიც უბნის ქუჩებს იყოფენ და აკონტროლებენ.

მოკლედ, სხვა ცხოვრებაა... თუმცა, ტევესი, რომელსაც უბანში ოდინდელი მეტსახელით, „ელ აპაჩეთიც“ იცნობენ, „თავის ხალხს“ არ დავიწყებია. ეს „თავისი ხალხი“ კი ის 70 ათასია, 1960-იან წლებში, არგენტინის მთავრობამ რომ გაიმეტა. ბუენოს აირესის ლატაკთა უბნებისგან განწმენდის კამპანია რომ წამოიწყეს, ისინი ხელის ერთი მოსმით გაყარეს დედაქალაქიდან 30 კილომეტრზე, ვიწრო გასასვლელებიან, ბინძურ, ჩამპალ დასახლებაში, საიდანაც თავის წამოყოფა და ცხოვრებაში გამოსვლა თითქმის შეუძლებელია. ფუერტე აპაჩე გახლავთ დამზაფრავი, არასტუმართმოყვარე უბანი, სადაც სახლებს ბზარები აქვს, ჰაერში კი საეჭვო და სახიფათო სუნი ტრიალებს.

უბანში, სადაც კარლოს ტევესი გაიზარდა, თუ ბიზნესი გაქვს, კრიმინალთან ხარ შეკრული. აქ კრიმინალზე ყველა თვალს ხუჭავს. ინგლისელ ჟურნალისტს კარლოსის ბავშვობის ძმაკაცი, დურე ასე უხსნის:

*„თუ ვინმე პოლიციას დაურეკავს და ეტყვის, რომ ესა და ეს ნარკოტიკს ყიდის, ხალხი ამას ნარკოტიკების გამყიდველებს ეტყვის და ზუსტადაც მიუთითებს თუ ვინ გაბედა პოლიციაში დარეკვა“.*

ერთი სიტყვით, ფუერტე აპაჩეს მოსახლეობა თავისი კანონებით ცხოვრობს. აქ, ქუჩებს სახელები არ აქვს. იმისათვის, რომ არგენტინის 41-მილიონიან მოსახლეობაში შენი ადგილი დაიმახსოვრო, უნდა გახსოვდეს, რა ახატია შენს სახლს ან შენი ქუჩისმაგვარი ვიწრო გასასვლელის შესახვევს.

ტევესი რომ ცხოვრობდა, იმ ადგილს ერქვა „ნუდო ერთი“. ფუერტე აპაჩეში ასეთი 98 ადგილია - თუ გნებავთ, ქვეუბანი დაარქვით. 16 წლის გახლდათ კარლოსი, ამ „ნუდო ერთიდან“ რომ გავიდა. პაწაწინა, გაჭვარტლული სახლიდან რომლის წინ, ბავშვების საყვარელი მინდორი (სადაც ტევესმა ფეხბურთის თამაში ისწავლა) შუშის ნამსხვრევებით გახლდათ მოფენილი, „ბოკა ხუნიორსმა“ წაიყვანა.

ფეხბურთელი იგონებს: *„იქ ძალადობა და ნარკოტიკი მეფობს, თუმცა ასევე მრავლადაა ხალხი, რომელიც წელზე ფეხს იდგამს, რათა შვილებს საჭმელი მიუტანოს. ის, რაც მე ფუერტე აპაჩეში გადავიტანე და ვნახე, დედამიწაზე სხვა არც ერთ კუთხეში არ ხდება. დღეს მე აქ ვარ და ინტერვიუს გაძლევთ, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა ჩემს უბანში უკანასკნელი ნარკომანი ვყოფილიყავი და სადმე ქუჩაში ვგდებულიყავი“.*

და ვიცით, რა იფიქრა ჩვენი მკითხველის დიდმა ნაწილმა: ახლა კი გასაგებია, საიდანაც აქვს ტევესს სახეზე საშინელი ნაიარევი... ბოდიში, მაგრამ არაფერიც არ არის გასაგები, რადგან ის საშინელი ნაიარევი კარლოსს ათი თვისას დააჩნდა, ათი თვის ბავშვები კი ქუჩებში დანით არ ჩხუბობენ, თვით ფუერტე აპაჩეშიც კი. მოკლედ, საქმე ასე იყო: ბავშვს მოთუხთუხე ქვაბთან თუ ჩაიდანთან ახლოს ეძინა, ჩაიდანი გადმოვარდა და...

„პიპა“ იგონებს: *„ჩაიდანი მაგიდაზე იდო, მაგიდაზე კი სუფრა იყო გადაფარებული. კარლოსის დედა ბიძამისთან საუბარში გაერთო, სუფრას დაქაჩა და ჩაიდანი პირდაპირ ბავშვს დაეცა. მაგარი გადარჩენილია“.*

ფუერტე აპაჩეში ვისაც გინდათ, ჰკითხეთ, ყველა გეტყვით, სად იზრდებოდნენ ტევესი, მისი სამი ძმა და ერთი და. ბავშვის საწოლი ოთახი ერთი მხრივ რამდენიმესართულიან აგურის კორპუსს უყურებდა, მეორე მხრიდან კი ის ადგილი იყო, სადაც სარეცხს რეცხდნენ და ფენდნენ, რადგან ქარში კარგად შრებოდა. იქვე, სულ ახლოს, ერთ-ერთი კორპუსის პირველ სართულზე კბილის ექიმის კაბინეტი იყო, სადაც პატარას ყველა ვიზიტზე კბილს... აძრობდნენ.

უბანში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხიფათი იყო (და არის) ჩასაფრებული - დანწყებული იმით, რომ ვიწრო ბილიკებს, რომლებიც დღითი დღე ფუჭდებოდა და ორმოებით მდიდრდებოდა, ბავშვი საფეხურებნაკლულ სპირალურ კიბესთან მიჰყავდა, დამთავრებული ადგილობრივი მცხოვრებლებით. მიდით, აბა, და ხუთ წუთს გაჩერდით ფუერტე აპაჩეს რომელიმე ქუჩაზე ან გასასვლელში. თქვენ წინაშე იმწუთას ამოიზრდება მიწიდან შემზარავი ტიპი, რომელიც გამოგიცხადებთ, რომ აქ, უცხო ადამიანის დანახვა არავის სიამოვნებს და საერთოდ - ან ძალიან საეჭვოდ დგახართ, ან საეჭვოდ ბევრი რამ გაინტერესებთ.

ამასობაში თავს მოატრიალებთ და დაინახავთ როგორ დგას სადმე, კუთხეში ორი ბიჭი. პირწმინდა ფუერტე აპაჩელები არიან: ზემოდან თბილი სპორტული ქურთუკი, სხეული მსხვილი ოქროს ძეწკვებით მორთულ-მოკაზმული, ტომარისებური, მოშვებული ჯინსები და თეთრი „ბოტასები“... აშკარად ნარკოტიკს ყიდიან.

*„ვინ ხარ? რა კაცი ხარ? რა საქმის კაცი ხარ?“*

ჩააცინდა ერთ-ერთი მათგანი ჟურნალისტს, რომელიც აშკარად არ მოუვიდა თვალში. ბიჭი ესპანურად, ოღონდ იქაური სლენგით ლაპარაკობს. მდგომარეობა იძაბება.

*„უბანში სახლის ყიდვა უნდა და ათვალიერებს“* - მისთვის გასაგებ პასუხს იგონებს დურე. წყვილი ტრიალდება და თავის გზაზე მიდის.

აი, ასეა, უბანში, რომელსაც ფუერტე აპაჩე ჰქვია, მოხერხებულ, მოსწრებულ, „სწორ“ პასუხს დიდ პატივს სცემენ. იქვე, ორიოდ ნაბიჯში კი... ადგილობრივი „ოცნებათა თეატრია“, ფუერტე აპაჩეს „ოლდ ტრეფორდი“, სადაც უამრავი ბავშვი თავგადაკლული დასდევს ბურთს, ფანტაზიას ახარებს და ზურგზე ყველას „ტევესი“ აწერია. სწორედ აქ, ამ, სიგრძეში 30-იან, ხოლო სიგანეში 20-მეტრიან მოედანზე ხვეწდა თავის ოსტატობას ნამდვილი ტევესი.

ისევ „პიპა“: *„როგორც უნდა დაყოფილიყვნენ ბიჭები, თუ გარანტირებული მოგება გინდოდა, ლიტოსთან (კარლიტოსთან) უნდა ყოფილიყავი“.*

*„ნუ... ყოველთვის არა“*, - ეპასუხება დურე.

დურეს ერთი ამბავი აგონდება, ნაძლევი. ლიტოს გუნდი მისი ბიძაშვილის გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა. თამაშის წინ დათქვეს, რომ წაგებულები ერთი თვე თმაშეღებილები ივლიდნენ. გუნდი, რომელშიც ლიტო და მისი მეგობრები იყვნენ, 1:0-ს იგებდა. დროზე თამაშობდნენ, ასე რომ, თამაშის ბოლოს ბიჭებმა თავს უკვე ჯამბაზობის უფლება მისცეს - კეწწლავდნენ, ათასგვარ ილეთს ატრიალებდნენ. და, რასაკვირველია, მოწინააღმდეგემ გაათანაბრა, შემდეგ კი პენალტებით მოიგო.

*„მე და ლიტო ერთი თვე თმაშეღებილი დავდიოდით. მას იისფრად ჰქონდა შეღებილი, მე - ყვითლად“.*

ის, რაც დურემ გაიხსენა, სახალისო ისტორიაა, ხოლო ის, რასაც წერილის მიწურულს გეტყვით - ფუერტე აპაჩეში ლეგენდად დარჩენილი. ეს გახლავთ ამბავი, თუ როგორ გააღწია ტევესმა უბნიდან, სადაც შესაძლოა ნარკომანი ან ნარკოტიკების გამსაღებელი გამხდარიყო. ამბავი კი ასეთია: 15 წლის „ელ აპაჩემ“ თავისი სკოლის გუნდის, „სანტა კლარას“ მაისურით 20 წლის მოწინააღმდეგეებს შავი დღე აყარა...

დღეს, სკოლა, რომელსაც ოდესღაც ფეხბურთის გუნდი „სანტა კლარა“ ჰყავდა, დახურულია - კარანტინია, „ლორის გრიპს“ ერიდებიან.

**ილია ბაბუნაშვილი**



ტევესის ეზოს მეორე მხარე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საინტერესოა...

ტაქტიკური სქემის ისტორია. პირველი ნაწილი

# ინგლისური ავადმყოფობა

## ტაქტიკური სქემის პირველი ნაბიჯები: 1-0-9, 1-2-7, 2-2-6, 2-3-5




1872 წლის 30 ნოემბერი, პირველი სანაკრებო მატჩი: შოტლანდიისა (2-2-6) და ინგლისის (1-2-7) ნაკრები გუნდების განლაგებები

**ჩვენ ყველანი ყოველდღე ვსაუბრობთ ფეხბურთზე, ვუყურებთ, ვქომაგობთ და მიგვაჩნია, რომ ფეხბურთის შესახებ ყველაფერი თუ არა, თითქმის ყველაფერი მაინც ვიცით. ვსაუბრობთ გუნდების ტაქტიკაზე, ტაქტიკოს მწვრთნელებზე, ვიცით, რომ 4-4-2 ყველაზე ბანალური და სტანდარტული სქემაა, ვიცით, რომ თანამედროვე ფეხბურთში ლიბეროებით აღარ თამაშობენ, რომ ჯოვანი ტრაპატონი და ფაბიო კაპელო ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ტაქტიკოსები არიან და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია! მაინც რა არის ტაქტიკა, როგორი იყო პირველი ტაქტიკური სქემები და საიდან მოდის 4-4-2 თუ 4-2-3-1? საიდან დაიწყო და როგორ ვითარდებოდა თუ იხვეწებოდა ტაქტიკური სქემები? იმ დროს, როცა მსოფლიო ფეხბურთში ბევრი არაფერი ხდება და მხოლოდ სატრანსფერო ციებ-ცხელებაა, გადავწყვიტეთ, ფეხბურთის ტაქტიკის ისტორია შემოგთავაზოთ. მასალა, რომელიც მოვიძიეთ, რვა ნაწილად დავყავით და დღეს პირველ ნაწილს წარმოგიდგენთ.**

ფაქტია, რომ 20 წლის წინათ საფეხბურთო ტაქტიკის ისტორია მედიისთვის საინტერესო თემა არ იქნებოდა, რადგან მაშინ (და გარკვეულწილად დღესაც), ყველა მიიჩნევდა, რომ ტაქტიკურად ჩახლართული თამაში ყოველთვის მოსაწყენია და მაყურებელს სიამოვნებას ვერ მიანიჭებს. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ დაგვეთანხმებით, ბევრი მუღამს სწორედ ჩახლართულ ტაქტიკაში ხედავს და თუ ერთი დაუმუღამე, მერე გოლების წვიმა საერთოდ აღარ გაინტერესებს, შენც კაპელოს თუ ტრაპატონის სქემებში იკარგები.

მაგალითად, გერმანიაში ბევრი დღესაც იმ აზრზეა, რომ გუნდისთვის მთავარი ტაქტიკური სქემა კი არა, მონდომება და მოტივაციაა. როცა გერმანელები ამას ამბობენ, იტალიელებს ირონიულად ეღიმებათ, რადგან მათ კარდინალურად განსხვავებული მოსაზრება აქვთ – იტალიელებისთვის ტაქტიკა უმთავრესია. დიდი ხნის განმავლობაში სქემებს ინგლისელებიც არ აქცევდნენ დიდ ყურადღებას და ინგლისური კლუბების უმეტესი ნაწილი სტანდარტული 4-4-2-ით თამაშობდა, მაგრამ ნახეთ, დღეს ინგლისის ნაკრებს სათავეში კაპელო უდგას – მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ტაქტიკოსად აღიარებული სპეციალისტი. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: მზაკვრულ, ზედგამოჭრილ ტაქტიკას ან თამაშის დროს მის სწორად შეცვლას, ხშირად დაუმარცხებია საფეხბურთო თვალსაზრისით აშკარად უფრო მაღლა მდგომი ძალა. ეს იმიტომ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ სად დგას და რა მონაკვეთზე მოძრაობს თამაშის დროს.

გერმანელები დღეს უკვე აღიარებენ, რომ ტაქტიკა ძალიან მნიშვნელოვანია და რომ ბოლო წლებში ისინი ამ მხრივ დანარჩენ ევროპას ჩამორჩნენ. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე გერმანელი გულშემატკივრები მუდმივად მათი გუნდის ტაქტიკაზე ბჭობდნენ და კერძოდ იმაზე, თუ როგორი სქემით უნდა ეთამაშა იოახიმ ლიოვის გუნდს – 4-4-2-ით თუ 4-2-3-1-ით და რა განსხვავება იყო ამ ორ სქემას შორის.

იმისათვის, რომ ყველამ ვიცოდეთ, რა განსხვავებაა და რა დროს რით სჯობს ესა თუ ის ტაქტიკური სქემა მეორეს, ზოგადად ტაქტიკის ისტორია უნდა ვიცოდეთ – როგორ დაიწყო ყველაფერი და რა შეიცვალა დროთა განმავლობაში. სწორედ ამიტომ, მოდით, სულ თავიდან დავიწყოთ, კერძოდ, იმ დროიდან, როცა ფეხბურთი და რაგბი ფაქტობრივად ერთი და იგივე იყო. და ჩვენ ყველანი ერთად ვნახავთ, რომ...

...ზონური დაცვა ფეხბურთში ზოგადად დაცვის პირველი სტილი იყო.

...მოკლე პასებით სწრაფი თამაში შეტევაში 30-იანი წლებიდან მოდის.

...ადრე საუკეთესო მწვრთნელები უნგრელები იყვნენ და რომ ბრაზილიელებს ტაქტიკაში თავიდანვე ძალიან ბევრი რამ ესმოდათ.

..."კატენაჩოს" პირველად არა იტალიელი, არამედ არგენტინელი ანიჭებდა უპირატესობას.

...პრესინგი ჯერ კიდევ 60-იან წლებში იყო პოპულარული.

■ ■ ■

თავიდან იყო ბურთი და არაფერი ბურთის გარდა. თანაც, ბურთიც არ იყო ისეთი, როგორიც დღეს არის. არ არსებობდა საფეხბურთო წესებიც. შესაბამისად, არც მოედნის სიგრძე-სიგანე იყო დადგენილი, არც ფეხბურთელების რაოდენობა და არც ბურთის ზომა თუ წონა. თავიდან ფეხბურთი ფაქტობრივად არ იყო ფეხბურთი, უფრო სწორად, გარკვეულწილად რაგბი უფრო იყო, ვიდრე ფეხბურთი. როდესაც სიტყვას „თავიდან" ვახსენებთ, ორი სოფლის გუნდის ერთმანეთში ბურთაობას კი არ ვგულისხმობთ, არამედ იმ დროს, როცა სკოლებსა და უნივერსიტეტებში ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ – კერძოდ, საუბარი გვაქვს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარზე. ისინი თამაშობდნენ სპორტის იმ სახეობას, რომელიც ნაწილობრივ ფეხბურთი იყო და ნაწილობრივ რაგბი. საფეხბურთო წესები პირველად 1863 წელს შეიქმნა და იმის გამო, რომ ყველა უნივერსიტეტსა თუ სკოლას თავისი წესები ჰქონდა, ფეხბურთს მეტწილად მასპინძელი გუნდის სკოლისა თუ უნივერსიტეტის მიერ დაწერილი კანონებით თამაშობდნენ.

1863 წლის ნოემბერი ფეხბურთის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი თარილია, რადგან სწორედ ამ დროს დაარსდა ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია. მანამდე, პასუხისმგებელი პირები ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ იმაზე, რომ კონსენსუსს ვერასდროს მიაღწევდნენ. მას მერე, ერთნი ცალკე გზას დაადგნენ და რაგბის თამაში დაიწყეს, დანარჩენებმა კი ფეხბურთის თამაში დაიწყეს. ალბათ საინტერესოა, მაინც რაზე დავობდნენ ეს ბატონები. თუ გგონიათ, რომ კამათის საგანი ის იყო, დაეშვათ თუ არა ფეხბურთში ხელით თამაში, ძალიან ცდებით. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ერთი ნაწილი უხეშ თამაშს ანიჭებდა უპირატესობას. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ფეხბურთელებს თამაშის დროს ერთმანეთისთვის ფეხებში უნდა ერტყათ. მეორე ნაწილი კი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მაგალითად, ისტორიამ შემოინახა ფ. ვ. კემპბელის სიტყვები, რომელსაც უთქვამს, თუ ფეხბურთში ფეხებში ჩარტყმა აკრძალული იქნება, მაშინ სპორტის ეს სახეობა ვაჟკაცურისგან ძალიან შორს იქნება და ამ სახეობაში ნაზი ფრანგებიც კი იოლად დაგვამარცხებენო.

ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ინგლისელებისთვის სპორტის ნებისმიერ სახეობაში ყველაზე მთავარი ყოველთვის ის იყო, რომ ერთმანეთისთვის და სხვებისთვის ვაჟკაცობა, გამბედაობა ან უბრალოდ მამაკაცურობა დაემტკიცებინათ. და ეს ტკივილის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ინგლისელები ყოველთვის მიიჩნევდნენ, რომ ტალანტი, ტექნიკა და სხვა ამგვარი უნარები მხოლოდ „პრანჭია უცხოელებისთვის" იყო მნიშვნელოვანი და ისინი ყოველთვის ამბობდნენ, რომ ამ შეფასებას ყველაზე მეტად ფრანგები იმსახურებდნენ. ინგლისელების აზრით, ფრანგები ყველაფერში ნაზები და არავაჟკაცურები იყვნენ.



1874 წელს შექმნილი ილუსტრაცია სახელწოდებით დრიბლინგი

შესაძლოა, გაგიკვირდეთ, მაგრამ მიზეზი იმისა, თუ რატომ თამაშობდნენ ფეხბურთს სკოლებსა თუ უნივერსიტეტებში, წმინდა პედაგოგიური იყო. სასწავლებლების ხელმძღვანელებს იმედი ჰქონდათ, რომ სპორტის ეს სახეობა მოსწავლეებს მორალურად გააძლიერებდა და არ მისცემდა საშუალებას, უსარგებლოდ გაეტარებინათ დრო და ათას სისულელეზე ეფიქრათ. მოკლედ, მაშინ ფეხბურთს მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო თამაშობდნენ, დღეს კი სპორტის ეს სახეობა მსოფლიოში ნომერ პირველია!

ერთი სიტყვით, ყველაფერი სხვანაირად იყო და თითქმის ოდნავადაც არ ჰგავდა დღევანდელ ფეხბურთს. მეკარე პირველად 1871 წელს გამოჩნდა და ეს იყო ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც ბურთის ხელში აღების უფლება ჰქონდა. ოღონდ, გუნდის საჯარიმო არ არსებობდა და მეკარეს ხელით თამაში მისი გუნდის მთელ ნახევარზე შეეძლო. პირველად ჭკუა „სანდერლენდის" მეკარემ რიჩმონდ რუზმა იხმარა და ბურთი ხელით შუა ხაზამდე მიჰქონდა. და რაკი ისეა, რომ ასეთები ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე, 1912 წელს წესები შეიცვალა და შეიქმნა გუნდის საჯარიმო მონაკვეთი, ზუსტად ისეთი, როგორიც დღეს გვაქვს. უფრო საინტერესოა თამაშგარე მდგომარეობის შექმნის ისტორია. თავიდან ფეხბურთშიც ისეთივე წესი იყო, როგორიც რაგბიშია: მეტოქის კართან ბურთზე უფრო ახლოს მყოფ მოთამაშეს მისი მიღების უფლება არ ჰქონდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, პასის მიცემა მხოლოდ უკან შეიძლებოდა. შესაბამისად, ფეხბურთელები ერთმანეთს პასებს ფაქტობრივად არ აძლევდნენ. ანუ, ყველაფერი ასე ხდებოდა: ვისაც ბურთი ჰქონდა, დრიბლინგს იწყებდა, ოღონდ დრიბლინგიც გადაჭარბებული ნათქვამია. დანარჩენები კი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მისთვის დერეფანი გაეხსნათ და ზუსტად ეს იყო ის ვაჟკაცური თამაში, რომლის ნახვაც ინგლისელ გულშემატკივრებს სურდათ. ანუ, ოდნავადაც არ იგრძნობოდა ორგანიზებულობა. პირველ ხანებში გუნდები ერთ ხაზზე მდგომი ცხრა ფეხბურთელით უტევდნენ და უკან მხოლოდ ერთი მოთამაშე ჰყავდათ და პირველი ტაქტიკაც ასეთი იყო: 1-0-9.

1866 წელს თამაშგარის წესი პირველად შეიცვალა, მაგრამ დრიბლინგი მაინც ნომერ პირველ იარაღად დარჩა. თუმცა ოფსაიდის ეს წესიც კარდინალურად განსხვავდებოდა დღევანდელისგან. შოტლანდიელებმა როგორც ყოველთვის, მაშინაც ორიგინალობა გამოიჩინეს და ინგლისელებზე ადრე მოხსნეს ტაბუ გრძელ გადაცემებს. სამაგიეროდ, ინგლისში ბურთის თავით თამაშიც დაიწყეს და როდესაც 1875 წელს ერთმა ინგლისურმა გუნდმა თავით თამაში წარმოადგინა, ყველანი სახტად დარჩნენ. 1872 წელს ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრები გუნდები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ეს გახლავთ პირველი სანაკრებო მატჩი ფეხბურთის ისტორიაში, რომელსაც 4000 მაყურებელი დაესწრო.

იმ დროს, როცა ინგლისელები იმ სტილით თამაშობდნენ, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა მაყურებლებს განსხვავებული ფეხბურთი შესთავაზეს: მათ თამაშში იგრძნობოდა გუნდური ფეხბურთი და ისინი პასებსაც არიგებდნენ. ანუ, მათ გარკვეული სტრატეგია ჰქონდათ, განსხვავებულ სტილში თამაშობდნენ და სწორედ ასე მიაღწიეს ფავორიტად შერაცხულ ინგლისელებთან უგოლო ფრეს. თუკი ორივე გუნდის ტაქტიკურ სქემებს შევადარებთ, ინგლისელები 1-2-7 სქემით თამაშობდნენ, ხოლო შოტლანდიელები კი 2-2-6-ით. ანუ, შოტლანდიელებმა დაცვაზე გააკეთეს აქცენტი – თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას.




1878 წლის 30 მარტი, უელსის თასის ფინალი: რექსჰემისა და დრაიდსის განლაგებები. რექსჰემი პირამიდით (2-3-5) თამაშობს

მომდევნო წლებში ხშირი იყო დისკუსიები იმის შესახებ, თუ რომელი სქემა უფრო ამართლებდა. ინგლისელები, როგორც ყოველთვის, ფიქრობდნენ, რომ ყველაზე მაღლა იდგნენ. მაგალითად, ერთ-ერთმა ინგლისელმა „ტაქტიკოსმა" ჟურნალ Umpire-სთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა: „ვერც ერთი სტრატეგია ვერასდროს დაამარცხებს მართლა ძლიერ თერთმეტ ფეხბურთელს!" ასეთი განცხადებები გარკვეულწილად დღესაც ისმის. მაგალითად, გასულ სეზონში, მიუნხენის „ბაიერნისა" და „ჰოფენჰაიმის" მატჩის წინ ბავარიელთა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** ასეთი რამ თქვა: „თამაშს ის გუნდი კი არ იგებს, რომელსაც უკეთესი ტაქტიკა აქვს, არამედ ის გუნდი, რომელსაც უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს!"

ასე იყო, თუ ისე, ფაქტი ერთია: გუნდებმა ნელ-ნელა დაიწყეს პასებით თამაში, ორგანიზებული ფეხბურთის ჩვენება და შესაბამისად, მათ უკვე სჭირდებოდათ უფრო მეტი ნახევარმცველი იმისათვის, რომ ბურთი მეტოქის საჯარიმომდე აზრიანად მიეტანათ. თუმცა ამას ჯერ კიდევ არ ეთქმოდა ხეირიანი ნახევარდაცვა.

გავიხსენოთ შოტლანდიის ტაქტიკა პირველ სანაკრებო მატჩში: 2-2-6. სწორედ ამ სქემიდან დაიწყო ტაქტიკის ჩამოყალიბება, რადგან საყოველთაო მოსაზრების თანახმად, იმ შეხვედრაში ამ სქემამ გაამართლა. ამრიგად, თავიდან ერთი ცენტრფორვარდი უკან დახიეს და მას შეტევის ორგანიზებასთან ერთად, მეტოქე გუნდის შეტევების ჩაშლაც დაავალეს. ანუ, ეს იყო საყრდენი ნახევარმცველისა და ფლეიმეიკერის ნაზავი, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ერთი ფეხბურთელისთვის ეს ზედმეტად დიდი სამუშაო იყო.

შემდგომ სქემას თამამად შეგვიძლია, „პირამიდა" ვუწოდოთ: 2-3-5. ამ სქემამ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში მთელი ინგლისი დაიპყრო. ინგლისის ნაკრებმა ამ ტაქტიკით პირველად 1884 წელს ითამაშა, ოდნავ მოგვიანებით კი 2-3-5-ით „პრესტონ ნორთმა" ზედიზედ ორჯერ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი და თანაც, არ დამარცხებულა. „პირამიდა" 40 წლის განმავლობაში იყო ყველაზე წარმატებული და პოპულარული ტაქტიკური სქემა.

გერმანული კლუბის, „მიუნხენ 1860"-ის სახელი კი მიგვითითებს იმაზე, რომ ეს გუნდი 1860 წელს დაარსდა და ეს მართალიცაა, მაგრამ თავიდან „ლომები" ფაქტობრივად რაგბის თამაშობდნენ და ფეხბურთთან ცოტა რამ ჰქონდათ საერთო. ხეირიანი ფეხბურთი გერმანიაში 1874 წელს შევიდა, როცა რაგბი და ფეხბურთი საბოლოოდ განცალკევდნენ. გერმანიის მაგალითი ზოგადად იმიტომ მოვიყვანეთ, რომ თავიდან ალემანიაში სპორტის ამ სახეობას ბევრი მტერი გამოუჩნდა, რომლებიც ფეხბურთს, უფრო სწორად, ბურთაობას, „ინგლისურ ავადმყოფობას" უწოდებდნენ.

*(გაგრძელება იქნება)*

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# ტონი: სკამზე არაფერი მესაქმება!

მიუნხენის „ბაიერნის“ თავდასხმაში უდიდესი კონკურენციაა. რეკორდმაისტერს ოთხი მაღალი კლასის ფორვარდი ჰყავს და საინტერესოა, რომელმა ორმა გოლეადორმა უნდა ითამაშოს ძირითად შემადგენლობაში - 30 მილიონად ნაყიდმა **მარიო გომესმა**, „ჰამბურგიდან“ გადმოყვანილმა **ივიცა ოლიჩმა**, გერმანიის ნაკრების ფორვარდმა **მიროსლავ კლოზემ** თუ მსოფლიოს ჩემპიონმა **ლუკა ტონიმ**? მოკლედ, ბავარიელთა ახალ თავკაც **ლუის ვან გაალს** წინა ხაზში დიდი არჩევანი აქვს.

ტონი პირდაპირ ამბობს, რომ რეზერვისტობას არაფრის დიდებით არ შეეგუება. აი, რა უთხრა ლუკამ „გაძეტა დელო სპორტს“: *„15 წლის განმავლობაში რეზერვისტი არასდროს ვყოფილვარ და სათადარიგოთა სკამი არასდროს მიხეხია. ახლაც მიმაჩნია, რომ სკამზე არაფერი მესაქმება!“*

ამრიგად, ახალი სეზონის დაწყებამდე 24 დღით ადრე, იტალიელი გოლეადორი შეტევაზე გადადის, რაც ვან გაალს ნამდვილად არ ესიამოვნება. თუმცა ტონის ეს განცხადება იმას არ ნიშნავს, რომ „ბაიერნიდან“ წასვლას აპირებს. იტალიელი კიდევ ერთხელ ამბობს, რომ მიუნხენს ზამთარშიც კი არ დატოვებს. *„მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, დავამტკიცო, რომ ჩემი ადგილი ძირითად შემადგენლობაშია. მე ვიცი, რომ გოლების გატანა შემიძლია და გავიტან კიდეც!“* - ამბობს ტონი.


ლუკა ტონი რეზერვისტის როლს არ შეეგუება

მოგეხსენებათ, ბოლო დროს ტონის იტალიაში ხშირად აკრიტიკებენ, რადგან იტალიის ნაკრებში გოლები ველარ გააქვს და კონფედერაციათა თასზეც უგოლოდ დარჩა. *„ბოლო 5-6 წლის განმავლობაში ჩემზე მეტი გოლი არც ერთ იტალიელ თავდამსხმელს არ გაუტანია, ხოლო გასულ სეზონში კი „ბაიერნის“ ყველაზე გოლუხვი ფეხბურთელი ვიყავი. ჰო, ბოლო სეზონში აღარ მქონდა ისეთი შესანიშნავი შედეგები, როგორც წინა წლებში, მაგრამ სხვაზე ცუდი შედეგი არ მქონია და მხოლოდ ამის გამო მაკრიტიკებენ? მიმაჩნია, რომ ეს არასწორი მიდგომაა,“* - წუხს ტონი.

ლუკა მიიჩნევს, რომ არც იტალიის ნაკრებში დაუკარგავს ადგილი. მართალია, კონფედერაციათა თასზე საშინლად ითამაშა, რასაც ალიარებს კიდეც, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, რომ „სკუადრა აძურას“ თავკაცი **მარჩელო ლიპი** მომავალს მის გარეშე გეგმავს.

გერმანია

# AUFWIEDERSEHEN, BUNDESLIGA!

## ფეხბურთელები, რომლებმაც გერმანიაში ბევრი გააკეთეს და მიდიან...

**გერმანიის ჩემპიონ „ვოლფსბურგის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა არმინ ფეემ გუნდს მომავალი სეზონისთვის მზადება რომ დააწყებინა, შემადგენლობას გადახედა, მოთამაშეებს კარგად დააკვირდა და ხუთი მათგანი მეორე გუნდში გადაისროლა. მიუნხენის „ბაიერნის“ ახალმა თავკაცმა ლუის ვან გაალმა კი განაცხადა, რომ შემადგენლობაში 22 ფეხბურთელზე მეტი არ სჭირდება - ჰა, ჰა, პლუს 2-3 ტალანტიო. „შალკეს“ დამრიგებელმა ფელიქს მაგათმა კი პირველსავე ვარჯიშზე „ჰამბურგიდან“ დაბრუნებულ ალბერტ შტრაიტს აგრძნობინა, რომ თუ მას გელზენკირხენულ კლუბში დარჩენა სურს, საკუთარ თავს უნდა სძლიოს და უახლოეს მომავალში შეუძლებელი შეძლოს.**

**ერთი სიტყვით, გერმანიაში მოთამაშე საკმაოდ ბევრ ფეხბურთელს გაუჭირდება მომავალი სეზონისთვის გუნდში ადგილის შენარჩუნება. ზოგიერთისთვის კი ეს ახლავე შეუძლებელია. ასეთი მოთამაშეების ორი კატეგორია არსებობს: ისეთები, რომლებსაც თავ-თავიანთ კლუბებთან კონტრაქტები ჯერ კიდევ აკავშირებთ, მაგრამ შანსი არ აქვთ და მათი გადაბირება არც არავის უნდა და ისეთები, რომლებსაც კონტრაქტები დაუმთავრდათ, არ გაუგრძელეს და არც მათი მსურველი გამოჩენილა. ჩვენ ასეთი მოთამაშეებისგან შვიდი ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი ამოვარჩიეთ. დიდი შანსია, რომ ეს შვიდი ფეხბურთელი მომავალ სეზონში გერმანიაში ველარ ვიხილოთ.**

### კარლოს გროსმიულერი, შალკე

„შალკემ“ ურუგვაელი გამთამაშებელი ორი წლის წინათ შეიძინა და როდესაც ტრანსფერი გაიჩარხა, გელზენკირხენული კლუბის იმდროინდელმა თავკაცმა **მირკო სლომკამ** თქვა, აი, ეს არის ზუსტად ის ფეხბურთელი, ის ხარისხი, რაც „შალკეს“ წლების განმავლობაში აკლდაო. დღემდე დიდი გამოცანაა, რა ხარისხზე საუბრობდა სლომკა და ან საერთოდ რა პლუსები დაინახა მან **კარლოს გროსმიულერში**. 26 წლის ურუგვაელი დირიჟორი ზოგჯერ მართლაც ახერხებდა 2-3 კარგი პასის გაკეთებას, მაგრამ ერთადერთი რამ, რითაც ის ბუნდესლიგაში ან „შალკეს“ ფანებს დაამახსოვრდებათ, არის უდისციპლინობა და ალვირახსნილობა - გროსმიულერი სკანდალური ტიპია. დღეს კი „შალკეს“ **ფელიქს მაგათი** წვრთნის - კაცი, რომელიც დისციპლინისა და წესრიგის მოყვარული სპეციალისტია. მაგათმა გროსმიულერი პირველსავე ვარჯიშზე დასაჯა, რადგან ეს უკანასკნელი დიდი მონდომებით არ გამოირჩეოდა. „ხუმარებმა“ დღემდე 4 ტესტმატჩი ჩაატარეს და მაგათმა გროსმიულერს მოედანზე მხოლოდ 23 წუთი გაატარებინა. თითქმის გამორიცხულია, რომ „დესპოტმა ფელიქსმა“ გროსმიულერი დაიტოვოს, მაგრამ ფაქტია, რომ ურუგვაელს წასასვლელი არსად აქვს, მისი შეძენა არავის უნდა და რაკი ხელშეკრულებით „შალკეს“ ეკუთვნის, ალბათ მთელი სეზონის გატარება ტრიბუნაზე ან მეორე გუნდში მოუწევს.

### სერგიუ რადუ და ვლად მუნტეანუ, ვოლფსბურგი

ორი წლის წინათ **სერგიუ რადუ** და **ვლად მუნტეანუ** „კოტბუსში“ თამაშობდნენ და ისეთი შესანიშნავი დუეტი შექმნეს, რომ მათი გაყრა უბრალოდ დაუშვებელი იყო. მაშინ ერთად 25 გოლი გაიტანეს და ფაქტობრივად მათ იხსნეს „ენერგი“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან. აკი ვთქვით, რომ მათი გაყრა დაუშვებელი იყო: სწორედ ამიტომ, „ვოლფსბურგმა“ ორივე ფეხბურთელი ერთ პაკეტში შეიძინა. აი, „მგლებში“ კი რუმინელებს აბსოლუტურად არაფერი გამოუვიდათ. მუნტეანუ გასული სეზონის მეორე წრეში „არმინიაში“ იყო განათხოვრებული, მაგრამ იქაც ვერაფერი მოახერხა. რადუ კი „შტუტგარტში“ გაიქცა, სადაც 6 თვე გაატარა და ისევ უკან დააბრუნეს. მერე „კიოლნში“ სცადა ბედი - ასევე უშედეგოდ. მოკლედ, ამდენი გაწამაწიის შემდეგ, რუმინელები ისევ „ვოლფსბურგში“ აღმოჩნდნენ. ფაქტია, რომ ისინი არც **არმინ ფეეს** სჭირდება. შესაბამისად, რადუმ და მუნტეანუმ ან ახალი გუნდი უნდა იპოვონ, ანაც მეორე გუნდში მოუწევთ მთელი სეზონის გატარება.

### მარკო პანტელიჩი, უკლუბოდ

სერბ ფორვარდს „ჰერტაში“ მომავალი რომ არ ჰქონდა, ამას მთელი სეზონის განმავლობაში ყველა ამჩნევდა, რადგან ბერლინელთა მთავარი მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** შვეიცარიელია და შვეიცარიული საათის სიზუსტით უყვარს ყველაფრის კეთება, **პანტელიჩი** კი მისი აზრით, მართალია, კარგი ფეხბურთელი, მაგრამ ნაძირალა და ეგოისტია. „ჰერტას“ ფანებს მარკოზე აბოდებდათ, მაგრამ მწვრთნელმა გადაწყვიტა, 30 წლის სერბისთვის კონტრაქტი არ გაეგრძელებინა და ასე დარჩა პანტელიჩი უკლუბოდ. მარკომ თქვა, ეგ არაფერი, მთხოვნელების რიგი მიდგას და ნახავთ, რა მაგარ გუნდში გადავალო. ესეც მისი ეგოისტობის კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთი, რადგან პანტელიჩი დღემდე უგუნდოდაა. იყო საუბრები, რომ მას საბერძნეთსა და თურქეთში ეპატიჟებოდნენ, გერმანიიდან მარკოს გადაბირების სურვილი „ვერდერმა“, „ჰოფენჰაიმმა“ და „ჰამბურგმა“ გამოთქვეს, მაგრამ მეტი არც არაფერი გაუკეთებიათ. ასეთი ზნედაცემული ფეხბურთელის აყვანისგან ყველა თავს იკავებს. ზოგისთვის კი მარკო უბრალოდ ზედმეტად მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. ფაქტი ის არის, რომ ბუნდესლიგა პანტელიჩის სახით საკმაოდ კარგ ფორვარდს კარგავს.

### ნემანია ვუჩიჩევიჩი, უკლუბოდ

**ნემანია ვუჩიჩევიჩის** დარი დრიბლიორები ბუნდესლიგაში ცოტანი არიან. როცა ეს უკანასკნელი ბურთს მიიღებს, მცველებს ფეხის კანკალი ეწყებათ ხოლმე, რადგან იციან, რომ ვუჩიჩევიჩი ძალიან ძლიერია. მართალია, ყოველთვის შესანიშნავი დრიბლინგები არ გამოსდის, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად მისი თამაშის ყურება ერთ რამედ ღირს. მიუხედავად ამისა, „კიოლნმა“ მასზე უარი თქვა და 29 წლის ნახევარმცველს კონტრაქტი არ გაუგრძელა. შესაბამისად, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ 5-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ ნემანია გერმანიას დატოვებს. „ბოხუმის“ გარდა, მისი შეძენის სურვილი არც ერთ კლუბს არ გამოუთქვამს და „ბოხუმმაც“ სხვა ფეხბურთელის ძებნა დაიწყო. თუმცა ფეხბურთელის მრჩეველი არ ნერვიულობს და ამბობს, ნემანია „ქუჩაში“ ნამდვილად არ დარჩებაო.

### ილდირაი ბაშთურქი, შტუტგარტი

იყო დრო, როცა თურქი გამთამაშებელი გერმანიაში და არა მარტო გერმანიაში, უაღრესად დაფასებული ფეხბურთელი გახლდათ. **ბაშთურქს** მთელი თურქეთიც ეთაყვანებოდა და გერმანიაშიც მთხოვნელთა დიდი რიგი ედგა. დღეს კი ილდირაის არსებობა თითქმის ყველას დაავიწყდა და შესაძლოა, მკითხველების გარკვეულ ნაწილს ჰგონია, რომ ეს ბაშთურქის დაბერების ბრალია. არა, ახალგაზრდა დიდი ხანია აღარ არის, მაგრამ ჯერ არც დაბერებული ეთქმის, რადგან თურქი ფლეიმეიკერი 30 წლისაა და ჯერჯერობით ისეთ ასაკშია, ფეხბურთელისთვის იდეალურს რომ უწოდებენ. შესაძლოა, ბევრმა ისიც კი არ იცოდეს ან არ ახსოვდეს, რომ ის „შტუტგარტში“ ირიცხება. ამაში გასაოცარი არაფერია, რადგან ილდირაიმ გასულ სეზონში მხოლოდ და მხოლოდ 4 მატჩში მიიღო მონაწილეობა. თუმცა ბაშთურქს გასამართლებელი საბუთი აქვს - მთელი სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე მიიღო ტრავმა და ფაქტობრივად, სულ დაშავებული იყო. ზოგადად, ხშირი ტრავმიანობა ბაშთურქის უდიდესი პრობლემაა, ის თითქმის ყოველთვის „ახერხებდა“ სეზონში 2-3 ტრავმის მიღებას. მართალია, ბაშთურქი ახლა უკვე სრულიად ჯანმრთელია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ის „შტუტგარტს“ ფაქტობრივად აღარაფერში სჭირდება.

ამის მიზეზი ის არის, რომ შვაბური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **მარკუს ბაბელმა**, მუშაობის დაწყების დღიდან გუნდის ტაქტიკა შეცვალა და 4-4-2-ით ათამაშებს, სადაც ნახევარმცველებიდან ორი ფლანგის მოთამაშეა, ორი კი ჩამშლელი შუამარბი. ბაბელი უდირიჟოროდ თამაშს ამჯობინებს და ამდენად, ბაშთურქი მის სქემაში არანაირ როლს არ თამაშობს. ილდირაის კი მხოლოდ თავდამსხმელების უკან შეუძლია ასპარეზობა - ვერც ფლანგზე გაამწესებ, ვერც თავდასხმაში და მით უმეტეს, ვერც ჩამშლელად. „შტუტგარტის“ პრობლემა კი ის არის, რომ ილდირაის შვაბურ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს და თანაც, თურქი საკმაოდ მაღალ ხელფასს იღებს. ილდირაის შეძენის სურვილი დღემდე არავის გამოუთქვამს და რაკი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მთხოვნელი სექტემბრამდე არ გამოუჩნდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, 2002 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი და მსოფლიოს ჩემპიონატის მესამეადგილოსანი „შტუტგარტში“ დარჩება და ისევ მთელ სეზონს სკამზე, ან ლაზარეთში გაატარებს. მის ყიდვას უბრალოდ ვერავინ რისკავს.

### ერვინ სკელა, უკლუბოდ

ბუნდესლიგაში „აინტრახტი“, „არმინია“, „კაიზერსლაუტერნი“ და „კოტბუსი“, ქვედა ლიგებში კი „ჰერტა“, „აუე“, „ხემნიტცი“ და „მანჰაიმი“... ალბანელ **ერვინ სკელას** გერმანულ საფეხბურთო სამყაროში ძალიან კარგად იცნობენ და მას იცნობენ საქართველოშიც, რადგან ჩვენს ნაკრებს ალბანეთის პირველ გუნდთან არაერთი მატჩი აქვს ჩატარებული და სკელა ყოველთვის ალბანელთა ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. ახლა კი, საქმე იქითკენ მიდის, რომ სკელას გერმანული საკლუბო კარიერა მთავრდება. ფაქტია, რომ 32 წლის ნახევარმცველი, რომელსაც ჯარიმების დარტყმის იშვიათი ნიჭი აქვს, პირველი ბუნდესლიგის არც ერთ კლუბს არ დასჭირდება. მეორე ბუნდესლიგაში თამაში კი თვითონ აღარ სურს. გავრცელდა ცნობები, რომ სკელას აყვანა მეორე ბუნდესლიგელ „კობლენცს“ ძალიან უნდა. ვნახოთ... ისე, სადაც ამდენი უთამაშია, უნდა დარჩეს, რადგან არა გვგონია, რომ 32 წლის სკელამ მეორე ბუნდესლიგაზე უკეთესი ვარიანტი სადმე იპოვოს. გერმანიაში კი, როგორც მინიმუმ, კარგად იცნობენ და აფასებენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**


ერვინ სკელა


კარლოს გროსმიულერი


მარკო პანტელიჩი

ჭიდაობა

საპრეზიდენტო არჩევნები

# ძველი ახალი პრეზიდენტი

ხვალ, 12 საათზე ჭიდაობის ფედერაციაში საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა გაიმართება, სადაც განვლილ ოთხწლიან ციკლსაც შეაჯამებენ და პარლამენტარ **კახა გეწაძეს** საპრეზიდენტო უფლებამოსილებას კიდევ ოთხი წლით გაუგრძელებენ. სხვანაირი შედეგი მოსალოდნელი არცაა, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებში გეწაძეს მოწინააღმდეგე არ ეყოლება - განაცხადი სხვას არავის შეუტანია. მართალია, თეორიულად არსებობს შანსი, რომ არჩევნებში ხმები ვერ მიიღოს, მაგრამ ეს პრაქტიკულად გამორიცხულია.

მოჭიდავეებს ახალი არჩევნები ცოტა დაუგვიანდათ - ეს ნაოლიმპიადევს უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ მაშინდელი ვითარებიდან გამომდინარე, ამისთვის არ ეცალათ, მერე კი ეს საქმეც აქამდე მირჩათ. ამ არჩევნების შემდეგ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში საკადრო ცვლილებები აუცილებლად იქნება. კერძოდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პოსტს ტოვებს გენერალური მდივანი **ომზარ შოშიტაშვილი**, რომელიც ფედერაციაში დაარსების დღიდან მუშაობს და თითქმის უწყვეტად - ამ თანამდებობაზე. გენმდივნის პოსტზეც ერთადერთი განაცხადია შესული. მსურველი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **მალხაზ ჯორბენაძეა**, რომელიც თავის პროფესიულ კარიერაშიც სწრაფ პროგრესს აღწევ და უახლოეს ხანებში საერთაშორისო არენაზე კიდევ ერთი მაღალკვალიფიციური მსაჯი გვეყოლება. ოთხი განაცხადია შესული ვიცე-პრეზიდენტების თანამდებობაზე - **რომან რურუა, ედიშერ მაჩაიძე, თემურ ყაზარაშვილი** და **თამაზ გეგეშიძე**. ამათგან, ყაზარაშვილი და გეგეშიძე აქამდეც ამ მოვალეობას ასრულებდნენ და კვლავაც გააგრძელებენ, რადგან ვიცე-პრეზიდენტთა პოსტების რაოდენობა ოთხამდე იზრდება, არჩევნებში მონაწილე კი მეტი არც არის.

**ირაკლი თავაძე**

ქალთა ჭიდაობა

# გოგონებიც გამოჩნდნენ

საქართველოს ჭიდაობის ქვეყანას კი უწოდებენ და არაერთი სახელოვანი ფალავანითაც ვამაყობთ, მაგრამ ჩვენმა აზიატურმა ბუნებამ ქალთა ჭიდაობა ვერა და ვერ იგუა. თუმცა აზია ეძახე და იაპონელებს, ჩინელებს, კორეელებს, ყოფილი საბჭოთა კავშირის შუააზიურ რესპუბლიკებს ძალიან ძლიერი სკოლები აქვთ, ქართველი ქალისთვის კი სპორტის ეს სახეობა დღემდე მიუღებელ საქმედ რჩება. აქამდე ერთადერთი მოჭიდავე ქალი გვყავდა - **ელეონორა (ელა) გიგილაშვილი**, რომელმაც 2005 წელს ბუდაპეშტში, მსოფლიო ჩემპიონატზეც იჭიდავა, მაგრამ ეს მისი ერთადერთი და ბოლო გასვლა იყო საერთაშორისო ასპარეზზე, შესაბამისად, ქართული ქალთა ჭიდაობისთვისაც.

> გორში რამდენიმე გოგონა უკვე ვარჯიშობს იქაური საჭიდაო სკოლის ამაგდარ მწვრთნელ ნუგზარ სხირელთან. ბავშვები თავისი სურვილით მისულან მასთან და ვარჯიშის ნებართვა უთხოვიათ.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ქალთა ძიუდოშიც, ოღონდ ოდნავ უკეთესი, ვინაიდან არსებობს ძიუდოში სტაბილურად მოვარჯიშეთა ჯგუფი, მოდის ახალი თაობა, ტარდება ტურნირები და თვითონაც მონაწილეობენ უცხოურ შეჯიბრებებში - ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, მსოფლიო თასებში... ძიუდოისტებს ადრე საკმაოდ ძლიერი სკოლა ჰქონდათ - ძალიან ნიჭიერი თაობა ჰყავდათ, რომელიც თავის სიტყვას ამბობდა ყოფილ საკავშირო პირველობებში, სულ უფრო იზრდებოდა მათი წარმომადგენლობა მაშინდელ საკავშირო ნაკრებებში. პოლიტიკური კატაკლიზმები რომ არა, ჩვენი ქალები ნამდვილად ბევრს მიაღწევდნენ, მაგრამ დრომ მათი კარიერაც შეიწირა. თუმცა ერთი, ყველასგან გამორჩეული ათლეტი - **თეა დონლუზაშვილი** სპორტში მაინც დარჩა, ოღონდ კარიერის გადასარჩენად რუსეთის მოქალაქე გახდა და იქაურთა სახელით რამდენჯერმე ევროპის ვიცე-ჩემპიონობა, 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატსა და 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

მოკლედ, ძიუდოისტები ადრინდელი ტრადიციის აღდგენას მაინც შეუდგნენ, მოჭიდავე ქალებს კი ესეც არ ჰქონდათ. ეტყობა, მათი განვითარებაც ამან შეაფერხა - ცარიელ ნიადაგზე მშენებლობის დაწყება ბევრად რთულია, ვიდრე არსებულ ფუნდამენტზე ახალის დაშენება. არადა, უმთავრეს ტურნირებზე ქალთა გარეშე ვაჟთა გუნდები ეულად გრძნობენ თავს - საერთო ჩათვლაში ქალთა და ვაჟთა მონაცემები ჯამდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, ჩვენებს ნახევარი შედეგები ეთვლებათ. უცხოეთში არანაირად არ ანსხვავებენ, ოლიმპიადაზე, ევროპისა თუ მსოფლიოს პირველობებზე მედალი ქალმა მოიპოვა თუ ვაჟმა. ასე მაგალითად, იაპონელებისთვის ლეგენდარული ძიუდოისტი ქალის - **რიოკო ტამურა-ტანის** მოპოვებული ოლიმპიური ოქროები ზუსტად ისევე ფასობს, როგორც - **ტადაჰირო ნომურას, მასატო უჩიშიბას** და სხვათა ნადავლი. სხვა ქვეყნებშიც ანალოგიური მიდგომაა.

საქართველოში ქალთა ჭიდაობის დეფიციტი ყველაზე მწარედ ახლახან დამთავრებულ ევროპის ახალგაზრდა მოჭიდავეთა ჩემპიონატზე გამოჩნდა - ქალთა ტურნირში მონაწილე არ გვყავდა და, შესაბამისად, იმ შეჯიბრების ორი დღე ჩვენთვის არც არსებობდა.

შესაძლოა, უახლოეს წლებში ეს ნაკლიც გამოსწორდეს და ნაკრები ქალთა ჭიდაობაშიც გვყავდეს - გორში რამდენიმე გოგონა უკვე ვარჯიშობს იქაური საჭიდაო სკოლის ამაგდარ მწვრთნელ **ნუგზარ სხირელთან**. ბავშვები თავისი სურვილით მისულან მასთან და ვარჯიშის ნებართვა უთხოვიათ.

იმის მიუხედავად, რომ იქაური დარბაზი ვაჟებსაც ძლივს იტევს, სხირელი გოგოების ენთუზიაზმს გაგებით შეხვდა და უარი არ უთხრა.

ნუგზარ სხირელს წარდგენა არ სჭირდება - გორიდან ვინც კი მოდის, ყველა მისი აღზრდილია, იქიდან კი იმდენნი და ისეთები მოდიან... იქაური საჭიდაო სკოლა თავისუფალ ჭიდაობაში გამორჩეულად ძლიერი ცენტრია. მხოლოდ იმის აღნიშვნაც საკმარისი იქნება, რომ პეკინის ოლიმპიადაზე 5-კაციან გუნდში სამი სხირელის შეგირდი იყო, ცალკეულ მოჭიდავეებზე თუ მიდგება საქმე, მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიურ პრიზიორ **გიორგი გოგშელიძისა** და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის, ოლიმპიურ პრიზიორ **ოთარ თუშიშვილის** დასახელებაც კმარა. ასეთი მწვრთნელის კვალიფიკაცია გვაიმედებს, რომ იქნებ ქალთა ჭიდაობასაც ეშველოს.

**ირაკლი თავაძე**



ინტერვიუ ნუგზარ სხირელთან

# მედალოსნებს მადლობა, თუმცა შანსს სხვებიც იმსახურებენ

**თბილისში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჩვენი ქვეყნის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა კიდევ ერთხელ გაგვახარა. ახალგაზრდა ფალავნებს ახლა მსოფლიოს ჩემპიონატი ელით თურქეთში. გვესაუბრება ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი.**

**— ბატონო ნუგზარ, თბილისში ევროპის ჩემპიონატზე თქვენმა შეგირდებმა რვიდან ექვს წონით კატეგორიაში დაიმსახურეს მედლები, თუმცა შარშანდელივით გუნდური პირველობა ვერ მოიპოვა. უკმაყოფილო, ხომ არ დარჩით მწვრთნელები?**

— შარშანდელი შემადგენლობა რომ გვყოლოდა, ახლაც პირველობას არავის დავუთმობდით. შარშან არაერთი სპორტსმენი გვყავდა, რომლებიც მეორე-მესამე სეზონს ატარებდნენ ახალგაზრდულ ნაკრებში. ახლა გუნდში ძირითადად დებიუტანტები ირიცხებოდნენ. ეს ფაქტორი კი ასაკობრივი ნაკრებებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შარშანდელი შემადგენლობიდან შედეგი გაიმეორა გიორგი მაყიშვილმა, დანარჩენი მედლები კი დებიუტანტების მონაგარია. გუნდურ ჩათვლაში უქულოდ მხოლოდ 96 კგ-ში დავრჩით. საპრიზო ადგილზე არც ლადო ხინჩეგაშვილი გასულა, თუმცა მეექვსე ადგილით ჩასათვლელი ქულები მაინც მისცა გუნდს. ნაკრების წლევანდელი შედეგით კმაყოფილნი არიან ჩვენი ფედერაცია, სპორტის დეპარტამენტი და სამინისტრო.

**— ხინჩეგაშვილი ახსენეთ, ამ ჩემპიონატზე ხომ სწორედ მისი წარუმატებლობა იყო ყველაზე მოულოდნელი გულშემატკივრებისთვის...**

— ჩემთვის მოულოდნელი არაფერი ყოფილა. შარშანდლიდან ამ ახალგაზრდა ტალანტს ზედიზედ რამდენიმე სერიოზული წარმატება დაუგროვდა. ველოდი, რომ რომელიმე საპასუხისმგებლო შეჯიბრებაზე წააგებდა, თუმცა, ცხადია, ეს არ არის ტრაგედია. ლადოს ხელმოცარვა რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. ჯერ ერთი, რომ მან შარშანდლის შემდეგ წონა მოიმატა - 50 კგ-დან 55-ში გადავიდა. მართალია, დამსახურებულმა, მაგრამ მაინც მისი მისამართით მოჭარბებულად გამოთქმულმა ქებამაც ვფიქრობ, ჭაბუკ ფალავანს გარკვეული კვალი დაატყო. არა, არ გათამამებულა, ოღონდ ზედმეტად დარწმუნდა საკუთარ თავში. და კიდევ, ლადოს ზუსტად ჩემპიონატის დღეებში გამოცდები ჰქონდა. გუნდი, ვარიანის შეკრებიდან თბილისში რომ ჩავიდა, ის გორში იყო და მეცადინეობდა. მეტიც, აწონაზე პირდაპირ გამოცდიდან ჩავიდა. ჩემპიონატი რომ თბილისში არ ყოფილიყო, ან შეჯიბრება უნდა გამოეტოვებინა, ან გამოცდები. იკითხავთ, თუ ამდენი პრობლემა იყო, სხვას ექიდავაო. უნდა აღვნიშნო, რომ ამ ეტაპზე მისი და ლაშა ლომთაძის (50 კგ) წონაში კონკურენციას ვერავინ უძლებს. ამიტომაა, რომ თურქეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ კიდევ ერთხელ მოუწევთ ასპარეზობა.

**— ევროპის ჩემპიონებიდან, როგორც ვიცით, თურქეთში რამდენიმე ვერ იჭიდავებს...**

— დიახ, მაყიშვილი (60 კგ) და ხუჭუა (66 კგ) ამჯერად უნდა დავასვენოთ. მათ ძალიან დიდი საქმე გააკეთეს ევროპის ჩემპიონატზე და ამის გამო მსოფლიოზე გამოსვლასაც იმსახურებენ, მაგრამ მათთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება არ მიგვიღია. მოჭიდავეებს ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი შეკრების დასასრულს, მწვრთნელებმა ავუხსენით, რომ მათ ნაწილს მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ნაკრებში უშუალო კონკურენტებთან მოუწევდათ ადგილის დათმობა, ვინაიდან შანსს სხვებიც იმსახურებენ. ანკარაში მაყიშვილს შეცვლის კვესაძე, ხოლო ხუჭუას აბრამიშვილი. სხვათა შორის, ცვლილებებში დიდი როლი ითამაშა წონის კლების პრობლემებმაც.

**— დავით ხუციშვილს (74 კგ) ეს პრობლემა არა აქვს?**

— არა, თანაც დავითმა თბილისის ხალიჩაზე საკმაოდ კარგად იასპარეზა. მე კმაყოფილი ვარ ამ ახალბედა სპორტსმენის მესამე საპრიზო ადგილით.

**— ვერცხლისმედალოსანი დავით მარსაგიშვილიც (84 კგ) ემზადება ანკარაში საჭიდაოდ?**

— მის წონაში ერთხანს ვაპირებდით დაგვეყენებინა ევროპის შარშანდელი პრიზიორი ბექა ჭელიძე, მაგრამ, რამდენიმე თვეა, რაც მენისკის ოპერაცია გაიკეთა. ვარიანში ვარჯიშზე ამოუვარდა მუხლი. თვითონ კი უნდა თურქეთში ჭიდაობა, მაგრამ მწვრთნელებს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა გვაკისრია. ამიტომ გადავწყვიტეთ აქცენტი ისევ მარსაგიშვილზე გადავიტანოთ. ისიც მზარდი სპორტსმენია, 18 წლისაა, კარგად ჭიდაობს და თანაც აღნაგობით ზუსტად შეეფერება ამ წონით კატეგორიას. მას არც წონის კლების პრობლემა აქვს.

ფალავანს ვცვლით 96 კგ-ში, სადაც ოდიკაძის ადგილს თორნიკე ხიდეშელი დაიკავებს. მართალია, მან ოდიკაძესთან წლევანდელ საქართველოს პირველობზე ფინალი დათმო, მაგრამ შემდგომ უცხეთში გამართულ შეჯიბრებებზე (თუ არ ჩავთვლით ბაქოს საერთაშორისო ტურნირს) კარგად წარმოაჩინა თავი.

**— დაბოლოს მძიმე წონა, სადაც ერთობ მძაფრი კონკურენციაა გიორგი საკანდელიძეს და ლევან ბერიანიძეს შორის.**

— მიხარია, რომ ახალგაზრდებში გამოჩნდა ორი ისეთი მძიმეწონოსანი, რომლებიც ერთმანეთს ჯანსაღ და სერიოზულ კონკურენციას უწევენ. საკანდელიძე, დებიუტანტის კვალობაზე, ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავად გამოვიდა. ფინალში მას უნდა მოეგო. გიორგიმ ალან ხუბაევთან (რუსეთი) ერთ მომენტში კი კარგად გაითვალისწინა ჩემი დავალება, მაგრამ შემდეგ ვერ იმოქმედა ისე, როგორც მივუთითე და დამარცხდა. არადა, შეხვედრის მიწურულს, მისგან განსხვავებით, რუსს არაქათი გამოცლილი ჰქონდა. აქვე აღვნიშნავ, რომ არც ერთ ქართველ ფალავანს ხალიჩაზე გადაღლა არ დასტყობია, რაც კარგ მომზადებაზე მეტყველებს. შეგირდების მადლობელი ვარ. მძიმე წონაში ცვლილებისას ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ბერიანიძე ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორია. კარგად გამოვიდა წლეულს საერთაშორისო შეჯიბრებებზეც, მოიგო აგრეთვე ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირი და იმსახურებს, რომ ახლა მსოფლიოზეც იბრძოლოს წარმატებისთვის. ასე რომ, თურქეთში ერთობ გადახალისებული შემადგენლობით მივემგზავრებით. მოსამზადებელი შეკრების პირველი ეტაპი ვარიანში რამდენიმე დღეში დასრულდება. შემდეგ მეორე ეტაპზე ისევ შევიკრიბებით და ანკარისკენაც ავიღებთ გეზს.

**ვასილ ბალახაძე**

რაგბი

# ლელო კვლავ დაუმარცხებელია

გუშინ სარაგბო უმაღლეს ლიგაში ორი გადატანილი მატჩი გაიმართა. ავჭალაში, „სინათლის“ სტადიონზე ერთპიროვნული ლიდერი „ლელო“ „ვისოლი ყოჩებს“ ეთამაშებოდა. ეს ტურის ცენტრალური მატჩი იყო, „ლელომ“ შეძლო ზედიზედ მე-9 მატჩის მოგება ჩემპიონატში - 32:16. პარალელურად კიდევ ერთი შეხვედრა „შევარდენის“ სტადიონზე გაიმართა, ბოლოადგილოსანმა „უნივერსიტეტმა“ ყველასთვის მოულოდნელად, 15:10 დაამარცხა „ლოკომოტივი“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 9 | 9 | 0 | 0 | 294:142 | 18 |
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 135:104 | 12 |
| აკადემია | 10 | 6 | 0 | 4 | 165:151 | 12 |
| ყოჩები | 8 | 5 | 0 | 3 | 136:115 | 10 |
| ბათუმი | 10 | 4 | 1 | 5 | 169:202 | 9 |
| რუსთავი | 10 | 2 | 1 | 7 | 93:161 | 5 |
| აია | 9 | 2 | 0 | 7 | 113:122 | 4 |
| უნივერსიტეტი | 10 | 2 | 0 | 8 | 114:222 | 2 |

# ამერიკა ისევ ჩამოგვრჩა

გუშინ IRB-ს ახალი რეიტინგი გამოქვეყნდა, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა შეინარჩუნა მე-17 პოზიცია. **თიმ ლეინის** გუნდს კვლავ 66,85 ქულა აქვს. შაბათს კანადაში, „ბორჯღალოსანთა“ მდევარ აშშ-ს რომ ეყოჩალა, ჩვენ მე-17 ადგილსაც დავკარგავდით, მაგრამ ამერიკამ მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო მატჩში 18:41 დათმო კანადასთან და სარეიტინგო ქულები აქეთ დააკლდა. სხვათა შორის, ამ მოგებით კანადის ნაკრებმა მსოფლიოს 2011 წლის თასის ფინალური ეტაპის საგზური დაიბევა. ამერიკელებს 65,97 ქულა აქვთ.

მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ნაკრები კვლავ ახალ ზელანდიას ჰყავს, „ოლ ბლექს“ 90,68 ქულა აქვს. ზელანდიელებს კვალში სამხრეთაფრიკელები (89,45 ქულა) და ავსტრალიელები (86,32) უდგანან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართული სპორტი

კალათბურთი



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუშინდელ ვარჯიშზე

ავტორის ფოტო

ამხანაგური მატჩი. ახალგაზრდული vs ეროვნული

# ფრე გაფრენის წინ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ოთხკაციანი შემადგენლობით დღეს გამთენიისას ავსტრიაში გაფრინდა. ვენიდან ისინი მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში გადავლენ, სადაც 16 ივლისს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი დაიწყება.

ზედა აბზაცის წაკითხვისთანავე, გაგიჩნდებოდათ ლოგიკური კითხვა: კი მაგრამ, 20-წლამდელთა ნაკრები 4 კაცით ითამაშებს? გიპასუხებთ: ავსტრიის გავლით მხოლოდ ისინი წავიდნენ, ვინც B და D დივიზიონის მატჩების დასრულების შემდეგ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეუერთდებიან: მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი, თორნიკე შენგელია, ლევან შენგელია, ნიკა მეტრეველი**. მათ ავსტრიის გავლით მაკედონიაში ჩასვლამ სავიზო საკითხების გამო მოუწიათ. დანარჩენები სკოპიესკენ გეზს დღეს საღამოს აიღებენ.

ხვალიდან 20-წლამდელთა ნაკრები ერთიანი შემადგენლობით ივარჯიშებს, ხოლო 16 ივლისს პირველ ოფიციალურ შეხვედრას პორტუგალიასთან გამართავს. მატჩების განრიგის ხილვა ქვემოთ შეგიძლიათ, ახლა კი გუშინდელ წვრთნას დავუბრუნდეთ.

დავით უსტიაშვილის გუნდი ისე მოემზადა, რომ ერთი საკონტროლო მატჩი არ ჩაუტარებია. ამიტომ, მწვრთნელმა საქართველოში მოვარჯიშე ეროვნული გუნდის წევრები შეკრიბა და ბოლო დღეს მათ დაუპირისპირდა. წინასწარ ვიტყვით: როგორც ერთი მხარისთვის, ასევე მეორისთვის ამხანაგური მატჩი სასარგებლო იყო - შეხვედრა ახალგაზრდული ნაკრების წევრებსაც და ეროვნულის კალათბურთელებსაც მზადყოფნის შემოწმებაში დაეხმარა.

დავით უსტიაშვილმა სასტარტო ხუთეულში **ბექა წივწივაძე, კოკა ტომარაძე**, თორნიკე შენგელია, ლევან შენგელია და ნიკა მეტრეველი დააყენა. მეტოქე გუნდს, მოდით, პირობითად "მწვანეები" დავარქვათ, რადგან უმეტესობას მწვანე ფერის მაისურები ეცვა. მათ სათადარიგოთა სკამზე სიხალვათე იყო – შეხვედრის დაწყებისას სკამზე მხოლოდ **ბესიკ ლეჟავა** და **მიხეილ ჭოჭუა** ისხდნენ. არსად ჩანდა მწვრთნელი... "მწვანეების" სასტარტო ხუთეულში ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ოთხი კალათბურთელი ვიხილეთ: **ლაშა გამყრელიძე, ვიქტორ სანიკიძე, ანატოლი ბოისა** და **მიხეილ ბერიშვილი**. ცენტრად კი "სასოფლოს" მეფარე **რეზო ათანელიშვილი** ირჯებოდა.

მატჩისას ორი საინტერესო დუელი შედგა. საქართველოს ჩემპიონატში დაწყებული ჭიდაობა ბექა წივწივაძემ და ლაშა გამყრელიძემ "აკადემიას" დარბაზში განაგრძეს. რომელმა გაიმარჯვა, საფინალო ანგარიშის მიხედვით შეგიძლიათ განსაჯოთ, თანასწორთან სპარინგი კი ორივესთვის სასარგებლო იყო.

ვიქტორ სანიკიძეს ახალგაზრდული ნაკრების მძიმე ფორვარდის, ლევან შენგელიას მეურვეობა უწევდა. მათ შორის სიმაღლეში დიდი სხვაობა ნამდვილად არ არის, წონაში კი, თვალსაჩინო... ლევანი ბოლო ორ წელიწადში ფიზიკურად საკმაოდ მოღონიერდა და კუნთების მასაც მოიმატა. კუნთები არც სანიკიძეს აკლია, თუმცა იგი შედარებით ხმელი აღნაგობისაა და საინტერესო სწორედ ის იყო, რომ ვიქტორი სისწრაფის ხარჯზე ცდილობდა ლევანის დაჯაბნას, ხოლო შენგელიამ ერთიორჯერ ვიქტორს დაფარებისას წესების დარღვევა აიძულა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე კალათბურთელი სამქულიანებითაც შეეწია თანაგუდელებს. რომელმა აჯობა, ამასაც საბოლოო ანგარიში მოგვახსენებს...

როგორც ჩანს, ხელი ბოლომდე მოირჩინა თორნიკე შენგელიამ, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებში მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა, პერიმეტრზეც აქტიური იყო და ფარქვეშაც თამამად შედიოდა.

ბექა წივწივაძეს სათანადოდ ცვლიდნენ **მალხაზ აბაიშვილი** და **ლევან ცეკვავა**. მწვრთნელმა, დავით უსტიაშვილმა ფორვარდი **ტატო ჩაჩიბაია** და ნომინალური ცენტრი, **რიჩარდ მათიაშვილი** მატჩში მოგვიანებით შეუშვა. რიჩის კოჭი აქვს დალურჯებული და თამაშისას ფრთხილობდა.

*- ფეხი ახლაც მაწუხებს, თუმცა ნელ-ნელა მიცხრება. ერთი კვირა დავასვენე, ოფიციალურ მატჩებამდე კიდევ სამი დღეა და იმედი მაქვს, რომ მანამდე ტკივილი კიდევ გამივლის, -* გვითხრა რიჩარდ მათიაშვილმა.

აქილევსის მყესები აწუხებს გამთამაშებელ ბექა წივწივაძეს, რომელმაც მატჩის შემდეგ გვითხრა:

*- დღეს აუცილებლად უნდა მეთამაშა, ამიტომ გამაყუჩებელი ნემსი გავიკეთე და მოედანზე ისე გამოვედი. დღევანდელი შეხვედრა ოფიციალური მატჩებისთვის მზადების გენერალური რეპეტიცია იყო.*

ორიოდე სიტყვა თამაშის მსვლელობაზეც ვთქვათ. ერთი მხრივ მწვრთნელი დავით უსტიაშვილი, ხოლო მეორე მხრივ ლაშა გამყრელიძე მეტოქის მცირე დაწინაურებას წუთშესვენებით პასუხობდნენ. შესაბამისად მატჩი თანაბარი გამოდგა, სხვაობა 10 ქულამდე ერთხელაც არ ასულა...

საფინალო ანგარიში ორივე მხარისთვის მისაღები იყო – 86:86.

მატჩის შემდეგ გამოცდილმა სანიკიძემ თანაამპლუელებს – შენგელიებს, ჩაჩიბაიას და მეტრეველს სასარგებლო რჩევები მისცა. ლაშა გამყრელიძემ მეურვე ბექა წივწივაძესთან სამახსოვრო ფოტო გადაიღო. ლაშამ ახალგაზრდული ნაკრების წევრთაგან ერთადერთს, ნიკა მეტრეველს მოუწონა არჩევანი: საუკეთესო ნომერი, ოთხიანი აგირჩევიაო. ნაკრებშიც და "ენერჯიშიც" გამყრელიძე მე-4 ნომრად თამაშობს.

ნომრის შერჩევის გამო კომპლიმენტი თორნიკე შენგელიასაც ერგო. იგი ახალგაზრდულ ნაკრებში შვიდიანია...

გუნდური ფოტოს გადაღების შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა ჩანთა "აისხა" და დარბაზიდან გასვლა დააპირა, თუმცა კართან, რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემამ მოუწია...

**- გუნდის მზადებით რამდენად ხართ კმაყოფილი?**

- ტრავმებმა მზადების პროცესზე უარყოფითი გავლენა იქონია. ბექა წივწივაძეს და რიჩარდ მათიაშვილს ტრავმები ახლაც აწუხებთ. კოკა ტომარაძე მოწამლული იყო და ახლახან მომჯობინდა...

**- ტრავმის გამო გამოგაკლდათ გიორგი შარაბიძე...**

- გიორგი შარაბიძე და ირაკლი გაბისონია... მათ დაემატა დავით მაისურაძესა და გიორგი ჯგერენაიას არყოფნა. დათო უკრაინაშია და შეკრებაზე სწავლის გამო დაუგვიანდა, ხოლო გიორგი ამერიკაშია და ჩამოსვლა ვერ მოახერხა. გარდა ამისა, არ გვეყოლება გიორგი შერმადინი.

**- გუნდი როგორ ფორმაშია?**

- ოპტიმალურ ფორმაში ნამდვილად ვერ ვართ, რადგან ამხანაგური მატჩები არ ჩაგვიტარებია, ტრავმებზე უკვე მოგახსენეთ. თუმცა, ზემოთ თქმულის მიუხედავად, მაკედონიაში იმედიანად მივდივართ, ვიბრძოლებთ, არავის არაფერს დავუთმობთ. A დივიზიონის საგზურის მოპოვება ძალიან რთული იქნება, თუმცა ჩვენ ვეცდებით.

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები**

| მოთამაშე | სმ | დაბ | გუნდი |
|---|---|---|---|
| მალხაზ აბაიშვილი | 183 | 25.04.91 | ენერჯი |
| ტატო ჩაჩიბაია | 200 | 20.01.90 | სასოფლო |
| გიგა კვეტენაძე | 202 | 16.01.90 | ბარბერა (ესპანეთი) |
| ზურაბ მაჭავარიანი | 192 | 22.05.09 | ენერჯი |
| რიჩარდ მათიაშვილი | 207 | 01.01.89 | ავიამშენი |
| ნიკა მეტრეველი | 211 | 14.01.91 | მონტეპასკი (იტალია) |
| გიორგი ნანიტაშვილი | 186 | 12.04.90 | დინამო |
| ლევან შენგელია | 205 | 31.08.90 | როდ აილენდი (აშშ) |
| თორნიკე შენგელია | 207 | 05.01.91 | ვალენსია (ესპანეთი) |
| კოკა ტომარაძე | 197 | 05.07.90 | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ლევან ცეკვავა | 189 | 15.10.89 | ენერჯი |
| ბექა წივწივაძე | 188 | 06.01.89 | სასოფლო |

**მატჩების განრიგი**

| | |
|---|---|
| **16 ივლისი** | |
| 16:15 | საქართველო-პორტუგალია |
| **18 ივლისი** | |
| 20:45 | საქართველო-ლუქსემბურგი |
| **19 ივლისი** | |
| 22:00 | საქართველო-სლოვაკეთი |
| **20 ივლისი** | |
| 18:30 | საქართველო-შვედეთი |

ვაჟა სიმონიშვილი

სატრანსფერო საქმეები

# აეკ? არა...

ლიტვურმა ინტერნეტგამოცემა "ბასკეტმა" გამოაქვეყნა ინფორმაცია **ვიქტორ სანიკიძის** სავარაუდო ტრანსფერის შესახებ. ლიტველები "ტარტუ როკის" წარმომადგენელთა ნათქვამს იშველიებენ და აცხადებენ, რომ ვიქტორის ესტონეთში დაბრუნების შანსი შემცირდა. ამის მიზეზი ქართველი ფორვარდით ბერძნული აეკ-ის დაინტერესებაა.

შეგახსენებთ, რომ აეკ-ს სანიკიძის გადაბირება გასულ შემოდგომაზეც სურდა, თუმცა ვიქტორმა საბერძნეთს "ტარტუ როკი" ამჯობინა.

გუშინდელი ინფორმაციის სიმართლესთან შესაბამისობის გადამოწმება თავად კალათბურთელთან ვცადეთ. ვიქტორმა თავი გადაიქნია.

*- შარშან აეკ-ის ვარიანტი მართლაც იყო. ახლა კი, ამ ბერძნული კლუბის დაინტერესების შესახებ არაფერი გამიგია. აეკ-ის შესახებ არც ჩემს მენეჯერს უთქვამს რამე. ასე რომ, ლიტვური საიტის ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.*

ვიქტორმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისით იტალიური კლუბები არიან დაინტერესებულნი.

ვაჟა სიმონიშვილი



ვიქტორ სანიკიძე

ავტორის ფოტო

მძლეოსნობა

# ილარიანს ისრაელი კარგად აქვს დაცდილი

წლეულს ივნისში საქართველოს მძლეოსანთა ღია ჩემპიონატზე ისრაელის რამდენიმე წარმომადგენელმა წარმატებით იასპარეზა. შეჯიბრების მსვლელობისას სტუმართა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ქართველებიც მიიწვია თავიანთ პირველობაზე. ევროპის მძლეოსანთა საკლუბო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ 10 ქართველი სპორტსმენი საპასუხო ვიზიტით ეწვია ისრაელს. 100 მეტრზე თარჯრბენში თავი ისახელა **დავით ილარიანმა** — მან დისტანცია 13,8 წამში დაფარა და პირადი მაჩვენებელი გააუმჯობესა (შეგახსენებთ, რომ დათომ შარშან სწორედ ისრაელის საერთაშორისო ტურნირზე მოიპოვა პეკინის ოლიმპიადის საგზური). ეს ორმაგად სასიხარულოა, რადგან ილარიანი **მარიამ ქევხიშვილთან** ერთად მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელსაც აგვისტოში ბერლინი უმასპინძლებს. ისრაელში, ასევე, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ შუბის მტყორცნელი **როსტომ ჭინჭარაული** (68,28 მ) და ბირთვის მკვრელი **ზურაბ გიგაია** (17.0 მ). მეორე ადგილებზე გავიდნენ **ლერი ჩიტაიშვილი** (უროს ტყორცნა, 63,11 მ) და **ენდრიკ ზილბერშტეინი** (400 მ., 47,96). ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ **ბოლესლავ სხირტლაძე** (სიგრძეზე ხტომა; 7,39 მ), **თენგიზ ღვინჯილია** (800 მეტრი, 1.51,83) და **ზურაბ გიგაია** (ბადრო, 43.01 მ). კვარცხლბეკს მიღმა მხოლოდ **მერაბ ქინიძე** და **გიორგი ანთელიძე** აღმოჩნდნენ.



დავით ილარიანი

ვაჟა დანელია

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, სპორტის ვეტერანი მუშაკი

თედორე (დავით) გურგენიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე

თედორე (დავით) გურგენიძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე ფედერაციის ალმასკომის წევრის, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის

თედორე (დავით) გურგენიძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

შპს „სპორტმშენსერვისი" მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე

თედორე (დავით) გურგენიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 14, 15.07. 17 საათზე; ირ. აბაშიძის, 53.

გამოსვენება 16.07. 14 საათზე საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

ჭადრაკი

# ოთხი ტურის და გაირკვევა...

ფოთში ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო ფესტივალზე მეხუთე ტურის პარტიები გათამაშდა. 8-წლიან გოგონებში ერთპიროვნული ლიდერი **ნასტასია სიდამონიძე** თეთრი ფიგურებით **გვანცა მარგველაშვილთან** დამარცხდა და მეწინავეობაც მას გადააბარა. ასევე შავი ფიგურებით იმარჯვეს **ანასტასია ხარაზმა** და **ლიკა იმნაძემ**, რომლებმაც, შესაბამისად, **ანი ჯანელიძე** და **თათა კარანაძე** დაამარცხეს. **ელენე კოსტავამ** კი თეთრებით **თეკლა ლომიძეს** სძლია.

ვაჟებში უდანაკარგოდ სამი მოჭადრაკე ლიდერობდა. **ლევან ბაბუხადიამ** და **გიორგი თადუმაძემ** მოწინავე პოზიციები **კოკა ბუკიას** და **ლუკა ბოლქვაძის** ძლევით შეინარჩუნეს.

10-წლიანებში 5 ქულით გათამაშების ცხრილს **ელა სვანიძე** ჩაუდგა სათავეში. გუშინ მან უახლოესი კონკურენტი **მარიამ ბალდავაძე** ჩამოიცილა გზიდან. ელას ნახევარი ქულით ჩამორჩება **თეა ჭოლაძე**, რომელმაც მეხუთე ტურში შავი ფიგურებით **ნინო ჯალალონია** დაამარცხა.

ვაჟებში **ჯონი გოგოხია** და **გურამ კოკაია** მეწინავეობენ, რომლებსაც მხოლოდ ნახევარ-ნახევარი ქულა აქვთ დაკარგული. გუშინ მათ, შესაბამისად, **თენგიზ ხუხუნაიშვილსა** და **ლუკა ასათიანს** სძლიეს.

12-წლიან გოგონებში ლიდერი **მარიამ ჭოლაძე თათია კოხრეიძეს** დაუზავდა. თუმცა პირველი ადგილის ერთპიროვნულად შესანარჩუნებლად ნახევარი ქულაც საკმარისი აღმოჩნდა. მარიამს თითო ქულით ერთბაშად სამი მოჭადრაკე ჩამორჩება. სამაგიეროდ, ვაჟებში ისევ სამეული მეწინავეობს, რადგან **რაფიკ ხაჩატრიანი** (სომხეთი) და **ნოე თუთისანი, ირაკლი კელეპტრიშვილი** და **მამუკა ანთაძე** დაზავდნენ.

16-წლიან გოგონებში მიზანს მიუხლოვდა ევროპის შარშანდელი ჩემპიონი და მსოფლიოს პირველობის ვერცხლის პრიზიორი **მერი არაბიძე**, რომელმაც **დეა ჩაკვეტაძის** ძლევით 5 ქულა მოაგროვა და უახლოეს მდევრებს — **ანა შამათავას** და **თეკლა ფარჯიანს** ქულანახევრით უსწრებს. ვაჟებში ერთპიროვნული ლიდერი **ნოდარ** ლორთქიფანიძე **გიორგი ნიკოლაშვილთან** დამარცხდა და ახლა მეტოქეს თავად ჩამორჩება ნახევარი ქულით.

დღეს VI ტურის შეხვედრებია.

**ვაჟა დანელია**

სუმოს სამყარო

# შავი ზღვა ნაგოიას ბაშოზე ყოჩაღობს

28 წლის პირველი ევროპელი სუმოისტი, რომელმაც იაპონელთა ეროვნულ სპორტის სახეობის ელიტაში შეაბიჯა **კოკაი (ლევან ცაგურია)** ნაგოიას ბაშოზე ჯერაც დაუმარცხებელია. ყოფილი კომუსუბი მე-9 მაეგაშირა **ტაკეკაძეს** დაეჭიდა. „შავი ზღვა" „პატარა „ტანკზე" ძლიერი აღმოჩნდა - კოკაიმ იაპონელი სუკუინაგეს ილეთით დააგდო თიხის დოჰიოზე. ლევანმა მარჯვენა მხარი დაუჭირა ტანმორჩილ (170 სმ) მეტოქეს და შემდეგ გასაქანი აღარ მისცა. კოკაის 2-0 ბალანსი აქვს. შესანიშნავი დასაწყისია აღმოსავლეთის მე-8 მაეგაშირასთვის.



კოკაი

გამარჯვებით დაწყებული საქმე მოგებითვე ველარ გააგრძელა ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტმა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)**. ჩვენებური მისთვის ერთობ მოუხელთებელ მეტოქეს, მე-6 მაეგაშირა **ტამანოშიმას** ხვდებოდა. მათი ორთაბრძოლა ძალზე დაძაბული აღმოჩნდა, ლევანი მარცხენა ხელით აქტიურობდა და შეტევაზე გადასვლას ლამობდა, სწორედ მაშინ დაუჭირა მას მავაში მეტოქემ, ბრძოლა კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა, სანამ დოჰიოს კიდესთან იაპონელმა უვატენაგეს ილეთი არ განახორციელა. ტოჩინოშინის ბალანსი 1-1 გახდა.

აიჩის პრეფექტურის პირთამდე სავსე გიმნაზიუმში მოგებები იზეიმეს ორივე იოკოძუნამ (დიდი ჩემპიონი) და სამმა ოძეკიმ (ჩემპიონი), ოძეკი **ჩიოტაიკაი** კი დოჰიოდან დამარცხებული ჩავიდა. მან იაპონელთა ახალგაზრდა ტალანტ **კისენოსატოსთან** წააგო. სუმოს ისტორიაში 68-ე იოკოძუნა **ასაშორიუ**, რომელიც მოქმედი სუმოისტებიდან ყველაზე ტიტულოვანია (იმპერატორის თასი 23-ჯერ მოიგო) ოს პირველ მაეგაშირა **არანს** შეხვდა. დაჯახებისთანავე ასაშორიუმ ხელთ იგდო არანის მავაში, მაგრამ ოსი ფალავანი არ დაიბნა და აქეთ გადავიდა ჯვარედინი აყვანით შეტევაზე. ამ დროს ასაშორიუმ საოცარი ძალა გამოავლინა და მეტოქე ერთი ამოსუნთქვით გაიყვანა დოჰიოს მიღმა. დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** ამოცანა მეტოქემ გაუმარტივა, ბრძოლისას **გოეიდო** საკმაოდ დაბლა დაიხარა და ჰაკუჰო მას მოხერხებულად გამოეცალა. გამარჯვებით დაასრულა დღე თასის დღევანდელმა მფლობელმა **ჰამურაფუჯიმაც**, ვინც იოლად მოერია 175-კილოიან **ივაკიამას**. ჰარუმაფუჯი ცუნატორის პოზიციაშია, რაც დიდი ჩემპიონის ტიტულის კანდიდატობას გულისხმობს.

ჩვენი მესამე თანამემამულე პროფესიულ სუმოში **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** გუშინ ისვენებდა. დღეს მაკუშიტას დივიზიონის მე-5 ფალავანი ფუკუოკას (მე-4 მაკუშიტა) შეხვდება. გაგამარუს 1-0 ბალანსი აქვს.

**II დღე**

| | | |
|---|---|---|
| 1:0 | ჰომაშო (მ 15)-ვაკაკოიუ (მ 16) | ოშიდაში |
| 0:1 | შიმოტორი (მ 14)-კასუგაო (მ 15) | იორიტაოში |
| 1:0 | ტოსაიუტაკა (მ 14)-დეჯიმა (მ 13) | იორიკირი |
| 0:1 | ასასეკირიუ (მ 12)-ფუტენო (მ 13) | იორიტაოში |
| 0:1 | იოშიკაძე (მ 12)-ტამავაში (მ 11) | ოშიდაში |
| 1:0 | შოტენრო (მ 10)-იამამოტოიამა (მ 11) | ოშიდაში |
| 1:0 | ტოკიტენკუ (მ 10)-ტოჩინონადა (მ 9) | ოშიდაში |
| 1:0 | კოკაი (მ 8)-ტაკეკაძე (მ 9) | სუკუინაგე |
| 0:1 | კაკიძოე (მ 8)-მოკონამი (მ 7) | ცუკიოტოში |
| 0:1 | ბუშუიამა (მ 6)-ტოიონოშიმა (მ 7) | კატასუკაში |
| 1:0 | ტამანოშიმა (მ 6)-ტოჩინოშინი (მ 5) | უვატენაგე |
| 0:1 | მიაბიამა (მ 4)-ამინიშიკი (მ 5) | ჰიკიოტოში |
| 0:1 | ტაკამისაკარი (მ 4)-ბარუტო (მ 3) | იორიკირი |
| 1:0 | კაკურიუ (ს)-ტოიოჰიბიკი (მ 2) | უვატედაშინაგე |
| 1:0 | ჰარუმაფუჯი (ო)-ივაკიამა (მ 3) | იორიკირი |
| 0:1 | ჩიოტაიკაი (ო)-კისენოსატო (ს) | ოშიდაში |
| 0:1 | კიოკუტენჰო (კ)-კოტომიცუკი (ო) | იორიკირი |
| 1:0 | კაიო (ო)-კოტოშოგიკუ (კ) | იორიკირი |
| 0:1 | ტოჩიოძანი (მ 2)-კოტოოშუ (ო) | უვატენაგე |
| 1:0 | ჰაკუჰო (ი)-გოეიდო (მ 1) | ჰატაკიკომი |
| 0:1 | არანი (მ 1)-ასაშორიუ (ი) | ცურიდაში |

**III დღე**

| | |
|---|---|
| ჰაკუჰო (2-0) | არანი (0-2) |
| გოეიდო (1-1) | ასაშორიუ (2-0) |
| კაიო (1-1) | ტოჩიოძანი (0-2) |
| ტოიოჰიბიკი (0-2) | კოტომიცუკი (2-0) |
| ჩიოტაიკაი (1-1) | კიოკუტენჰო (0-2) |
| ჰარუმაფუჯი (2-0) | კოტოშოგიკუ (0-2) |
| კაკურიუ (1-1) | კოტოოშუ (2-0) |
| ივაკიამა (1-1) | კისენოსატო (1-1) |
| ამინიშიკი (1-1) | ბარუტო (2-0) |
| მიაბიამა (0-2) | ტაკამისაკარი (1-1) |
| ტოიონოშიმა (1-1) | ტოჩინოშინი (1-1) |
| ბუშუიამა (0-2) | ტამანოშიმა (2-0) |
| ტაკეკაძე (0-2) | მოკონამი (1-1) |
| კოკაი (2-0) | ტოჩინონადა (0-2) |
| იამამოტოიამა(0-2) | კაკიძოე (1-1) |
| შოტენრო (2-0) | ტამავაში (1-1) |
| იოშიკაძე (0-2) | ტოკიტენკუ (2-0) |
| ასასეკირიუ (1-1) | შიმოტორი (0-2) |
| ფუტენო (2-0) | ტოსაიუტაკა (1-1) |
| ვაკაკოიუ (0-2) | დეჯიმა (1-1) |
| ჰომაშო (მ 15) | კასუგაო (2-0) |

**დღის ილეთი**

სუკუინაგე (უქამრო გდება)



ეს ილეთი გუშინ მხოლოდ ჩვენმა თანამემამულე **კოკაიმ** განახორციელა წარმატებით. ილეთის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სუმოისტი მეტოქეს ისე აგდებს მის მავაშს არ ეხება. შემტევი ხელს გადააჭდობს მეტოქეს ზურგზე, შემდეგ უეცრად გამოეცლება მას და თან წინ კრავს ხელს. გვერდული გდებით მეტოქე დოჰიოზე ეცემა.

**ქართველთა დღევანდელი მეტოქეები**



**ტოჩინოშინი ტოიონოშიმას** წინააღმდეგ: 1:0

**ტოიონოშიმა** - მე-7 მაეგაშირა 26 წლის, 169 სმ, 150 კგ, ყოფილი სეკივაკე



**კოკაი ტოჩინონადას** წინააღმდეგ: 8:5

**ტოჩინონადა**: მე-9 მაეგაშირა, 35 წლის, 187 სმ, 164 კგ, ყოფილი სეკივაკე

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ბადეს კვერნაძე დააკლდა

გუშინ ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თასის გათამაშების პირველი წრის ოთხი შეხვედრა გაიმართა ერთეულთა თანრიგში. სამ ორთაბრძოლაში ქართველები მონაწილეობდნენ.



გიორგი ცივაძე

უკრაინელმა **ივან ანიკანოვმა** (860), რომელიც ტურნირზე მე-8 ნომრად არის განთესილი, პირველ სეტში შედარებით იოლად სძლია სომეხ **დავით მინასიანს** — 6:4, მეორე ხელი კი უფრო დაძაბული გამოდგა, თუმცა უკრაინელმა ჩოგბურთელმა ისიც მოიგო (7:5) და ხვალ **ბექა ბუჩუკურსა** და ბრიტანელ **ჯეიმს ფევერას** შორის უძლიერესს დაუპირისპირდება.

**დავით კვერნაძემ** სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია არც ისე ძლიერ ბელარუს **პაველ კატლიაროვს**, რომელიც რეიტინგში მხოლოდ 1234-ეა. კვერნაძემ ორივე ხელი დათმო, შესაბამისად, 3:6, 0:6 და ქართველთაგან პირველი დაემშვიდობა თასის გათამაშებას.

ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან მოხვედრილ **გიორგი რევაზიშვილს** იტალიელი **ლორენცო ჯიუსტინო** (1115) მეტოქეობდა. პირველი სეტი დრამატულად წარიმართა. როცა ანგარიში იყო 5:4 სტუმრის სასარგებლოდ, რევაზიშვილი საკუთარ მოწოდებაზე 0:30-ს აგებდა. ეტყობა ლორენცომ ნაადრევად ირწმუნა წარმატება და დაისაჯა კიდეც — ქართველმა ჩოგბურთელმა ის გეიმიც მოიგო და შემდეგ სეტიც 7:6, მეორე ხელში კი იოლად გაუსწორდა მეტოქეს — 6:2 და ხვალ **ედინ პელეჯსა** (ისრაელი) და **ბარი ქინგს** (ირლანდია, 807) შორის გამარჯვებულს შეხვდება.

იტალიელმა **მატეო მარფიამ** (1683), **გიორგი ცივაძის** მსგავსად, მთავარი პრიზისთვის ბრძოლა საკვალიფიკაციოდან დაიწყო. წილისყრამ გუშინ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირა. იტალიელი ძლიერი მოწოდებით გამოირჩეოდა. სანამ ცივაძე ალღოს აუღებდა მისი თამაშის მანერას, პირველი სეტი წააგო კიდეც — 2:6, აი, მეორე და მესამეში კი ცივი შხაპი გადაავლო მეტოქეს — 6:4, 6:3 სძლია და მერვედფინალში, ალბათ, საკმაოდ ძლიერ ჩოგბურთელს — რეიტინგში 302-ე ადგილზე მყოფ უკრაინელს **ივან სერგეევს** (ვფიქრობ, მას პირველ წრეში ურეიტინგო სომეხის — **ტორგომ ასატრიანის** დამარცხება არ გაუჭირდება) დაუპირისპირდება.

გუშინვე ცივაძემ წყვილთა ტურნირშიც მოსინჯა ძალები **სოზარ გოქაძესთან** ერთად. პირველი სეტი მათ დაძაბულ ბრძოლაში მოუგეს **დემეტრე თაქთაქიშვილსა** და უკრაინელ **ალექსანდრ კუშნაროვს** — 7:6, სამაგიეროდ, მეორე ხელი დათმეს 3:6, ტაიბრეიქზეც დამარცხდნენ 5:10 და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

პირველი წრის დანარჩენი ორთაბრძოლები დღეს 10 საათზე დაიწყება.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდე კოტორაშვილის ფოტო

# კალაშნიკოვა საქართველოს მეორე ჩოგანია

ქალ ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტში ჩვენთვის ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, 18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** კლასიფიკაციაში თანამემამულე **მაკა ჩახნაშვილს** გადაასწრო და საქართველოს მეორე ჩოგანი გახდა. თუმცა მივყვეთ სიას თანმიმდევრობით - 19 წლის **ანა ტატიშვილი** საქართველოს პირველი და მსოფლიოს 188-ე ჩოგანია. ანამ ერთ კვირაში სამი საფეხურით წაიწია წინ, მას 308 ქულა აქვს. მისმა მონაგარმა კარიერაში 120 ათასი ამერიკული დოლარი შეადგინა. ოქსანა კალაშნიკოვას ტორუნის საერთაშორისო ტურნირის (პოლონეთი, 25 ათასი $) მოგებისთვის კუთვნილი 50 ქულა დაერიცხა, ჯამში 227 გაუხდა და 31 ადგილით დაწინაურდა, დღეიდან ოქსანა კარიერის ახალ, უმაღლეს ნიშნულზეა, იგი მსოფლიოს 237-ე ჩოგანია. მაკა ჩახნაშვილს კი შარშან პალერმოს WTA-ს ტურნირის მეოთხედფინალში გასვლისთვის მოპოვებული 74 ქულა დაკარგა, ჯამში 210 დარჩა და მსოფლიოს 249-ე (-39) ჩოგნობამდე დაქვეითდა. თითქმის თვეა 20 წლის **სოფიო შაფათავას** რეიტინგში ცვლილება არ ეხება, ის კვლავ 273-ე ჩოგანია 174 ქულით. სხვები: 513 (-6) **ეკა გორგოძე** - 62 ქულა; 537 (-1) **სოფიო ქვაცაბაია** - 58; 713 (+10) **მანანა შაფაქიძე** - 31; 965 (-62) **სოფიო მელიქიშვილი** - 12.

ვაჟთა რეიტინგში ჩვენს პირველ ჩოგანს, **ირაკლი ლაბაძეს** შევინგენის ჩელენჯერში შარშან მიღებული ქულები დააკლდა და ის 128 საფეხურით დაქვეითდა. ირაკლი დღეისათვის მსოფლიოს 610-ე ჩოგანია. თუმცა არა გვგონია, ლაბაძისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, ჩვენმა ვარსკვლავმა ვერაფრით მოირჩინა ხელის ტრავმა და თითქმის გამორიცხულია, ის კორტებს დაუბრუნდეს. 8 ადგილით წინ წაიწია 17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა**, რომელიც 33 ქულით მსოფლიოს 749-ე ჩოგანია. ეს ნიკას კარიერის მორიგი მიღწევაა. 11 ადგილით დაწინაურდა **ლაზარე კუხალაშვილი**, რომელიც 21 ქულით კლასიფიკაციაში 876-ეა. ჩვენი კიდევ ერთი ვარსკვლავი, რომლის კარიერაც სავარაუდოდ დასრულდა, **ლადო ჩიხლაძე** მსოფლიოს 932-ე (+5) ჩოგანია. სხვები: 1348 (+8) **ნოდარ ითონიშვილი** - 4 ქულა; 1483 (+15) **ბექა ბუჩუკური** - 2; 1553 (+12) **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 2.

ანა ტატიშვილი ჩეხეთის დედაქალაქში, WTA-ს ტურნირში ცდიდა ბედს. ჩვენი პირველი ჩოგანი „პრაღის ღია პირველობის" ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში იყო გასული და ძირითად ბადეში მოსახვედრად ფრანგი **კრისტინა მლადენოვიჩის** (326) დამარცხებალა ესაჭიროებოდა. 16 წლის ფრანგი სულაც არ იყო მატჩის ფავორიტი, მაგრამ ანამ მას ვერაფერი მოუხერხა და ორ სეტში დამარცხდა - 4:6, 5:7. თამაში საათსა და 40 წუთს გაგრძელდა და საკმაოდ დაძაბული გამოდგა.

ფრანგულ კონტრექსვილში, ქალ ჩოგბურთელთა 50-ათასიანი ტურნირი იწყება, რომლის ძირითად ბადეში სოფიო შაფათავა ითამაშებს. ქართველის პირველი მეტოქე რუმინელი **ელორა დაბია** (313) გახლავთ. წყვილთა თანრიგში სოფიო შვედ **მიკაელა იოჰანსონს** (499) შეუწყვილდა.

ატლანტის (აშშ, 10 ათასი $) ტურნირის ძირითად ბადეში გასვლას **მაგდა ოქრუაშვილი** ლამობს. მაგდამ პირველ საკვალიფიკაციო წრეში ამერიკელ **დანიელა ლაოს** აჯობა - 7:5, 3:6, 6:3. მეორე წრეში მაგდა კანადელ **სარა ლაზარევიჩს** ეთამაშება. თურქულ იზმირში (10 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში ორი ჩვენებური იყო, **სოფიო შარანგია** პირველ შეხვედრაში ისვენებდა, ხოლო **ანა ჯიქიამ** უკრაინელ **მარინა ჟურბასთან** წააგო - 4:6, 2:6. შარანგია მეორე წრეში იტალიელ **კონსტანცა მეკისთან** მატჩში გავარდა - 2:6, 3:6. ძირითად ბადეში ორი ჩვენებურია, მე-4 ნომრად სოფიო ქვაცაბაია განთესეს, გაზიანთეფის ტურნირის ფინალისტი მანანა შაფაქიძე კი განუთესავია. ქვაცაბაია თურქ **ბაშაკ ერაიდინს** ეთამაშება, ხოლო შაფაქიძე - ზელანდიელ **ჩელსი ტე ტაის**. იზმირის ტურნირის მონაწილე ოთხივე ქართველი წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეშია, ოთხივემ პარტნიორად უცხოელი აირჩია.

■ ■ ■

ვაჟ ჩოგბურთელთა მცირე საერთაშორისო ტურნირი (15 ათასი $) აშშ-ის ილინოისის შტატში მიმდინარეობს. საკვალიფიკაციო ბადეში ბედი **მიხეილ ჩადუნელმა** სცადა, რომელიც დიდი ხანია აღარ გამოჩენილა კორტებზე. ჩადუნელმა პირველ წრეში მან **ბენ გონსალესი** (აშშ) ჩამოიცილა - 6:1, 6:1. მეორე წრეში მან ამერიკელ **მაიკლ მურთან** წააგო - 2:6, 4:6 და გავარდა. ამავე ტურნირის ძირითად ბადეში ნიკოლოზ ბასილაშვილი ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი



# ლეიკერსი ოდომს იტოვებს

ევროპული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი "ლოს ანჯელეს ლეიკერსი" სავარაუდოდ, სულ მალე გააფორმებს ახალ კონტრაქტს თავისუფალ აგენტ **ლამარ ოდომთან.**

სხვადასხვა წყაროს ცნობით, ოდომს წლიური ხელფასის სახით 10 მილიონი დოლარის მიღება სურს, "ლეიკერსს" კი, რომელმაც უკვე გადააჭარბა სახელფასო ბიუჯეტის ლიმიტს, კალათბურთელისთვის მხოლოდ 7 მილიონის შეთავაზება შეუძლია. თუმცა კალიფორნიული კლუბის გენერალური მენეჯერის ასისტენტის **რონი ლესტერის** სიტყვებით, ამ მომენტისთვის კალიფორნიელები მზად არიან, დაახლოებით 8 მილიონი გაიმეტონ ვეტერანი ფორვარდისთვის. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ახალ ხელშეკრულებას ამ კვირას მოეწერება ხელი.

შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს "ლეიკერსი" ლიგაში ერთ-ერთი მთავარი გარიგების ავტორი გახდა, როცა "ჰიუსტონ როკეტსის" ყოფილი კალათბურთელი **რონ არტესტი** გადაიბირა, თუმცა ვერ შეინარჩუნა თავისუფალი აგენტი **ტრევორ არიზა**, რომელმაც "ჰიუსტონში" ამოყო თავი.

■ ■ ■

"ფინიქს სანზის" ცენტრი **ამარე სტაუდმაიერი** გასულ კვირას დაბრუნდა მწყობრში, მაგრამ, როგორც ირკვევა, მას თვალზე განმეორებითი ოპერაციის გაკეთება მოუწევს. ამის გამო, გარკვეული ხნით გადაიდება კალათბურთელის მოედანზე დაბრუნება.

გასული ჩემპიონატის მსვლელობისას, კერძოდ კი ხუთი თვის წინ, სტაუდმაიერმა თვალის ოპერაცია გაიკეთა. ამიტომაც, ამარემ მხოლოდ 53 მატჩში მიიღო მონაწილეობა. მისი საშუალო მონაგარი 21.4 ქულა და 8.1 მოხსნა იყო.

■ ■ ■

"პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა" შეთანხმებას მიაღწია მთავარ მწვრთნელ **ნეიტ მაკმილანთან** და მასთან 2010-11 წლების სეზონის ბოლომდე გაახანგრძლივა კონტრაქტი.

გასულ სეზონში, 44 წლის სპეციალისტის ხელმძღვანელობით "პორტლენდმა" არსებობის ისტორიაში მეექვსე შედეგი აჩვენა (54 გამარჯვება რეგულარულში) და 2003 წლის შემდეგ პირველად გავიდა პლეი ოფში.



# რუბიოზე ესპანელები ნადირობენ

არ ცხრება აჟიოტაჟი 18 წლის ესპანელი ვარსკვლავის **რიკი რუბიოს** გარშემო. "მინესოტას" მიერ დრაფტზე არჩეული გამთამაშებელი არ ჩქარობს ამერიკაში გადასვლას და შესაბამისად, წამყვან ესპანურ კლუბებს მისი გადაბირების იმედი გაუჩნდათ.

პირველი წინადადებით რუბიოს "უნიკახამ" მიმართა. მან სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა კალათბურთელს, რომლის მიხედვითაც რიკის წლიური ხელფასი 1.1 მილიონი ევრო იქნება. გარდა ამისა, "უნიკახა" რუბიოს ამჟამინდელ კლუბს "ხუვენტუდს" 3 მილიონ ევროს სთავაზობს ახალგაზრდა კალათბურთელის შესაძენად.

იმავე დღეს, რუბიოს მადრიდის "რეალიც" დაუკავშირდა. "სამეფო კლუბის" მიერ შეთავაზებული პირობებიდან მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მადრიდელები ორწლიან თანამშრომლობას სთავაზობენ ესპანეთის ნაკრების გამთამაშებელს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# ალგერსუარის უნგრეთში დებიუტისთვის ამზადებენ

## ტორო როსოში ბურდეს დღეები დათვლილია

ესპანელი **ხაიმე ალგერსუარი** ფორმულა 1-ის ყველაზე ახალგაზრდა პილოტი გახდება. მის დებიუტს "ტორო როსოს" ბოლიდით 26 ივლისს, უნგრეთის გრან-პრიზე ელიან.

ეჭვი არავის ეპარება, რომ "ჰუნგარორინგზე" ხაიმეს დებიუტი აუცილებლად შედგება. "ტორო როსოს" ფრანგ პილოტ **სებასტიან ბურდესთან** კონტრაქტის გაუქმების შესახებ ოფიციალურ განცხადებას უახლოესი 48 საათის განმავლობაში გამოაქვეყნებენ, მისი შემცვლელი კი ახალგაზრდა ესპანელი გახდება, რომელსაც დებიუტის დღეს 19 წელი და 125 დღე შეუსრულდება.



ჯერჯერობით, რეკორდის მფლობელი ზელანდიელი **მაიკ ტაკუელია.** მან 1980 წელს, კანადის გრან-პრიზე "ტირელის" მანქანით მაშინ ირბოლა, როცა 19 წლისა და 182 დღის იყო. ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა **რიკარდო როდრიგესი.** ის 19 წლისა და 208 დღის იყო, როცა "ფერარის" ბოლიდით 1961 წლის იტალიის გრან-პრიზე მოსინჯა ძალები.

საერთოდ, ბურდეს "ტორო როსოდან" წასვლისა და მისი მემკვიდრის შესახებ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. ფრანგის ერთ-ერთ შემცვლელად ლეგენდარული რალისტი **სებასტიან ლოებიც** კი დაასახელეს, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა და უარყო ჭორი, თითქოს "ტორო როსოში" აპირებდეს გადასვლას.

*"ჩემი პრიორიტეტი რალის მსოფლიოს ჩემპიონატია. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ავტომრბოლი ოცნებობს ფორმულა 1-ში მოხვედრაზე, თუმცა ახლა მხოლოდ რალიში მსოფლიოს ჩემპიონის მორიგი ტიტულის მოპოვებაზე ვფიქრობ. მთელი ჩემი ენერგია ამისკენ არის მიმართული"*, - ამბობს ლოები.



კრივი

# დიდი ბრძოლა დაინიშნა

ოფიციალურად დადასტურდა, რომ უკრაინელი მძიმეწონოსანი **ვიტალი კლიჩკო** თავის მომდევნო ბრძოლას ბრიტანელი **დევიდ ჰეის** წინააღმდეგ გამართავს. ჩხუბი 2009 წლის 12 სექტემბერს გერმანიაში გაიმართება და უფროსი კლიჩკო სუპერმძიმე წონაში WBC-ის საჩემპიონო ქამარს დაიცავს. უკრაინელი ამ ბრძოლისთვის მზადებას აგვისტოში ავსტრიაში დაიწყებს.

ერთი პირობა ვიტალი WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ **ნიკოლაი ვალუევთან** შეხვედრას აპირებდა. ამის შესახებ უკრაინელმა ივნისში გამოაცხადა, მაგრამ მოგვიანებით, კლიჩკოების მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** განაცხადა, რომ რუსთან ბრძოლა ვიტალის ინტერესებში არ შედის.

დევიდ ჰეისა და ვიტალი კლიჩკოს ბრძოლას ამერიკაში ტელეარხი HBO გადასცემს, ბრიტანეთში - BBC.

ჭადრაკი

# კრამნიკი მეცხრედ

დორტმუნდის საჭადრაკო სუპერტურნირის გამარჯვებული რუსი დიდოსტატი **ვლადიმერ კრამნიკი** გახდა. მან გერმანიის ამ ქალაქში უკვე მეცხრედ მოიპოვა მთავარი პრიზი.

ბოლო, მეათე ტურში კრამნიკმა ამავე ტურნირის 2005 წლის გამარჯვებული, გერმანელი **არკადი ნაიდიჩი** დაამარცხა და ათი შესაძლებლიდან 6.5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

კრამნიკი პირველი მოჭადრაკე გახდა ისტორიაში, ვინც სეზონის სამი მთავარი ტურნირიდან ერთ-ერთი ცხრაჯერ მოიგო. ახლა რუსი დიდოსტატის ამ მიღწევას გინესის რეკორდების წიგნში შეიტანენ.

დორტმუნდში მეორე, მესამე და მეოთხე ადგილი სამმა დიდოსტატმა გაიყო - უნგრელმა **პეტერ ლეკომ**, ნორვეგიელმა **მაგნუს კარლსენმა** და რუსმა **დმიტრი იაკოვენკომ**, რომლებმაც 5.5-5.5 ქულა მოაგროვეს. ოთხი ქულით მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა ფრანგი **ეტიენ ბაკრო**, ბოლო ადგილზე კი **ნაიდიჩი** გავიდა (3 ქულა).

კრივი

# გატი ცოლმა მოკლა?

ბრაზილიის პოლიციამ ორი დღის წინ დაღუპული მოკრივის, **არტურო გატის** მეუღლე **ამანდა როდრიგესი** დააკავა. 23 წლის ქალბატონი მსოფლიოს ექსჩემპიონის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. როგორც სააგენტო AP-ი იუწყება, როდრიგესის დაკავება დაკითხვაზე მისი ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების შემდეგ გადაწყვიტეს.

კანადელი მოკრივის ცოლმა დაკითხვაზე პოლიციას მოუყვა, რომ 10 ივლისის საღამოს, მან და არტურომ იჩხუბეს, რის შედეგადაც, ქალს ნიკაპსა და იდაყვზე ნაიარევი დარჩა. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ გატი მთვრალი იყო და მართლაც ეჩხუბა მეუღლეს. ნომერში დაბრუნების შემდეგ, სპორტსმენი მაშინვე დასაძინებლად გაეშურა. როგორც როდრიგესი ამტკიცებს, მას დილის ექვს საათზე გაეღვიძა, ქმარს დაუძახა, მაგრამ ის არ გამოეხმაურა. ქალმა იფიქრა, რომ გატის ეძინა. ცხრა საათზე, როცა მეუღლის გაღვიძება სცადა, ამანდამ აღმოაჩინა, რომ მოკრივე მკვდარი იყო. ამანდა ამტკიცებს, რომ მისი ქმარი იმან მოკლა, ვინც მასთან ერთად მივიდა ნომერში.

პერნამბუკუს შტატის პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდრიგესმა გასაგებად ვერ აუხსნა პოლიციელებს, ქმართან ერთ ოთახში ამდენი ხანი ყოფნის დროს, როგორ ვერ მიხვდა, რომ გატი მკვდარი იყო.

სპორტსმენის სიკვდილის მიზეზი ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ პოლიციის წინასწარი ინფორმაციით, გატი გაგუდეს - მოკრივის კისერზე სახასიათო ტრავმები აღმოაჩინეს, მის ნომერში კი იპოვეს მკვლელობის სავარაუდო იარაღი - ქალის ჩანთის ზონარი, რომელსაც სისხლის კვალი აჩნდა. გარდა ამისა, გატის ტრავმა კეფის არეშიც ჰქონდა, რომელიც ჯერ გაურკვეველი საგნით არის მიყენებული.

შეგახსენებთ, რომ კანადელი მოკრივის სხეული დილის 11 საათზე ქალაქ პორტუ-დე-გალინიასის ერთ-ერთ სასტუმროში აღმოაჩინეს. ბრაზილიაში გატი მეუღლესთან და ერთი წლის ვაჟთან ერთად ჩავიდა დასასვენებლად. მოკრივის ახლო მეგობრის, ბრაზილიელი მოკრივის **ასელინო ფრეიტასის** თქმით, გატი და როდრიგესი ბოლო დროს ხშირად ჩხუბობდნენ და გაყრა ჰქონდათ გადაწყვეტილი. მიზეზი ეჭვიანობა იყო. მაგალითად, გატის არ მოსწონდა ტანსაცმელი, რომელსაც როდრიგესი ბრაზილიაში ყოფნისას ატარებდა.

პოლიციის წარმომადგენლებმა სააგენტო AP-ის განუცხადეს, რომ ამანდა როდრიგესისთვის ოფიციალურად აპირებენ ბრალის წაყენებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი

# ფავორიტთაგან ესპანეთმა გაამართლა



დევისის თასის მეოთხედფინალური ეტაპის შემდეგ, ვერცხლის სასალათისთვის ბრძოლას ბოლო წლების ტრადიციული ლიდერები გამოეთიშნენ. ეს ეხება რუსეთის, არგენტინისა და ამერიკის ნაკრებებს. ფავორიტის სტატუსი მხოლოდ მოქმედმა ჩემპიონმა ესპანეთმა დაამტკიცა, რომელსაც უმძიმესი ბრძოლა გადახდა თავს გერმანიის ნაკრებთან.

## ჩეხეთი-არგენტინა 3:2

შარშანდელმა ფინალისტმა არგენტინამ კიდევ ერთი წლით უნდა გადადოს დევისის თასზე არსებობის ისტორიაში პირველი ტრიუმფი. **დავიდ ნალბანდიანის** არყოფნაში სამხრეთამერიკელები **ხუან მარტინ დელ პოტროს** იმედად იყვნენ, მაგრამ მსოფლიოს მეხუთე ჩოგანის კარგი თამაში საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვების მისაღწევად.

დელ პოტრომ თავისი ორივე შეხვედრა მოიგო - სამ სეტში დაამარცხა ჯერ **ივო მინარი** და შემდეგ **ტომაშ ბერდიხი**. სწორი ტაქტიკა აირჩია ჩეხების კაპიტანმა **იაროსლავ ნავრატილმა**, რომელმაც პირველ დღეს დაასვენა თავისი გუნდის ლიდერი **რადეკ შტეპანეკი** და ის დელ პოტროსთან თამაშს მოარიდა. ჩეხების ვეტერანმა ხმამაღალი სიტყვა შაბათისა და კვირის შეხვედრებში თქვა, როცა დიდი წვლილი შეიტანა წყვილებს შორის მატჩის მოგებაში, კვირას კი მეხუთე გადამწყვეტ შეხვედრაში **ხუან მონაკოს** გაუსწორდა და ნახევარფინალში გაიყვანა თავისი გუნდი.

## ხორვატია-აშშ 3:2

დევისის თასის 32-გზის ჩემპიონის ხორვატიასთან წაგება მოულოდნელი არ ყოფილა. უიმბლდონზე მიღებული ტრავმის გამო, ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა **ენდი როდიკმა** და ამერიკა ბოლო დროს ფორმიდან ამოვარდნილი **ჯეიმს ბლეიკისა** და **მარდი ფიშის** იმედად დარჩა.

პარასკევს, ბლეიკმა ვერაფერი მოუხერხა **ივო კარლოვიჩის** საფირმო მოწოდებებს და მატჩის შემდეგ აღნიშნა, რომ ხორვატს ხანდახან ის კლოუნის როლში გამოჰყავდა კორტზე. ობიექტურად რომ ვთქვათ, სწორედ ამ მატჩის შემდეგ მინიმუმამდე დავიდა ამერიკელთა შანსები. მარდი ფიშმა ბოლომდე იბრძოლა **მარინ ჩილიჩთან**, მაგრამ იძულებული გახდა ხუთ სეტში დანებებოდა ხორვატთა ლიდერს. კვირას კი ჩილიჩი ბლეიკსაც გაუსწორდა და ეს იყო მესამე, გამარჯვების მომტანი ქულა ხორვატიისთვის.

როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ ძმები **ბრაიანები**, რომლებმაც იოლად მოიგეს წყვილთა მატჩი. **ბობ ბრაიანმა** კვირას ერთეულთა მატჩშიც გაიმარჯვა, მაგრამ ეს უკვე აღარაფერს წყვეტდა. სხვათა შორის, ეს გუნდები დევისის თასზე მესამედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და სამივეჯერ გამარჯვება ხორვატიას დარჩა.

ხორვატია ნახევარფინალსაც შინ ითამაშებს - ჩეხეთის წინააღმდეგ. ეს იქნება ამ გუნდების პირველი დაპირისპირება დევისის თასზე.

## ესპანეთი-გერმანია 3:2

ამ მატჩში ყველაზე დაძაბული ბრძოლა ვიხილეთ, რაც გასაკვირია იმის გათვალისწინებით, რომ ესპანეთი მოქმედი ჩემპიონი გახლავთ. პირველი დღის შემდეგ ანგარიში იყო 1:1 - თავიანთი მატჩები მოიგეს **ფერნანდო ვერდასკომ** (ხუთ სეტში **ანდრეას ბეკთან**) და **ფილიპ კოლშრაიბერმა**, რომელმაც დამაჯერებლად დაამარცხა **ტომი რობრედო**.

ძალიან დიდი ფასი ჰქონდა წყვილთა თამაშს, რომელიც ესპანელების გამარჯვებით დასრულდა, ასე რომ, კვირას მასპინძლებს ერთი მოგება სჭირდებოდათ. მაგრამ თავიდან კოლშრაიბერმა მორიგი გმირობა ჩაიდინა - მარბელიაში თიხნარზე ვერდასკოს დამარცხება ძალიან ბევრს ნიშნავს. თუმცა გერმანელს ბევრჯერ დაუმტკიცებია, რომ მისთვის ავტორიტეტები არ არსებობენ.

მეოთხედფინალის ბედი მეხუთე შეხვედრაში უნდა გარკვეულიყო. ესპანელების კაპიტანმა **ალბერტო კოსტამ** სწორი გადაწყვეტილება მიიღო: ტომი რობრედო ვეტერანი **ხუან-კარლოს ფერეროთი** შეცვალა, რომელმაც შესანიშნავი ფორმა აკრიფა - უიმბლდონის მეოთხედფინალში და "ქუინზ ქლაბის" ნახევარფინალში გასვლა ნამდვილად პატივისცემას იმსახურებს. ასე რომ, 23 წლის ანდრეას ბეკი ვერ იქნებოდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის ღირსეული მოწინააღმდეგე. ნაკრებში ხუთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნება ფერერომ სამ სეტში მოგებით აღნიშნა და ესპანეთის ნაკრები ნახევარფინალში ისრაელის ნაკრებზე გაიყვანა.

## ისრაელი-რუსეთი 4:1

მთავარი სენსაცია სწორედ რუსეთის ნაკრების დამარცხება იყო. მართალია, ამ გუნდს ლიდერი **ნიკოლაი დავიდენკო** აკლდა, მაგრამ რუსების ასეთ უშანსო წაგებას მაინც არავინ ელოდა. მატჩის ბედი პირველი ორი დღის შემდეგ გადაწყდა. **ანდრეევმა** და **იუჟნიმ** საკმაოდ იოლად დათმეს თავიანთი მატჩები **სელასთან** და **ლევისთან**. რუსებს ვერც ვეტერანმა **მარატ საფინმა** უშველა, რომელმაც შაბათს წყვილებში ითამაშა. შედეგად, კვირას გასამართმა მატჩებმა ყოველგვარი აზრი დაკარგა.

სტუმრების კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა** განაცხადა, რომ დავიდენკოს არყოფნაში გუნდების კლასი გათანაბრდა და მისი გუნდის წაგება გასაკვირი არ ყოფილა.

ნახევარფინალები 18-20 სექტემბერს გაიმართება.

ველოსპორტი

# ლენსი გაისადაც იბრძოლებს

ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** განაცხადა, რომ სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ მიიღებს მონაწილეობას ტურ დე ფრანსზე.

*"ვფიქრობ ეს არ იქნება ტურზე ჩემი ბოლო გამოსვლა. შესაძლოა, გაისად კიდევ ერთ რბოლაში მივიღო მონაწილეობა"*, - მოჰყავს არმსტრონგის სიტყვები სააგენტო AP-ის.

რთული სათქმელია, რატომ აპირებს ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი კიდევ ერთი სეზონით დიდ სპორტში დარჩენას, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკელის ველოსპორტში დაბრუნებამ, აშკარად აამაღლა სპორტის ამ სახეობისადმი სპორტული ჟურნალისტების ინტერესი. ეს ინფორმაცია გუშინ, ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირის (ICU) პრეზიდენტმა **პეტ მაკუეიდმა** დაადასტურა.

*"არმსტრონგით ყველა ინტერესდება, მიუხედავად იმისა, რას ფიქრობს მასზე ხალხი. არავის აინტერესებს იღებდა თუ არა ამერიკელი აკრძალულ პრეპარატებს"*, - აცხადებს მაკუეიდი. ეს უკანასკნელი იმედოვნებს, რომ არმსტრონგი კიდევ ერთი წელი დარჩება დიდ სპორტში.

სხვათა შორის, იმავე AP-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ლენსმა კომენტარი გაუკეთა მეშვიდე ეტაპზე განვითარებულ მოვლენებს. კერძოდ, ჟურნალისტებს აინტერესებდათ, რატომ არ გამოეხმაურა ამერიკელი თანაგუნდელ **ალბერტო კონტადორის** გაქცევას, რაზეც არმსტრონგმა განაცხადა, რომ არ შეეძლო ესპანელის შეტევის მოგერიება.

*"ვერ ვიტყვი, რომ იოლი იყო მისი გამოკიდება, რადგან ალბერტომ ბრწყინვალე შეტევა შემოგვთავაზა"*, - ამბობს ლენსი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სკივე-ორჰუსი | 2:4 |
| კარლსრუე-ოფენბახი | 4:1 |
| ვილი-ბოხუმი | 1:3 |
| კოტბუსი-მიდტიულანდი | 0:0 |
| ჰერეფორდი-ბრისტოლი | 1:2 |
| **ფინეთი** | |
| იუვიასკიულა-მიუპა | 0:1 |
| ჰაკა-ტურკუ | 0:3 |
| **ისლანდია** | |
| გრინდავიკი-ბრეიდაბლიკი | 0:1 |
| ტროტური-ფრამი | 1:3 |
| **შვედეთი** | |
| იორგრიტე-გეფლე | 2:2 |
| აიკ-გიოტებორგი | 1:0 |
| ტრელებორგი-ერებრუ | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-ლიუნგსკილე | 3:1 |
| ნორჩოპინგი-ფალკენბერგი | 5:1 |
| სირიუსი-სირიანსკა | 3:1 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| ტრომსიო-ვოლერენგა | 2:0 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. შტუტგარტი** | |
| კუბოტი-ანდუხარი | 6:2, 6:4 |
| ჰანესკუ-მეფერტი | 6:4, 7:6 |
| დავიდენკო-ნავარო | 4:6, 7:5, 6:3 |
| კუბეკი-ბერერი | 6:0, 6:7, 6:7 |
| **ATP. ბასტადი** | |
| კრივოი-ისტომინი | 6:0, 6:4 |
| სერა-ვინსიგერა | 7:6, 3:6, 4:6 |
| გაბაშვილი-კ. როხუსი | 4:6, 6:1, 6:0 |
| **WTA. პალერმო** | |
| ვოსკობოევა-რეზაი | 2:6, 4:6 |
| გოვორცოვა-კამერინი | 6:3, 6:1 |
| ლეპჩენკო-დენტონი | 6:3, 6:2 |
| ბრიანტი-პავიუჩენკოვა | 6:3, 6:0 |
| ვინჩი-დომინგეს ლინო | 4:6, 6:4, 7:6 |
| **WTA. პრაღა** | |
| ბამერი-პირონკოვა | 2:6, 7:6, 7:5 |
| სტრიუკოვა-კუცოვა | 7:5, 6:4 |
| სუარეს ნავარო-დულჰერუ | 4:6, 6:3, 6:3 |
| სკიავონე-პეერი | 7:5, 6:3 |

TV პროგრამა

**14 ივლისი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:40** გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ეინდჰოვენი.
**08:25** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი.
**10:10** ლიბერტადორესის თასი. ფინალი. პირველი მატჩი. ესტუდიანტესი (არგენტინა)-კრუზეირო (ბრაზილია).
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მონაკო.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ანორთოსისი-ვერდერი.
**18:15** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ატლეტიკო.
**20:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** ლიბერტადორესის თასი.
**22:00** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
**23:45** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რომა-ბორდო.

**EUROSPORT**

**10:30** ველოსპორტი. "პლანეტა არმსტრონგი". ტელეჟურნალი.
**10:45** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ათენი. საბერძნეთი.
**13:15** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ლევერკუზენი-გალათასარაი.
**14:45** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IX ეტაპი. სენ გოდანი-ტარბი.
**15:45** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი. ლიმოჟი-ისუდენი (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ლევერკუზენი-გალათასარაი.
**21:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი. ლიმოჟი-ისუდენი.
**22:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. ახალი ამბები.
**22:15** პროფესიული კრივი. WBC-ის ვერსია. მძიმე წონა. ჯაკობე ფრაგომენი (იტალია)-კშიშტოფ ვლოდარჩიკი (პოლონეთი). რომი. იტალია.
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი. ლიმოჟი-ისუდენი.
**01:00** რალი. IRC-ის სერია. რუსეთი.
**01:30** სანაოსნო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სტამბოლი. თურქეთი.

ცურვა

# სალივანი რომში არ მიდის

მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი, ავსტრალიელი **იმონ სალივანი** ვირუსული ავადმყოფობის გამო ვერ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც სულ მალე რომში აიღებს სტარტს.

შეგახსენებთ, რომ 23 წლის მოცურავემ სწორედ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო გამოტოვა ბარსელონასა და მონაკოს საერთაშორისო ტურნირები, თუმცა პარიზსა და მილანში მოახერხა სტარტზე გასვლა. სწორედ ამ შეჯიბრებების შედეგების მიხედვით გახდა ცხადი, რომ სალივანი ვერ შეძლებდა სრული ძალით პლანეტის პირველობაზე გამოსვლას და ამიტომაც, სამწვრთნელო შტაბმა სპორტსმენი ავსტრალიაში დააბრუნა, სადაც სალივანს სამედიცინო შემოწმება ელის.

ასევე გამოტოვებს მსოფლიოს ჩემპიონატს ავსტრალიის ნაკრების წევრი - ქალი მოცურავე **ჰეიდენ სტეკელი**, რომელმაც ვარჯიშზე მხრის ტრავმა მიიღო.

სალივანი რომში 50 და 100 მეტრზე თავისუფალ სტილში აპირებდა გამოსვლას, სტეკელი კი ყულაღმა ცურვაში სპეციალიზდება. ავსტრალიელთა დამრიგებელ **ალან ტომპსონის** თქმით, ამ სპორტსმენების არყოფნა დიდი დარტყმა იქნება გუნდისთვის.

*"ჩემპიონატამდე რამდენიმე დღით ადრე ოლიმპიადის ორი მედალისტის დაკარგვა - სერიოზული დარტყმაა გუნდისთვის, მაგრამ ლონდონის ოლიმპიადის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ სპორტსმენებს დასვენების საშუალება მივეცით"*, - ამბობს ტომპსონი.





# ჯოკერმა ცოლი მოიყვანა?

უიმბლდონიდან ადრეულ ეტაპზე გავარდნის შემდეგ, სერბი ჩოგბურთელი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** შეყვარებულ **ელენა რისტიჩთან** ერთად იტალიაში გაემგზავრა დასასვენებლად. თავდაპირველად წყვილი ქალაქ პორტიფინოში დაბინავდა და ეს ფოტოები სწორედ იქ არის გადაღებული.

ამის შემდეგ, ნოვაკი და ელენა იახტა Manhattan 60-ით კრუიზში გაემგზავრნენ, რომელიც კანადაში დასრულდება. ეს მოგზაურობა დაახლოებით ერთი თვე გასტანს.

სერბმა ჟურნალისტებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ წყვილი საქორწინო მოგზაურობაში წავიდა. ასეა ეს თუ არა, ამას მაშინ გავიგებთ, როცა ჯოკოვიჩი და რისტიჩი ფეშენებელური იახტით დანიშნულების პუნქტს მიაღწევენ.





# იუბილე სეიშელზე

**დევიდ** და **ვიქტორია ბექჰემებმა** ფეხბურთელის არდადეგების უკანასკნელი დღეები ინდოეთის ოკეანეში, სეიშელის კუნძულებზე გაატარეს. იქ ვარსკვლავური წყვილი 10-წლიანი თანაცხოვრების იუბილეს აღნიშნავდა. ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი და მისი მეუღლე პაპარაცებმა მაშინ გამოიჭირეს, როცა წყვილი მზეს ეფიცხებოდა.

ბრიტანელი ჟურნალისტები დევიდის კარგ ფიზიკურ ფორმას უსვამენ ხაზს და არც ვიქტორია ბექჰემის მისამართით იშურებენ ქათინაურებს. ცნობისთვის, ფოტოებზე 34 წლის ფეხბურთელს არმანის ლურჯი საცურაო ტრუსი აცვია.

*„მათ შესანიშნავად გაატარეს დრო, რაც მთავარია, ბავშვების გარეშე,* - ყვება ერთ-ერთი თვითმხილველი. - *10-წლიანი თანაცხოვრების მიუხედავად, ისინი ერთად ბრწყინვალედ გამოიყურებიან და ერთმანეთისგან სიამოვნებას იღებენ".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**






გამოვიდა ივლისის ნომერი

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge